

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2012, №07-12

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი

სისხლის სამართლის პროცესი

კერძო ნაწილი

დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება
აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით
ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება
აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით

დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

ქურდობის მცდელობა
თაღლითობა ჩადენილი დიდი ოდენობით

ნარკოტიკული დანაშაული

განაჩენიდან დიდი ოდენობით ნარკოტიკული
საშუალების გასაღების ამორიცხვა

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა, გასაღება

სისხლის სამართლის პროცესი

განაჩენში ცვლილების შეტანა მსჯავრდებულის სასიკეთოდ

სასჯელის შემცირება
დამატებით სასჯელად დაკისრებული ჯარიმის ამორიცხვა
მსჯავრდებულის გამართლება საბრძოლო მასალის
უკანონოდ შექმნა-შენახვით წარდგენილი ბრალდების ნაწილში
საქმის საკასაციო წესით განხილვისას ბრალდების
მხარის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის
სამართლებრივი საფუძვლები

საპროცესო შეთანხმება

საპროცესო შეთანხმების გასაჩივრება

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო

განაჩენის გადასინჯვა

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო
განაჩენში სასჯელის ზომის შემცირების
თაობაზე სასამართლოს უფლებამოსილების შესახებ
ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო
შეტანილი შუამდგომლობისა და საჩივრის
განხილვის დასაშვებობა იმ მოსამართლეების მიერ,
რომელთაც საქმე არსებითად აქვთ განხილული

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო
განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით
შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ
განჩინების უცვლელად დატოვება

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო
განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით
შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ
განჩინების უცვლელად დატოვება

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო
განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით
შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ
განჩინების უცვლელად დატოვება

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო
განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით შუამდგომლობის
დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინების გაუქმება
და შუამდგომლობის, საქმის მასალებთან ერთად,
იმავე სასამართლოში დაბრუნება მისი დასაშვებობის
საკითხის თაობაზე ახალი გადაწყვეტილების მისაღებად

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო
განაჩენის გადასინჯვის საფუძველად უზენაესი
სასამართლოს მიერ გამოცემული სარეკომენდაციო
ხასიათის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების
დაუშვებლობა

სააპელაციო სასამართლოს მიერ ახლად გამოვლენილ
გარემოებათა გამო ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის
დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმეთა
ერთპიროვნულად განხილვის წესის დაუშვებლობა

კერძო ნაწილი

დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით

განაჩენი
საქართველოს სახელით

№278-აპ-12

14 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ე. ჩ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 7 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 10 აპრილის განაჩენით ე. ჩ-ი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა.

განაჩენის მიხედვით, აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2011 წლის 15 აგვისტოს ხ-ს რაიონის სოფელ ვ-ში ამავე სოფელში მცხოვრებმა ე. ჩ-მა ურთიერთშელაპარაკებისას, ნიჩბის თავში ჩარტყმით, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიყენა ზ. ც-ს.

აღნიშნული ქმედებისათვის ე. ჩ-ს საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2012 წლის 10 აპრილიდან. გაუქმდა ე. ჩ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და გირაოს სახით შეტანილი თანხა – 2000 ლარი დაუბრუნდა მის შემტანს.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ე. ჩ-მა და ითხოვა გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 7 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი მსჯავრდებულის მიმართ დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულმა ე. ჩ-მა სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი – მსჯავრდებული ე. ჩ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი უკანონოა, რადგან მისი ქმედება არასწორადაა დაკვალიფიცირებული; დაზარალებულად ცნობილი ზ. ც-ი იყო მთვრალი და თვითონ დაესხა თავს მას, ე.ი. მსჯავრდებულს, რის გამოც ეს უკანასკნელი იძულებული გახდა, მოეგერიებინა მისი თავდასხმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ე. ჩ-ი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ე. ჩ-ს მიმართ, შეამოწმა მისი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა მსჯავრდებულის გამართლების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მომხდარი შემთხვევის დროს, დაზარალებულ ზ. ც-სათვის დაზიანების მიყენებისას, იგი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში და, აქედან გამომდინარე, არ არსებობს საფუძველი მისი პასუხისმგებლობისათვის, რადგან ასეთი პოზიცია არ შეესაბამება საქმეში არსებულ სარწმუნო მტკიცებულებებს. საქმის მასალებით, კერძოდ, დაზარალებულ ზ. ც-ს, მოწმეების – რ. პ-ს, ნ. ც-ს, ა. ც-სა და სხვათა ჩვენებებით დასტურდება დაზარალებულსა და მსჯავრდებულს შორის მომხდარი კონფლიქტის ფაქტი, რასაც წინ უძღოდა მსჯავრდებულ ე. ჩ-ს მიერ ზ. ც-ის შვილებისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება. სწორედ ამის გამო მივიდა დაზარალებული ზ. ც-ი შემთხვევის ადგილზე, რა დროსაც მან და მსჯავრდებულმა ე. ჩ-მა ერთმანეთს მიყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, რის შემდეგაც დაზარალებული ზ. ც-ი გადავიდა ფიზიკურ აგრესიაზე ე. ჩ-ის მიმართ, რასაც თვითონ დაზარალებულიც არ უარყოფს სასამართლოსათვის მიცემულ ჩვენებაში.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ასეთ პირობებში ე. ჩ-სათვის, მართალია, შეიქმნა ამ აგრესიისაგან თავის დაცვის საჭიროება და მისი მოგერიების ვითარება, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მასზე თავდასხმა არ იყო ისეთი ინტენსივობის და არ ატარებდა ისეთ საშიშ ხასიათს ე. ჩ-ის ჯანმრთელობის ან სიცოცხლისათვის, რაც აუცილებელს გახდიდა მის მოსაგერიებლად ლითონის თხელი, მჭრელპირიანი ნიჩბის გამოყენებასა და სიცოცხლისათვის საშიშ ადგილზე – თავის არეში მის დარტყმას, რამაც დაზარალებულის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება გამოიწვია.

გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოებაც, რომ თავდაპირველად, როცა ზ. ც-ი შეეცადა, ხელი დაერტყა მისთვის, ე. ჩ-მა შეძლო ხელის კვრით წაექცია იგი. ზ. ც-მა მაინც გააგრძელა მის მიმართ აგრესიული ქმედება, მაგრამ მისი მოგერიება ე. ჩ-ს თავისუფლად შეეძლო უფრო ნაკლებად დამაზიანებელი, საპასუხო თავდაცვითი მოქმედებით. მით უმეტეს, საქმის მასალებით დგინდება, რომ შემთხვევის ადგილზე მყოფი მოწმე რ. პ-იც ეხმარებოდა მას ზ. ც-ის აგრესიის შეკავებაში, რომელიც თავისი ნიჩბით სველ ხრეშს აყრიდა სახეში დაზარალებულ ზ. ც-ს. რაც შეეხება მოწმე რ. პ-ის ჩვენების იმ ნაწილს, რომლის მიხედვითაც ე. ჩ-ის მიმართ ფიზიკური აგრესიის დროს ზ. ც-ს ხელში ეჭირა ხის კეტი და მის დარტყმას ცდილობდა, ვერ იქნება გაზიარებული, რადგან ასეთი ფაქტი არ დასტურდება სხვა მტკიცებულებებით – არც სხვა მოწმეთა ჩვენებებით და არც ნივთმტკიცებით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან შეუსაბამო თავდაცვითი მოქმედება, რაც მოცემულ შემთხვევაში განახორციელა მსჯავრდებულმა ე. ჩ-მა, წარმოადგენს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო სასამართლომ სარწმუნოდ დადგინებულ ფაქტობრივ გარემოებებს მისცა არასწორი სამართლებრივი შეფასება და კვალიფიკაცია, როდესაც მსჯავრდებულ ე. ჩ-ს მიერ ჩადენილი ქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, როგორც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, მაშინ, როდესაც რეალურად ე. ჩ-მა აღნიშნული დაზიანება ჩაიდინა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, ე.ი. დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლით. შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 7 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: ე. ჩ-ის მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლზე.

მსჯავრდებულ ე. ჩ-ს მიმართ აღნიშნული დანაშაულის გამო სასჯელის ზომის განსაზღვრისას საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ იგი პირველად არის სამართალში მიცემული, ხოლო მართლსაწინააღმდეგო ქმედება კი ჩაიდინა წინასწარ მოფიქრებული განზრახვის გარეშე, შემთხვევით გარემოებათა გამო, ამასთან, სხვა ისეთი გარემოება არ არსებობს, რომელიც დაამძიმებდა მის პასუხისმგებლობას. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ე. ჩ-ს სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 თვის ვადით, როგორც საკმარისი ზომა მისი გამოსწორებისა და რესოციალიზაციისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (2009 წლის 9 ოქტომბრის რედაქცია) 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, იმავე კოდექსის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ე. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 7 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ე. ჩ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს იმავე კოდექსის 122-ე მუხლზე და მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 თვის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება
აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№349-აპ-12

26 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ შ. წ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მცხეთის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 ივნისის განაჩენით შ. წ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 23 მარტიდან.

განაჩენის მიხედვით, შ. წ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის 22 მარტს ... რაიონის სოფელ ..., გ. ჩ-ს სააგარაკე სახლში, იმყოფებოდნენ ... წელს დაბადებული შ. წ-ი და წელს დაბადებული მ. შ-ი, რომლებიც სვამდნენ ღვინოს. სააგარაკე სახლში ყოფნისას მთვრალ შ. წ-ს სიტყვიერი შელაპარაკება მოუხდა ასევე მთვრალ მ. შ-თან, რაც გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში. დაპირისპირებისას შ. წ-მა განიზრახა მ. შ-ს მოკვლა და მის ხელთ არსებული მჭრელი ლითონის იარაღის გამოყენებით ზურგის არეში მიაყენა მრავლობითი ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები. მას შემდეგ, რაც შ. წ-ი დარწმუნდა, რომ განზრახვა სისრულეში მოიყვანა, დატოვა შემთხვევის ადგილი, ხოლო მ. შ-ლი გადაიყვანეს შპს „...“ ... სამედიცინო ცენტრში, სადაც ექიმების კვალიფიციური ჩარევის შედეგად მოხერხდა მისი სიცოცხლის გადარჩენა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული შ. წ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანასა და მისი ქმედების გადაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლზე.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ შ. წ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა. ტ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება, რასაც დაეთანხმა თავად მსჯავრდებულმა.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ვ. ო-მ იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს მსჯავრდებულ შ. წ-ს პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მომხდარი შემთხვევის დროს, დაზარალებულ მ. შ-სათვის დაზიანებების მიყენებისას, იგი იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების ვითარებაში, რა დროსაც მან აშკარად გადააცილა კანონით გათვალისწინებული დაცვის ფარგლებს, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი და, აქედან გამომდინარე, არ არსებობს საფუძველი განზრახ მკვლელობის მცდელობაში მისი პასუხისმგებლობისათვის, რადგან ასეთი პოზიცია შეესაბამება საქმეში არსებულ სარწმუნო მტკიცებულებებს.

საქმის მასალებით, კერძოდ, მსჯავრდებულ შ. წ-ს, დაზარალებულ მ. შ-ს, მოწმეების - ე. შ-ს, ვ. მ-ს, ბ. თ-ს, გ. ჩ-ს, ლ. წ-სა და სხვათა ჩვენებებით დასტურდება მთვრალ დაზარალებულსა და მსჯავრდებულს შორის მომხდარი კონფლიქტის ფაქტი, რასაც წინ უძღოდა წინა დღეს დაზარალებულის მიერ მსჯავრდებულისათვის შეურაცხყოფის მიყენება, კერძოდ: შემთხვევის წინა დღეს შ. წ-ი იმყოფებოდა თავისი სოფლის მოედანზე და უყურებდა ფეხბურთს, რა დროსაც დაუმახა მ. შ-მა, რომელიც იყო მთვრალი. მან დალევა შესთავაზა შ. წ-ს, რომელმაც აუხსნა, რომ მეორე დილით სამსახურში მიდიოდა და ამიტომ არ სურდა დალევა. ამის გამო შელაპარაკდნენ, რა დროსაც მ. შ-მა მას მიაყენა შეურაცხყოფა. ვინაიდან მ. შ-ი მთვრალი იყო, შ. წ-მა მას თავი გაანება და სახლისაკენ წავიდა. ამ ფაქტის გამო მეორე დღეს შ. წ-ი მივიდა მ. შ-თან სახლში და ჰკითხა, თუ რა უნდოდა მისგან წინა დღეს, რატომ მიაყენა შეურაცხყოფა. მ. შ-მა უთხრა, რომ არაფერი ახსოვდა. შ. წ-მა მას აუხსნა, რაც მოხდა მათ შორის წინა დღეს და სთხოვა მ. შ-ს მხრიდან ასეთი საუბარი აღარ განმეორებულა.

ლიყო. ამით დაამთავრეს შეხვედრა, შერიგდნენ, ხელი ჩამოართვეს და შ. წ-ი წავიდა სამსახურში. იგი მუშაობდა შპს «...» მეველედ. შემთხვევის დღეს დაზარალებული მ. შ-ი იმყოფებოდა მეგობარ ნ. ო-თან. ვახშმოზის შემდეგ მ. შ-ი ნასვამი დაბრუნდა სახლში, კვლავ სურდა დაღევა, სახლიდან აიღო ორი ჭიქა, ორი ლიტრი ღვინო და გავიდა გარეთ, რომ ვინმე მოემბნა პარტნიორად ღვინის დაღევაში. ამ დროს შ. წ-ი სამსახურიდან ბრუნდებოდა სახლში, რომ ეჭამა და ისევ დაბრუნებულიყო სამსახურში, ვინაიდან ის იმ საღამოს მორიგე იყო. მ. შ-მა მას უთხრა, რომ წასულიყვნენ იქვე, მიტოვებულ სააგარაკე ბინაში და დაელიათ, რაზეც მსჯავრდებულმა თავიდან უარი განუცხადა, მაგრამ იცოდა რა, რომ დაზარალებული თავს არ დაანებებდა, შესთავაზა ღვინის მოედანზე დაღევა, რადგან იქ უფრო უშიშრად იქნებოდა მთვრალ დაზარალებულთან. არ იყო გამორიცხული, მას ისევ ეჩხუბა მასთან. მიტოვებულ ბინაში შესვლის შემდეგ დაზარალებულმა სამჯერ დაასხა ღვინო და ერთი და იმავე „მუხრანის“ სადღერძელოს დაღევა მოსთხოვა შ. წ-ს. მსჯავრდებულმა მხოლოდ ცოტა მოსვა, რადგან ის ისევ სამუშაოზე უნდა დაბრუნებულიყო. ასევე მიხვდა რა, რომ მ. შ-ი არ იქცეოდა კარგად და ეძებდა ჩხუბის საბაზს, ის წამოდგა და დააპირა წასვლა. დაზარალებული ამაზე გაბრაზდა და დაუწყო ცემა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, მ. შ-ს აღენიშნება 14 ჭრილობა – კისრის, ზურგის, მარცხენა ილიისა და მხრის არეში, ჭრილობები მიყენებული იყო რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი იარაღის მოქმედებით და, ერთად აღებული, მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხს, ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება წინასწარ ცნობებში მითითებულ თარიღს; მხრის არეში არსებული ჭრილობები არ არის სიცოცხლისათვის საშიში, მაგრამ დანარჩენი ჭრილობები, მათ შორის რამდენიმე, განსაკუთრებით საშიშია სიცოცხლისათვის. მ. შ-ს ჩატარდა ოპერაციული მკურნალობა, ფუნქციით პლევრის ღრუდან ჰაერის გამოღება და წნევის გავლენით ფილტვის ქსოვილის გაშლა. ასეთ შემთხვევაში ვერ დგინდება, რამდენიმე ჭრილობიდან ერთია შემავალი, თუ – რამდენიმე, შეუძლებელია იმის განსაზღვრაც, სიცოცხლისათვის სახიფათო ერთი ჭრილობა იყო, თუ – რამდენიმე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ფილტვის დაზიანებას შეეძლო გამოეწვია მ. შ-ს დასუსტება, რაც იმოქმედებდა მის მდგომარეობაზე.

პალატას სარწმუნოდ მიაჩნია მსჯავრდებულ შ. წ-ს განმარტება, რომ მან ჩხუბის დროს მ. შ-ს ვერ გაუწია წინააღმდეგობა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაზარალებულს წინიდან არც ერთი დაზიანება არ აღენიშნება, ხოლო მსჯავრდებულ შ. წ-ს აღენიშნება სისხლნაჟღენთი მარცხენა წარბის გარეთ კიდეში, ნაჭდევი მარჯვენა ხელის მტევნის უკანა ზედაპირზე, მეხუთე ნეკნის ძვლის ქვედა მესამედის საპროექციოდ, მარცხენა ხელის მტევნის უკანა ზედაპირზე მე-2 თითის ძირითადი ფალანგის უკანა ზედაპირზე ქვედა მესამედში, მარცხენა ხელის მტევნის მე-2 თითის შუა ფალანგის ქვედა მესამედში, მარცხენა ხელის მე-3 თითის შუა ფალანგის უკანა ზედაპირზე ქვედა მესამედში, მარცხენა ხელის მე-3 თითის შუა ფალანგის უკანა ზედაპირზე ზედა მესამედში, ქვედა ყბის მარჯვენა ნახევარში. პალატის აზრით, აღნიშნული მ. შ-ს ფიზიკურ უპირატესობაზე მიუთითებს. ჩხუბის დროს დაზარალებულმა კუთხეში მიაგდო მსჯავრდებული. იგი წაქცეულ მდგომარეობაში კედელზე ნახევრად იყო მიყუდებული და ცდილობდა, თავი დაეცვა მ. შ-საგან, რომელიც მას ზემოდან დააჯდა და ხელებს ურტყამდა. მსჯავრდებულმა აღიქვა, რომ დაზარალებულისაგან სერიოზული საფრთხე ელოდა და იქვე არსებული, გამოძიებით დაუდგენელი რკინის საგნით მიაყენა მას მრავლობითი დაზიანებები – კისრის, ზურგის, მარცხენა ილიისა და მხრის არეში.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულმა შ. წ-მა დაზარალებულ მ. შ-ს აღნიშნული დაზიანებები სწორედ მის მიერ აღწერილ ვითარებაში მიაყენა, როდესაც დაზარალებული ზემოდან მოექცა და ურტყამდა, შ. წ-მა კი რაც ხელში მოხვდა, იმით დაიწყო თავდაცვა, სადაც მიაწვდინა რკინის საგანი, იქ დაარტყა. ფიზიკური ძალით უპირატეს მდგომარეობაში მყოფ მ. შ-ს დაზიანებებს ილიის, მხრისა და კისრის არეში პირდაპირ მდგომი ვერ მიაყენებდა, რაც დასტურდება ზემოთმითითებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით. ზურგის მხრიდან კი თუ მოექცეოდა და მისი მოკვლის განზრახვა ექნებოდა, დაზიანებებს მიაყენებდა არა მხოლოდ მითითებულ ადგილებში, არამედ – სიცოცხლისათვის საშიშ სხვა ადგილებში. სრულიად უსაფუძვლოა სახელმწიფო ბრალმდებლის განმარტება, რომ უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა დაზარალებული მ. შ-ი, რომელსაც მსჯავრდებული ურტყამდა, რა დროსაც ამ უკანასკნელს შარვალსა და ქურთუკზე აღენიშნება ადამიანის სისხლი, რომელიც მიეკუთვნება BaIII და AβII ჯგუფს, რადგან თუ დაზარალებული უგონო მდგომარეობაში იყო და მას რკინის საგანს ურტყამდა მსჯავრდებული, ცხადია, როგორც აღვნიშნეთ, ის დაარტყამდა ასევე სიცოცხლისათვის საშიშ სხვა ადგილებშიც და არა მარტო – ილიის, კისრისა და ზურგის არეში. პალატა ვერ გამორიცხავს იმ შესაძლებლობას, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც დაზარალებული ზემოდან ეჯდა მსჯავრდებულს და ურტყამდა, რა დროსაც მსჯავრდებულმა მას მიაყენა მრავლობითი დაზიანებები, ჭრილობიდან წამოსული სისხლის წვეთები, შეხვედრის სახით, მოხვედრილიყო მსჯავრდებულ შ. წ-ს შარვალზე. საქმის მასალებში კი სახელმწიფო ბრალმდებლის ამ პოზიციის დამადასტურებელი აშკარა და დამაჯერებელი არცერთი მტკიცებულება არ მოიპოვება; ყოველგვარი ეჭვი კი უნდა გადაწყდეს მსჯავრდებულის სასარგებლოდ.

საქმის მასალებით ასევე არ დგინდება მსჯავრდებულ შ. წ-ს სიმთვრალის ფაქტი. მოწმეებისა და თავად დაზარალებულ მ. შ-ს ჩვენებებით კი უდავოდ დგინდება ის გარემოება, რომ დაზარალებული იყო ძალიან მთვრალი.

საკასაციო პალატა ვერ დარწმუნდა დაზარალებულ მ. შ-ს ჩვენებების გულწრფელობაში, რადგან ეს ჩვენებები ეწინააღმდეგება სხვა მოწმეთა ჩვენებებს. დაზარალებულის ჩვენება, რომ ჩხუბის დროს არც ერთი არ წაქცეულა, მან «უკნიდან წვა იგრძნო», დაკარგა გონება და გონს მოვიდა საავადმყოფოში, ეწინააღმდეგება მოწმეების ჩვენებებს, კერძოდ:

მოწმე ვ. მ-ს ჩვენებით შემთხვევის დღეს, დაახლოებით საღამოს შვიდ საათზე, როდესაც მაღაზიაში მიდიოდა, ორღობესთან მ. შ-ი შეხვდა, რომელმაც უთხრა, რომ ვერ სუნთქავდა, იგი ქანაობდა. მაღაზიის მეპატრონე გ. ჩ-მა თავის მამას – გ. ჩ-ს დაუძახა, ხოლო ამ უკანასკნელმა დაჭრილი მ. შ-ი მანქანით გადაიყვანა სახლში.

მოწმე გ. ჩ-ს ჩვენებით 2012 წლის 22 მარტს მას მაღაზიის გამყიდველმა დაუძახა, რომ მ. შ-ი იყო სისხლიანი. გ. ჩ-ი სასწრაფოდ გავიდა გარეთ და დაინახა, რომ მაღაზიასთან ჩაცუცქული იყო მ. შ-ი, რომელსაც ძალიან ცუდი ფერი ჰქონდა, ლაპარაკი და სუნთქვა უჭირდა, დაჭრილი იყო და შველას ითხოვდა. თავზე ვ. მ-ე ედგა. გ. ჩ-მა და მამამისმა მ. შ-ი მანქანაში ჩასვეს და თავის სახლში მიიყვანეს. სახლში მისვლამდე მას გონება არ დაუკარგავს. იგი მშობლებმა წაიყვანეს საავადმყოფოში.

ზემოაღნიშნული გარემოება, დაზარალებულ მ. შ-ს არაგულწრფელობის გარდა, მეტყველებს იმაზეც, რომ მას მომხდარი ფაქტის ზოგიერთი დეტალი ძლიერი სიმთვრალის გამო არ ახსოვს, რაზეც ის თავად აცხადებს თავის ჩვენებაში «... არ ახსოვს, რა დაარტყა შ. წ-მა, არც შელაპარაკების დეტალები ახსოვს სიმთვრალის გამო». ასევე მ. შ-ს დამოუკიდებლად გადაადგილება, ჯერ სახლში მიყვანა, ხოლო შემდეგ საავადმყოფოში გადაყვანა, საიდანაც მეორე დღესვე გამოეწერა, მიუთითებს იმაზე, რომ ის მიყენებული დაზიანებების გამო არ იყო ძალიან ცუდ მდგომარეობაში. თავად შ. წ-ს კი ხელს არაფერი უშლიდა, მისი მოკვლის განზრახვა რომ მოეყვანა სისრულეში განაჩენით დადგენილად მიჩნეულ ფაქტობრივ გარემოებებში და დაზარალებულისათვის მიყენებინა სასიკვდილო ჭრილობები სიცოცხლისათვის საშიშ ადგილებში, თუ მას ამის სურვილი ექნებოდა.

ამასთან, პალატას მიაჩნია და ეთანხმება კასატორს, რომ ადგილი ჰქონდა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას. მართალია, შ. წ-სათვის დაზარალებულის მხრიდან შეიქმნა აგრესიისაგან თავის დაცვის საჭიროება და მისი მოგერიების ვითარება, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მასზე თავდასხმა არ იყო ისეთი ინტენსივობის და არ ატარებდა ისეთ საშიშ ხასიათს შ. წ-ს ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის და ამავდროულად თავად დაზარალებულის ძლიერი სიმთვრალისა და იმის გათვალისწინებით, რომ მას ხელში არ ეჭირა არანაირი საგანი, ხოლო შ. წ-ი იყო ფხიზელი და არ იყო ისეთი ვითარება, რაც აუცილებელს გახდიდა მის მოსაგერიებლად ლითონის საგნის გამოყენებით მიყენებინა დაზარალებულისათვის მრავლობითი დაზიანებები, რამაც მისი ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება გამოიწვია, პალატას მიაჩნია, რომ შექმნილი მდგომარეობის გამო, მსჯავრდებული აღმოჩნდა აშკარა შეუსაბამოებაში თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან. საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან შეუსაბამო თავდაცვითი მოქმედება, რაც მოცემულ შემთხვევაში განახორციელა მსჯავრდებულმა შ. წ-მა, წარმოადგენს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ასევე, რომ სააპელაციო სასამართლომ სარწმუნოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს მისცა არასწორი სამართლებრივი შეფასება და კვალიფიკაცია, როდესაც მსჯავრდებულ შ. წ-ს მიერ ჩადენილი ქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით, როგორც განზრახ მკვლელობის მცდელობა, მაშინ, როდესაც რეალურად შ. წ-მა ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, ე.ი. დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლით. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: შ. წ-ს მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 122-ე მუხლზე.

მსჯავრდებულ შ. წ-ს მიმართ აღნიშნული დანაშაულის გამო სასჯელის ზომის განსაზღვრისას საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ იგი ხასიათდება დადებითად, ხოლო მართლსაწინააღმდეგო ქმედება კი ჩაიდინა წინასწარ მოფიქრებული განზრახვის გარეშე, შემთხვევით გარემოებათა გამო, ამასთან, სხვა ისეთი გარემოება არ არსებობს, რომელიც დაამძიმებდა მის პასუხისმგებლობას. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ შ. წ-ს სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 თვისა და 3 დღის ვადით, როგორც საკმარისი ზომა მისი გამოსწორებისა და რესოციალიზაციისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულ შ. წ-ს მიერ ჩადენილი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით, გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლზე, ხოლო სასჯელის ზომად განესაზღვროს 9 თვითა და 3 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2012 წლის 23 მარტიდან.

მსჯავრდებულ შ. წ-ს დანიშნული სასჯელი ჩათვალოს მოხდილად და გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

ქურდობის მცდელობა

განაჩენი
საქართველოს სახელით

№351-აპ-12

25 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ გ. კ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 23 აგვისტოს განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 27 ივნისის განაჩენით გ. კ-ი, ნასამართლობის არმქონე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის თანახმად, გ. კ-ს სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო ჩათვალა სასჯელის ვადაში და სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2012 წლის 4 თებერვლიდან.

განაჩენით გ. კ-ს მსჯავრი დაედო ქურდობაში, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებაში მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონოდ შეღწევით, დიდი ოდენობით.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის 20 იანვარს გ. კ-მა გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად კარების დაზიანებით, უკანონოდ შეაღწია ქ. ქ-ში, ... ქ. №14-ში მდებარე ნ. რ-ის საცხოვრებელ სახლში და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა დიდი ოდენობის სხვადასხვა დასახელების საყოფაცხოვრებო ნივთს, რომლებზეც პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ნ. რ-ის მაზლს – ი. რ-ეს. ამ დანაშაულებრივი ქმედებით მათ დაზარალებულს მიაყენეს 19 025 ლარის ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. კ-მა. მან აღნიშნა, რომ განაჩენი არის დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო და არ გამომდინარეობს სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან; სასამართლო განაჩენში ასახული ჩვენებებიდან არ იკვეთება მის მიერ ნ. რ-ის საცხოვრებელი სახლიდან ნივთების ფარულად დაუფლების ფაქტი ან მასთან ერთად მეორე პირის არსებობა; დაზარალებულ მხარეს არ წარმოუდგენია თუნდაც ერთი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ გატაცებული ნივთების ღირებულება აღემატება 10 000 ლარს. ამდენად, მსჯავრდებულმა ითხოვა საქალაქო სასამართლოს უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება.

სააპელაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ გ. კ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. დ-მა მხარი დაუჭირა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას იმავე საფუძვლებითა და მოტივებით. სახელმწიფო ბრალმდებელმა კი გასაჩივრებული განაჩენი მიიჩნია კანონიერად, სამართლიანად და მოითხოვა მისი უცვლელად დატოვება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 23 აგვისტოს განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 27 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. კ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა გ. კ-მა აღნიშნა, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი და დადგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევებით. ამდენად, მსჯავრდებულმა საკასაციო საჩივრით ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ გ. კ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მისი გამართლების შესახებ, უსაფუძვლოდ გამო.

დაქტილოსკოპიური ექსპერტიზების №... და №... დასკვნებით: «შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებული პიროვნების იდენტიფიკაციისათვის ვარგისი ხელის კვალი იდენტურია დაქტილოსკოპიურ მონაცემთა აღრიცხვაზე მყოფ გ. კ-ის ხელის ანაბეჭდისა», ხოლო «შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებული პიროვნების იდენტიფიკაციისათვის ვარგისი ხელის სამი კვალიდან, პიროვნების იდენტიფიკაციისათვის ვარგისი ხელის თითის ერთი კვალი იდენტურია გ. კ-ის მარჯვენა ხელის დიდი თითის ანაბეჭდისა».

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულის ჩვენებით, მოწმეების – ი. რ-ის, გ. ზ-ის, მ. ხ-ისა და შ. მ-ის ჩვენებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების, დაკავების, პირადი და ბინის ჩხრეკის ოქმებით, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზების №... და №... დასკვნებით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებითა და საქმის სხვა მასალებით გ. კ-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია, მაგრამ სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

საქმის არსებითი განხილვისას ბრალდებულმა გ. კ-მა თავი არ ცნო დამნაშავედ ჩადენილ ქურდობაში, თუმცა არ უარყო ნ. რ-ის სახლში ყოფნის ფაქტი. მან აღნიშნა, რომ იცის, სად მდებარეობს ზემოაღნიშნული სახლი, იცოდა, რომ სახლი დაკეტილი იყო და არავინ ცხოვრობდა. აღიარა, რომ ერთხელ ნ. რ-ის სახლის კარი ნახა ოდნავ შეღებული და შევიდა გასაქურდად. ამ დროს იგი იყო მარტო. სახლი არეული დახვდა. იგი ხელით შეეხო ნივთებს (პიანინოს, სერვანდის მინას, კომოდის ზედაპირს), ეძებდა რაიმე ღირებულს, მაგრამ წამოსაღები ვედარაფერი ნახა. სახლში რამდენიმე წუთს დაყოვნდა, მოსწია სიგარეტი (თუმცა არ ახსოვს, რომელი – «ლაითი» თუ წითელფილტრიანი) და ხელცარიელმა დატოვა იგი.

ამდენად, გ. კ-ი აღიარებს ნ. რ-ის საცხოვრებელ სახლში ყოფნის ფაქტს, თუმცა, უარყოფს დიდი ოდენობით ნივთების ფარულად დაუფლებას და დანაშაულში მასთან ერთად სხვა პირის მონაწილეობას.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამერიკაში მცხოვრები ნ. რ-ის საცხოვრებელი სახლი თვეების განმავლობაში დაკეტილი იყო, ხოლო მეზობელი მ. ბ-ე, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა სახლი, პერიოდულად გადადიოდა ხოლმე იქ ნივთების შესამოწმებლად და სახლი შესაძლებელია, გაქურდულიყო არა მარტო იმ დღეს, როცა შიგ გ. კ-ი შევიდა, არამედ სხვა დღეებშიც, რასაც არც ი. რ-ე და მოწმე მ. ბ-ე გამორიცხავენ თავიანთი ჩვენებით და უშვებენ შესაძლებლობას, რომ ხსენებული სახლი შეიძლება გაქურდულიყო წინა დღეებში, თუნდაც გ. კ-ის იქ შესვლამდე რამდენიმე საათით ადრე.

არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა გ. კ-ის მიერ ქურდობის ჩადენის ფაქტს.

ქურდობა თავისი საკანონმდებლო კონსტრუქციით მატერიალურ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება. მისი ობიექტური მხარე სავალდებულო ნიშნად მიიჩნევა მავნე შედეგის დადგომას ქონებრივი ზიანის სახით. ამიტომ ქურდობა დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავე დაეუფლა სხვის ქონებას და რეალური შესაძლებლობა აქვს, განკარგოს ეს ქონება თავისი შეხედულებით – იმის მიუხედავად, მოახერხა თუ არა მან ამ შესაძლებლობის რეალიზაცია.

პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მსჯავრდებულს დამთავრებული ქურდობა არ ჩაუდენია და საქმე გვაქვს ქურდობის მცდელობასთან, რადგან, მართალია, ღია კარის დანახვამ გ. კ-ს აღუძრა ქურდობის განზრახვა, შევიდა კიდეც სახლში დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ იქიდან წამოსაღები ვერაფერი ნახა და ხელცარიელი გამოვიდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

პალატა თვლის, რომ განაჩენი ქურდობის ნაწილში აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე. ზემოაღნიშნული ბრალდების მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებები ნაკლებსარწმუნოა, არც სხვა მტკიცებულებებითაა გამყარებული და, შესაბამისად, უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა. რაც შეეხება ნ. რ-ის სახლიდან წაღებულ ნივთებს, გ. კ-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ისინი ამოღებული არ ყოფილა.

საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ გ. კ-მა ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღ-

მდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონოდ შეღწევით, დიდი ოდენობით.

საქართველოს სსსკ-ის მე-5 მუხლის თანახმად: „მტკიცებულებების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ», ხოლო იმავე კოდექსის 259-ე მუხლის III ნაწილის თანახმად: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს».

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 23 აგვისტოს განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

მსჯავრდებულ გ. კ-ის ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით (ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონოდ შეღწევით, დიდი ოდენობით), უნდა გადაკვალიფიცირდეს იმავე კოდექსის 19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე (ქურდობის მცდელობა ბინაში უკანონოდ შეღწევით), ხოლო დანიშნული სასჯელი უნდა შეუმცირდეს 2 წლით და საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ« ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 23 აგვისტოს განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

გ. კ-ის ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით, გადაკვალიფიცირდეს იმავე კოდექსის 19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე.

გ. კ-ს დანიშნული სასჯელი – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს 2 წლით და საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა ჩადენილი დიდი ოდენობით

განაჩენი საქართველოს სახელით

№236აპ-12

22 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ

კ. კუბლაშვილის თავმჯდომარეობითა და

ზ. მეიშვილის,

ვ. როინიშვილის,

მ. ჩინჩალაძის,

დ. სულაქველიძის (მომხსენებელი),

პ. სილაგაძის,

მ. ოშხარელის,

გ. შავლიაშვილის,

ლ. მურუსიძის შემადგენლობით

განიხილა მსჯავრდებულ რ. კ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 4 ნოემბრის განაჩენით რ. კ-ე, - ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებით სასჯელად – ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით.

იმავე განაჩენით შ. ს-ა, - ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელად განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებით სასჯელად – ჯარიმა 20 000 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდა დაეწყოთ 2011 წლის 16 თებერვლიდან.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. კ-ე და შ. ს-ა წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, თაღლითურად დაუფლნენ დიდი ოდენობით სხვის ნივთს, რაც კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

რ. კ-ემ და შ. ს-ამ განიზრახეს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლებოდნენ საქართველოში მცხოვრები მოქალაქეების კუთვნილ თანხებს და ამ მიზნით ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციაში დაარეგისტრირეს არასამეწარმეო იურიდიული პირი – „ადამიანის უფლებათა დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის არასამთავრობო დემოკრატიული კავშირი“, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა რ. კ-ე, ხოლო მოადგილედ – შ. ს-ა. დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად რ. კ-ესა და შ. ს-ას უნდა მოეზიდათ მოქალაქეები, რომლებსაც დაარწმუნებდნენ, რომ მათ ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული „პრეზიდენტ კენედის ფონდიდან“ გამოეყოფოდათ სოციალური გრანტი და საწევროს სახით დაწესებული ყოველთვიური 3 ლარის გადახდის სანაცვლოდ თითოეული გაწევრებული მოქალაქე ყოველთვიურად მიიღებდა 30 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს, ხოლო უმუშევარი მოქალაქე – ასევე ყოველთვიურად 120 ლარის ოდენობით დახმარებას 1 წლის განმავლობაში.

გეგმის განსახორციელებლად რ. კ-ე და შ. ს-ია დაუკავშირდნენ საქართველოს პენსიონერთა და ხანდაზმულთა ასოციაცია „ბ-ს“ თავმჯდომარე ე. კ-ს, რომელთანაც 2010 წლის 27 ოქტომბერს ფორმალურად გააფორმეს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რეალურად კი ე. კ-ს უნდა უზრუნველყო მოქალაქეთა მოზიდვა, მათი გაწევრება კავშირში და საწევროს სახით გადახდილი თანხის შეგროვება, რასაც შემდეგ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები გაინაწილებდნენ.

ე. კ-ი პროექტით დაინტერესებულ პირებს არწმუნებდა მატერიალური დახმარების სამომავლოდ მიღების გარდაუვალობაში, ავსებინებდა ანკეტებს და თითოეული წევრისაგან იღებდა 3 ლარს. ამ გზით მან მოიზიდა 11 053 მოქალაქე, რომელთა ნდობის ბოროტად გამოყენებით ჯგუფის წევრები დაუფლნენ 33 161 ლარს.

თაღლითური სქემის მასშტაბის განვრცობისა და დამატებითი მატერიალური სარგებლის მისაღებად რ. კ-ე და შ. ს-ა 2010 წლის ნოემბერში დაუკავშირდნენ ხ-ი მცხოვრებ ზ. ხ-ს და შესთავაზეს კავშირის რეგიონული ოფისის გახსნა. იგი ამავდროულად დაარწმუნეს, მოეზიდა ხ-ს რაიონში მცხოვრები პენსიონერი და უმუშევარი მოქალაქეები, რომლებიც საჭიროებდნენ მატერიალურ დახმარებას და გრანტის მიღების სანაცვლოდ, 3 ლარის გადახდის პირობით, გაწევრებინა კავშირში. აღნიშნული საქმიანობის სანაცვლოდ ზ. ხ-ს დაჰპირდნენ 400 ლარის ოდენობით ხელფასის დანიშვნას.

2011 წლის 15 თებერვალს ზ. ხ-მა 633 მოქალაქის მიერ გადახდილი 1899 ლარი, შ. ს-ას მითითებით, გადარიცხა კავშირის საბანკო ანგარიშზე, ხოლო 1000 ლარი, რ. კ-ს მითითებით, გამოიყენა საოფისე ხარჯებისათვის.

მთლიანობაში – 2010 წლის ნოემბრიდან 2011 წლის 16 თებერვლამდე რ. კ-მ და შ. ს-მ მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრეს საქართველოში მცხოვრები მოქალაქეების კუთვნილი 36 060 ლარი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა – რ. კ-მ, შ. ს-ამ და მოითხოვეს გამართლება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 6 აპრილის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მსჯავრდებულ შ. ს-ას შორის, რომლის შესაბამისად, შ. ს-ას საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით სასჯელად განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ამ სასჯელიდან მსჯავრდებულმა 3 წელი და 6 თვე უნდა მოიხადოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო 4 წელი ჩათვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით. შ. ს-ას დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 5 ათასი ლარი.

ამავე სასამართლოს 2012 წლის 7 მაისის განაჩენით მსჯავრდებულ რ. კ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და მის მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა რ. კ-ემ. იგი საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, რადგან ცალკეულ მოწმეთა ჩვენებებით მას არ დაუდასტურდა წარდგენილი ბრალდება, ხოლო სხვა მოწმეების ჩვენებებით დადგინდა მისი უდანაშაულობა; ამავე ჩვენებებით მის მიერ დაფუძნებულ კავშირში გაწევრებული ადამიანებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა მარტში უნდა დაწყებულიყო, ხოლო რ. კ-მე და შ. ს. დააკავეს 16 თებერვალს, რითიც გრანტის მოპოვებაში მათ სახელმწიფომ შეუშალა ხელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიუთითებს, რომ საქმეში არსებული მასალებით, კერძოდ, მოწმეთა, დაზარალებულთა და ბრალდებულთა ჩვენებებით იგი უდანაშაულოა, რის გამოც მოითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მაისის განაჩენის გაუქმებასა და მის გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

დიდმა პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ რ. კ-ის მიმართ, შეამოწმა გასაჩივრებული განაჩენის კანონიერება და დაცვის მხარის მიერ შეტანილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, რის შედეგადაც მიიჩნია, რომ კასატორის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

დაცვის მხარე საკასაციო საჩივრით ითხოვს მსჯავრდებულ რ. კ-ის გამართლებას მისთვის შერაცხულ ბრალდებაში. ამ მიზნით იგი უთითებს ცალკეული მოწმის – მ. ა-ის, ჯ. ლ-ს, რ. დ-ს, ი. მ-ს, მ. მ-ის, რ. ღ-ის, გ. ს-ის, რ. მ-სა და სხვათა ჩვენებებზე და ახდენს ამ ჩვენებათა შინაარსის თავისებურ ინტერპრეტაციას, რითაც ცდილობს დაასაბუთოს, რომ თითქოს რ. კ-ე, რომელიც იყო არასამეწარმეო იურიდიული პირის – „ადამიანის უფლებათა დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის არასამთავრობო დემოკრატიული კავშირის« ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავმჯდომარე, არ მონაწილეობდა აღნიშნული ორგანიზაციის სახელით წინასწარი შეთანხმებით მოქმედი ჯგუფის მიერ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებში, რომლებმაც გარკვეული ოდენობის თანხა გამოსტყუეს ათასობით ადამიანს – პენსიონერებს, სტუდენტებს, უმუშევრებს, სოციალურად დაუცველებს და სხვა მსგავს კატეგორიას მიკუთვნებულ პირებს. დაცვის მხარის მტკიცებით, რ. კ-მ არ იცოდა, რა ხდებოდა მის ქვემდებარე ორგანიზაციაში, კავშირში გაწევრებული ადამიანებისგან საწევრო თანხები იკრიბებოდა მისგან დამოუკიდებლად, ხოლო აკრებილი თანხები სად მიდიოდა და რაზე იხარჯებოდა, ამის თაობაზე ის ინფორმაციას არ ფლობდა, რის გამოც არ დასტურდება მისი ბრალეულობა მომხდარ დანაშაულში.

დიდი პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის ამგვარ პოზიციას, რადგან იგი არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო საჩივარში მითითებულ მოწმეთა ჩვენებები წარმოდგენილია ცალმხრივად, კერძოდ, მოტანილია ამ ჩვენებათა ცალკეული ნაწილები მთლიანი კონტექსტისაგან მოწყვეტილად, რაც არ იძლევა რეალურად არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე ობიექტური და სრული წარმოდგენის შექმნის საშუალებას, გასაჩივრებულ განაჩენში კი იგივე ჩვენებები მოცემულია უფრო სრულად და ობიექტურად, რაც სავსებით სარწმუნოს ხდის მსჯავრდებულ რ. კ-ს მონაწილეობას ინკრიმინირებულ ქმედებებში.

მაგრამ, გარდა აღნიშნული ჩვენებებისა, საქმეში ფიგურირებს ასევე სხვა ჩვენებებიც, რომლებიც კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩენენ რ. კ-ს როლს ერთობლივ დანაშაულში. დიდ პალატას მხედველობაში აქვს მოწმეების – ხ. ხ-ის, რ. ქ-სა და ი. ს-ის, დაზარალებულ მ. ზ-სა და სხვათა ჩვენებები, რომელთა მიხედვით, მსჯავრდებული რ. კ-ე საქმის კურსში იყო ყოველივე იმის თაობაზე, რაც ზემოაღნიშნულ ორგანიზაციაში ხდებოდა. უფრო მეტიც, პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ბრალდებულების მიერ მიცემულ ჩვენებებში, მათ შორის თვით რ. კ-ს ჩვენებიდანაც კი იკვეთება მისი უდავო კავშირი ჯგუფურად ჩადენილ დანაშაულთან. აღნიშნულზე მეტყველებს ის გარემოება, რომ რ. კ-ე ხელს უწყობდა თანამზრახველებს (მ. ს-ა და სხვ.) მათ მიერ დასახული დანაშაულებრივი მიზნის მიღწევაში როგორც აქტიური მოქმედებით (ორგანიზაციის დაფუძნების, მასში ადამიანების მოსაზიდად და გასაწევრებლად შესაბამისი საქმიანობის განხორციელების, ამ ადამიანთა დარწმუნების სახით), ისე დანაშაულებრივი უმოქმედობით მაშინ, როცა მას, როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელს, სამართლებრივად ევალებოდა, აღეკვეთა სოციალურად შეჭირვებული ადამიანების მასობრივად მოტყუება. რ. კ-სა და სხვა თანამზრახველების დანაშაულებრივ მისწრაფებებს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ მათ დაზარალებულებს დაპირებული თანხების მიღების ვადად ჯერ დაუთქვეს 2010 წლის დეკემბერი, შემდეგ – 2011 წლის თებერვალი, შემდეგ – იმავე წლის მარტი და ა.შ., ამ გზით ისინი ცდილობდნენ მათ მიერ მოტყუებული ადამიანების შეჩერებას, რომლებიც უკვე დაჟინებით ითხოვდნენ თავისას, და ასეთ ვითარებაში კვლავ აგრძელებდნენ ახალი ადამიანების გაწევრებას ორგანიზაციაში და მათგან საწევრო თანხების მიღებას. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მას შემდეგაც კი, რაც სრულიად აშკარა გახდა მათი წამოწყების უპერსპექტივობა უცხოეთიდან გრანტების მოზიდვასთან დაკავშირებით, მათ არც უფიქრიათ, დაზარალებული ადამიანებისათვის დაებრუნებინათ მათგან აკრებილი თანხები, რომელთა საერთო რაოდენობამ ჯამში შეადგინა 36 000 ლარზე მეტი, ხოლო მოტყუებულ დაზარალებულთა რაოდენობამ 11 686 ადამიანს მიაღწია. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს მათ ქმედებაში დანაშაულებრივი განზრახვისა და მიზნის არსებობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ რ. კ-ს გასაჩივრებული განაჩენით სწორად შეერაცხა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება, ე.ი. თადლითობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და დიდი ოდენობით. ამასთან ერთად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა აღნიშნავს: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კოდექსის XXV თავით გათვალისწინებუ-

ლი, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ისეთ დანაშაულთა ქმედების შემადგენლობებში, როგორცაა ქურდობა, მარცვა, ყაჩაღობა, თაღლითობა, გამოძალვა, მითვისება და გაფლანგვა, ქონებრივი დაზიანება მოტყუებით და წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება, ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს მათი ჩადენა დიდი ოდენობით (მხედველობაშია საქართველოს სსკ-ის: 177-ე და 178-ე მუხლების მე-4 ნაწილების „ბ“ ქვეპუნქტები, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, 182-ე მუხლისა და 185-ე მუხლის მე-3 ნაწილების „ბ“ ქვეპუნქტები, 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი) ანუ როდესაც ნივთის (დანაშაულის საგნის) ღირებულება აღემატება 10 000 ლარს. მათ შორის ისეთი დანაშაულის ჩადენას როგორცაა თაღლითობა, ახასიათებს გარკვეული, სხვებისგან განსხვავებული სპეციფიკა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ როგორც ბოლო პერიოდის სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, მისი ჩადენისას შესაძლებელია, ერთბაშად მოტყუებული და დაზარალებული აღმოჩნდეს არა მხოლოდ ერთი ადამიანი, ანდა ათობით ადამიანი, არამედ ასეულობითა და ათასობით ადამიანიც კი, რა დროსაც დამნაშავესა თუ დამნაშავეთა ასეთი ქმედება შეიძლება განხორციელდეს ერთიანი განზრახვითა და მიზანდასახულობით, ესე იგი როდესაც აღნიშნული განზრახვა და დასახული მიზანი თავიდანვე მოიცავდა ყველა ცალკეული დაზარალებულისათვის მოსალოდნელი ზიანის მოცულობას, მისი ღირებულების ოდენობიდან გამომდინარე. მსგავსი შემთხვევის მიმართ სწორი სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის დადგენა პრობლემური ხდება სწორედ ქმედებით გამოწვეული ზიანის ოდენობის განსაზღვრის თვალსაზრისით. ამ საკითხის გადაწყვეტა კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რას მიიღებს სასამართლო ზიანის ოდენობის განსაზღვრულ კრიტერიუმად, კერძოდ, ცალკე აღებული, ერთი დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ოდენობას, თუ იმ ზიანის მთლიან მოცულობას, რაც ერთობლივად მიაღწია ყველა დაზარალებულს.

დიდი პალატა განმარტავს, რომ პრაქტიკაში შეიძლება შეგვხვდეს განსახილველი შემთხვევის ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ვარიანტები: პირველი ისეთი შემთხვევაა, როდესაც დამნაშავეს თავიდანვე აქვს გათვალისწინებული, რომ მისი ქმედების შედეგად მრავალი დაზარალებულიდან ცალკეულ მათგანს ან ერთ-ერთს მაინც მიაღწება დიდი ოდენობის ზიანი და, მამასადამე, ყველა დაზარალებულისათვის მიყენებული ერთობლივი ზიანიც იქნება დიდი ოდენობის; მეორე ისეთი შემთხვევაა, როდესაც დამნაშავე თავიდანვე ითვალისწინებდა, რომ მისი ქმედებით მრავალი დაზარალებულიდან ცალკე აღებულ არც ერთ დაზარალებულს არ მიაღწებოდა დიდი ოდენობის ზიანი და ასეთი მოცულობის იქნებოდა მხოლოდ მთლიანობაში – ყველა დაზარალებულისათვის ერთობლივად მიყენებული ზიანი, რაც რეალურადც ამგვარად განხორციელდა; მესამე შემთხვევაში კი შესაძლებელია, რომ არც ცალკე აღებული ერთი დაზარალებულისა და არც მრავალი დაზარალებულისათვის ერთობლივად მიყენებული ზიანის მოცულობა არ აღწევდეს დიდ ოდენობას. დასახელებულთაგან პირველი და მესამე შემთხვევების კვალიფიკაცია, დანაშაულით მიყენებული ზიანის ოდენობის თვალსაზრისით, პრობლემას არ წარმოადგენს.

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, მის მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ წინათ დამკვიდრებული პრაქტიკა მდგომარეობდა იმაში, რომ ერთიანი განზრახვითა და ერთიანი მიზნით მრავალი დაზარალებულის მიმართ დამნაშავეს მიერ განხორციელებული თაღლითობის ისეთი ნიშნით კვალიფიკაცია, როგორცაა მისი ჩადენა დიდი ოდენობით, შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დიდი ოდენობის ზიანი თუნდაც ერთი დაზარალებულისათვის მაინც იყო მიყენებული. შესაბამისად, მიყენებული ზიანის დიდ ოდენობად შეფასება არ დაიშვებოდა მრავალი დაზარალებულისათვის ერთობლივად მიყენებული ზიანის საერთო მოცულობის მიხედვით (სანიმუშოდ შეიძლება აღინიშნოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 თებერვლის განჩინება №1078-აპ მსჯავრდებულ დ.ვ.-ს საქმეზე, იხ: კრებულში – საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, კერძო ნაწილი, №12, 2008, გვ. გვ. 46-49; აგრეთვე მისამართზე: წყწ.სუპრემეცოურტ.გე), ვინაიდან საკასაციო პალატა თვლიდა, რომ განხილულ შემთხვევაში თაღლითობის ქმედება უშუალოდ ხელყოფს არა გარკვეული რაოდენობის ადამიანების ერთობლივ, კოლექტიურ ინტერესს, თუნდაც ერთი ქმედებით დაზარალებულთა საერთო რიცხვი ძალზე დიდ იყოს, არამედ ყოველი ცალკე აღებული დაზარალებულის კანონით დაცულ ინდივიდუალურ ინტერესსა და საკუთრების უფლებას, რომლის დაცვისკენაცაა მიმართული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი. ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთ შემთხვევაზე, როდესაც თაღლითის ერთიანი განზრახვითა და მიზნით განხორციელებული ქმედებით მრავალრიცხოვან დაზარალებულთა კრებადობა სრულიად შემთხვევით ხასიათს ატარებს და მათ შორის არ არსებობს რაიმე მყარი, გამაერთიანებელი სოციალური ურთიერთობა.

დღეისათვის მოცემული საკითხისადმი ასეთი მიდგომა და პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა ვერ ჩაითვლება სრულყოფილად, რადგან მან იმ ვითარებაში, როდესაც დანაშაულის ჩადენის სულ უფრო დახვეწილი და ქმედითი საშუალებები ჩნდება ერთიანი ქმედებით დიდი მასშტაბის მქონე ზიანის გამოწვევის შესაძლებლობათა გაფართოების თვალსაზრისით, შესაძლებელია პოტენციურ დამნაშავეს უზიმიგოს დანაშაულის ჩასადენად ისეთი ხერხების გამოსაყენებლად, რომლის მეშვეობითაც, ერთი მხრივ, მრავალი ადამიანის ინტერესების ხელყოფის გზით, მან მიიღოს დიდი შემოსავალი, ხოლო, მეორე მხრივ კი – თავი დააღწიოს მკაცრ პასუხისმგებლობას მძიმე და საშიში დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი. ამ ვითარებამ შესაძლოა,

წარმოშვას აშკარა უსამართლობა და გაუმართლებელი დისპროპორცია ფაქტობრივად ერთი და იმავე სიმძიმის ქმედებათა დასჯადობაში. მაგალითად, თუკი ერთმა დამნაშავემ თაღლითობით მოახერხა ისეთ დაზარალებულთა მრავალრიცხოვანი კრებულის მოტყუება, რომელიც ერთი იურიდიული პირის სახით იყო წარმოდგენილი და ხსენებული ქმედება სწორედ ამ იურიდიული პირის მიმართ იყო ჩადენილი, რომლის ზარალმა დიდ ოდენობას მიაღწია, იგი დაისჯება მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, ხოლო სხვა დამნაშავე, რომელმაც ერთი ქმედებით შესაძლოა ბევრად უფრო მეტი რაოდენობის, ხელმოკლე და სოციალურად შეჭირვებული ადამიანი მოატყუა და ზარალმა დიდი ოდენობა მხოლოდ ცალკეული დაზარალებულისათვის ერთობლივად მიყენებული, მცირე ან მნიშვნელოვანი ზიანის საერთო მოცულობით შეადგინა, დაისჯება ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის. უფრო მეტიც, შესაძლებელია ეს უკანასკნელი უფრო მსუბუქად დაისაჯოს იმ პირთან შედარებითაც კი, რომელმაც ეკონომიკურად და ფინანსურად ფრიად შეძლებულ და მდიდარ ადამიანს თაღლითურად გამოსტყუა თუნდაც 151 ლარი, ანდა იმავე ღირებულების ნივთი და ამ ოდენობის თანხით აზარალა, ეს მაშინ, როდესაც სრულიად აშკარაა ჩადენილი ქმედებების სიმძიმესა და თვით დამნაშავე პიროვნებათა საშიშროებას შორის არსებული სერიოზული განსხვავება.

გარდა ამისა, დიდ პალატას მიაჩნია: როდესაც კანონმდებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ცნებების განმარტებისას შესაბამისი სისხლის-სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებულ ძირითად შემადგენლობებში უთითებს სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისა თუ მისაკუთრების მიზანზე, ძალიან მაღალი ალბათობითაა სავარაუდო, რომ ამ შემთხვევაში იგი ქმედების კვალიფიკაციისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს იმ გარემოებას – ეს სხვისი ნივთი ერთ ადამიანს ეკუთვნის, თუ ორს ან მეტს. აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ნივთზე (ფული, ქონება), რომელსაც ეუფლება და ისაკუთრებს დამნაშავე, ამ უკანასკნელს არავითარი უფლება არ გააჩნია. ამიტომ განხილულ შემთხვევაში ერთიანი განზრახვითა და მიზნით ჩადენილი ქმედების დიდი ოდენობით კვალიფიკაციისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დაუფლებული და მისაკუთრებული, თუ საამისოდ გამიზნული ნივთის (ფულის, ქონების) საერთო ღირებულებას და არა უშუალოდ ცალკეული, კონკრეტული დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის მოცულობას. აქვე დიდი პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთი კვალიფიკაცია დიდი ოდენობის ნიშნით შეეხება არა მხოლოდ თაღლითობას, არამედ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებსაც, როგორცაა ქურდობა, ძარცვა და სხვა, ხოლო დიდი ოდენობის ნიშნით კვალიფიკაცია, სრულიად ცხადია, რომ არ დაიშვება ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, მრავალი იგივეობრივი ან ერთგვაროვანი დანაშაულის აქტი, რომელიც ჩადენილია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ჩამოყალიბებული განზრახვისა და მიზნის საფუძველზე, რაც ვერ იქნება მიჩნეული ერთიანი განზრახვად დანაშაულად და რეალურად გვევლინება როგორც დანაშაულთა რეალური ერთობლიობა, რადგან სამართლებრივად შეუძლებელია იგივეობრივ დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის არსებობა, გამომდინარე საქართველოს სსკ-ის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის შინაარსიდან.

ამრიგად, დიდი პალატა, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დაასკვნის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ 2012 წლის 7 მაისს რ. კ-ს მსჯავრდების საქმეზე გამოტანილ განაჩენში წარმოდგენილი პოზიცია, რომლის მიხედვით, მსჯავრდებულის ქმედება დაკვალიფიცირებულია საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, როგორც თაღლითობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და დიდი ოდენობით, მართალია, არ ეთანხმება ანალოგიურ საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ წინათ დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას, მაგრამ ამჟამინდელი საკანონმდებლო რეალობის გათვალისწინებითა და დასჯადობით პოლიტიკაში სამართლიანობის პრინციპის უზრუნველყოფის, აგრეთვე, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლში მოცემული ნორმების ადეკვატური და სრულყოფილი ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, უნდა ჩაითვალოს უფრო სწორად და დასაბუთებულად. შესაბამისად, უნდა შეიცვალოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკა აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე ამ ახალი განმარტების მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდ პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მაისის გამამტყუნებელი განაჩენი მსჯავრდებულ რ. კ-ს მიმართ როგორც ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის, ისე დასჯის ნაწილში არის კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად, ხოლო კასატორს ეთქვას უარი საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

დიდმა პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (2009 წლის 9 ოქტომბრის რედაქცია) 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, იმავე კოდექსის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და

დაადგინა:

მსჯავრდებულ რ. კ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდ გამოთხოვილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მაისის განაჩენი მსჯავრდებულ რ. კ-ს მიმართ დარჩეს უცვლელად.

რ. კ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ხოლო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. მასვე, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისროს ჯარიმა – 10 000 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულ რ. კ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია.

მსჯავრდებულ რ. კ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2011 წლის 16 თებერვლიდან.

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 19 თებერვლის №12/1952 განჩინებით სს „...“ ... კავშირის (ს/ნ ..) საბანკო №... GEL, ... USD და ... EUR ანგარიშზე დადებული ყადაღა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული დანაშაული

განაჩენიდან დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების ამორიცხვა

განაჩენი საქართველოს სახელით

№99-აპ-12

10 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
გ. შველიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ პ. ხ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 27 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 1 ნოემბრის განაჩენით პ. ხ-ს ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 15 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 25 აგვისტოდან.

პ. ხ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით – საექიმო საქმიანობის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის შენახვისა და ტარების უფლებები.

იმავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და ლ. ჯ-ს შორის. ლ. ჯ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე 1 წელი განესაზღვრა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 1 წელი სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე პირობით არ იქნა სისრულეში მოყვანილი და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 წელი. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 10 000 ლარის ოდენობით. მას სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 24 აგვისტოდან.

ლ. ჯ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლება, ხოლო 10 წლით – საექიმო საქმიანობის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საჯარო

რო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლებები, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

პ. ხ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღება.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

პ. ხ-მ გამოიძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით – **0,15** გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი **18** აბი და აბის **2** ნატეხი, საიდანაც ნაწილს, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – **0,1349** გრამ ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველ **16** აბს და აბის **2** ნატეხს უკანონოდ ინახავდა პირადად, ხოლო ნაწილი, დიდი ოდენობით – **0,0151** გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი **2** აბი, **2011** წლის **20** აგვისტოს, დაახლოებით **17.00** საათზე, ქ. თბილისში, წყნეთის ქუჩაზე, **300** ლარის წინასწარ, ხოლო **1200** ლარის შემდგომში გადახდის საფასურად უკანონოდ გაასაღა ლ. ჯ-ზე. მითითებული ნარკოტიკული ნივთიერება ამოღებულ იქნა ამ უკანასკნელის პირადი ჩხრევის დროს.

2011 წლის **25** აგვისტოს საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქ. თბილისში, წყნეთის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, დააკავეს პ. ხ-ა, რომლის პირადი ჩხრევისას ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით – **0,1349** გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი **16** აბი და აბის **2** ნატეხი, რომლებსაც იგი უკანონოდ ინახავდა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის **2012** წლის **27** იანვრის განაჩენით დარჩა უცვლელად. თბილისის სააპელაციო სასამართლოს **2012** წლის **5** ივლისის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს **2012** წლის **27** იანვრის განაჩენი დაზუსტდა ნივთმტკიცებათა ნაწილში.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა პ. ხ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებიდან, შესაბამისად, იგი, როგორც უკანონო და დაუსაბუთებელი, უნდა გაუქმდეს და მის ნაცვლად დადგეს გამამართლებელი განაჩენი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ და საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მათ შორის – პ. ხ-ს პირადი ჩხრევის ოქმითა და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს, რომ მსჯავრდებულმა უკანონოდ შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება.

ამასთან, პ. ხ-ს ქმედებაში არ დასტურდება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი. გასაჩივრებული განაჩენი ამ ნაწილში ეყრდნობა მხოლოდ მსჯავრდებულ ლ. ჯ-ს ჩვენებას, კერძოდ: ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ დაკავებისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება პ. ხ-სგან ჰქონდა შექმნილი.

საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, **259-ე** მუხლის მე-3 ნაწილისა და **273-ე** მუხლის **1-ლი** ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში უნდა აღინიშნოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. საქართველოს სსსკ-ის **82-ე** მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. კანონის აღნიშნულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, მსჯავრდებულ ლ. ჯ-ს ჩვენების გარდა, რა მტკიცებულებაზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად პ. ხ-ს ქმედებაში დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღებაზე და ბრალდების ამ ეპიზოდში მსჯავრდებულის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა. პ. ხ-ს მსჯავრი უნდა დაედოს მხოლოდ განსაკუთრებით დიდი ოდენობით იმ ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა – შენახვაში, რომელიც მას ფაქტობრივად აღმოაჩინდა პირადი ჩხრევისას. შესაბამისად, ბრალდების მოცულობის შემცირების გამო, მსჯავრდებულს უნდა შეუმსუბუქდეს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი, ხოლო „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები უნდა ჩამოერთვას **5** წლით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი და დასაბუთებულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, 307-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ პ. ხ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 27 იანვრის განაჩენიდან ამორიცხოს მითითება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღებაზე და ბრალდების ამ ეპიზოდში პ. ხ-ს მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

პ. ხ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 15 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 1 წლითა და 6 თვით და საბოლოოდ მიესაჯოს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მას სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 25 აგვისტოდან.

პ. ხ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო საქმიანობის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენიდან დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების ამორიცხვა

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№204-აპ-12

12 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

დ. სულაქველიძე

განიხილა მსჯავრდებულ ლ. გ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 11 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 8 თებერვლის განაჩენით ლ. გ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 17 ნოემბრიდან.

ლ. გ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით – საექიმო საქმიანობის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება.

იმავე განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და ბრალდებულებს – კ. შ-სა და დ. ხ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

კ. შ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით; დანიშნული სასჯელიდან, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის თანახმად, 1 წელი განესაზღვრა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 2 წელი საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 10 000 ლარი;

მასვე 5 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონში მითითებული უფლებები. კ. შ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 17 ნოემბრიდან.

დ. ხ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებით და სასჯელის სახით საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 6 თვის ვადით; დანიშნული სასჯელიდან, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის თანახმად, 6 თვე განესაზღვრა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 2 წელი საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 10 000 ლარი; მასვე 5 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონში მითითებული უფლებები. დ. ხ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 17 ნოემბრიდან.

ლ. გ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა და გასაღება.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

დ. ხ-მა და კ. შ-მ ერთად, წინასწარი შეთანხმებით, 2011 წლის 17 ნოემბერს ლ. გ-სგან ქ. თბილისში, საბურთალოს ქუჩაზე, 500 ლარად უკანონოდ შეიძინეს და შეინახეს 0,0141 გრამი – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი აბის 4 ნატეხი, რაც შემდგომ ერთმანეთში გაინაწილეს მათ მიერ დადებული თანხის შესაბამისად; ნაწილი, 150 ლარის ღირებულების შესაბამისი 0,0037 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი 1 აბის ნატეხი შეინახა პირადად დ. ხ-მა, ხოლო ნაწილი, 350 ლარის ღირებულების შესაბამისი 0,0104 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი აბის 3 ნატეხი კი კ. შ-მ შეინახა პირადად.

2011 წლის 17 ნოემბერს საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქ. თბილისში დააკავეს დ. ხ-ი და კ. შ-ე. დ. ხ-ს პირადი ჩხრეკისას ამოიღეს 0,0037 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი აბის 1 ნატეხი, ხოლო კ. შ-ს პირადი ჩხრეკისას – 0,0104 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი აბის 3 ნატეხი.

ლ. გ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა და შეინახა 0,0365 გრამი – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი აბის 10 ნატეხი, საიდანაც ნაწილი, 0,0141 გრამი დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი აბის 4 ნატეხი, 2011 წლის 17 ნოემბერს ქ. თბილისში, საბურთალოს ქუჩაზე, 500 ლარის საფასურად უკანონოდ გაასაღა კ. შ-სა და დ. ხ-ზე, რაც ამოღებულ იქნა მათი დაკავებისას.

2011 წლის 17 ნოემბერს საქართველოს შს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქ. თბილისში დააკავეს ლ. გ-ა, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს 0,0203 გრამი – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი აბის 5 ნატეხი, ხოლო თბილისში მდებარე მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოიღეს 0,0021 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი აბის 1 ნატეხი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 11 აპრილის განაჩენით დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ლ. გ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი მისთვის დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღების ბრალად შერაცხვის ნაწილში არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებიდან, შესაბამისად, ამ ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს, ხოლო დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვისთვის კი მინიმალური სასჯელი განესაზღვროს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ და საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მათ შორის – ლ. გ-ს ჩვენებით, ლ. გ-ს პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმებითა და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს, რომ მსჯავრდებულმა უკანონოდ შეიძინა და შეინახა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება.

ამასთან, ლ. გ-ს ქმედებაში არ დასტურდება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი. გასაჩივრებული განაჩენი ამ ნაწილში ეყრდნობა მხოლოდ მსჯავრდებულ კ. შ-ს ჩვენებას, კერძოდ: ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ დაკავებისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება 500 ლარად შეიძინა ლ. გ-სგან.

საქართველოს სსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში უნდა აღინიშნოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასა-

მართლოს დასკვნა. საქართველოს სსკ-ის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. კანონის მითითებულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, მსჯავრდებულ კ. შ-ს ჩვენების გარდა, რა მტკიცებულებაზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად ლ. გ-ს ქმედებაში დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღებაზე და ბრალდების ამ ნაწილში მსჯავრდებული გამართლდეს. ლ. გ-ს მსჯავრი უნდა დაედოს მხოლოდ დიდი ოდენობით იმ ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა – შენახვაში, რომელიც მას ფაქტობრივად აღმოაჩნდა პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას. შესაბამისად, ბრალდების მოცულობის შემცირების გამო, მსჯავრდებულს უნდა შეუმსუბუქდეს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი, ხოლო „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები უნდა ჩამოერთვას 5 წლით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი და დასაბუთებულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, 307-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ლ. გ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 11 აპრილის განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღებაზე და ბრალდების ამ ნაწილში ლ. გ-ა გამართლდეს.

ლ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 2 წლით და საბოლოოდ მიესაჯოს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მას სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 17 ნოემბრიდან.

ლ. გ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო საქმიანობის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენიდან დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების ამოირიცხვა

განაჩენი საქართველოს სახელით

№228-აპ-12

16 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

დ. სულაქველიძე

განიხილა მსჯავრდებულ დ. მ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 10 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 2 მარტის განაჩენით დ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 8 ოქტომბრიდან.

დ. მ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით – საექიმო საქმიანობის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

იმავე განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და ბრალდებულებს – ი. ხ-სა და ვ.ნ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

ი. ხ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე 3 წელი განესაზღვრა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 5 წელი ჩაეთვალა პირობით და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 6 წელი. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 4000 ლარი, ხოლო საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა – 750 ლარი, როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში. მას სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 8 ოქტომბრიდან.

ი. ხ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით – საექიმო საქმიანობის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

ვ. ნ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე 6 თვე განესაზღვრა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 4 წელი და 6 თვე ჩაეთვალა პირობით და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის შესაბამისად, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 5 წელი და 6 თვე. მას სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2010 წლის 8 ოქტომბრიდან.

ვ. ნ-ს 5 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონში მითითებული უფლებები.

დ. მ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვა და გასაღება.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

დ. მ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა და შეინახა დიდი ოდენობით – 0,0461 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი 3 აბი და აბის 6 ნატეხი, საიდანაც ნაწილს – დიდი ოდენობით – 0,0198 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველ ერთ აბს და აბის 3 ნატეხს უკანონოდ ინახავდა პირადად და თავის საცხოვრებელ ბინაში, ხოლო ნაწილი – დიდი ოდენობით – 0,0263 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი 2 აბი და აბის 3 ნატეხი, 2011 წლის 6 ოქტომბერს ქ. თბილისში უკანონოდ გაასაღა ი. ხ-ზე, რაც ამოიღეს ამ უკანასკნელის პირადი, ბინის ჩხრეკისა და ვ. ნ-ს ბინის ჩხრეკისას.

2011 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში დააკავეს დ. მ-ე, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს 0,0079 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი აბის 2 ნატეხი, ხოლო ქ. გორში მდებარე მისი ბინის ჩხრეკისას, ამოიღეს 0,0119 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი 1 აბი და აბის 1 ნატეხი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 10 მაისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა დ. მ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღების ნაწილში, ხოლო დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა-შენახვისთვის კი – მინიმალური სასჯელის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ და საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მათ შორის – დ. მ-ს ჩვენებით, დ. მ-ს პირადი ჩხრეკის ოქმითა და ქიმიური ექსპერტიზის დას-

კვნიტ უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს, რომ მსჯავრდებულმა უკანონოდ შეიძინა და შეინახა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დ. მ-სთვის დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების ბრალად შერაცხვა ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, კერძოდ:

საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში უნდა აღინიშნოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. გასაჩივრებული განაჩენი კი დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე, ვინაიდან ი. ხ-ს ჩვენება არ დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით. რაც შეეხება საგამომიებო ექსპერიმენტის ოქმს, რომლიდანაც ირკვევა, რომ ი. ხ-მ დაურეკა დ. მ-ს და უთხრა ჩამოსულიყო (ხ-ს განმარტებით, სიტყვა «ჩამოსვლა» ნიშნავდა იმას, რომ მ-ს მისთვის ნარკოტიკული საშუალება უნდა ჩამოეტანა), ვერ იქნება მიჩნეული დ. მ-ს ბრალის (გასაღების ნაწილში) დამადასტურებელ მტკიცებულებად, ვინაიდან ის ფაქტი, რომ სიტყვა «ჩამოსვლა» ნიშნავდა ნარკოტიკული საშუალების ჩამოტანას, მხოლოდ იმავე ხ-ს ჩვენებით დასტურდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღებაზე და ბრალდების ამ ნაწილში მსჯავრდებული გამართლდეს. შესაბამისად, ბრალდების მოცულობის შემცირების გამო, მსჯავრდებულს უნდა შეუმსუბუქდეს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი, ხოლო „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები უნდა ჩამოერთვას 5 წლით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი და დასაბუთებულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, 307-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. მ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 10 მაისის განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღებაზე და ბრალდების ამ ნაწილში დ. მ-ე გამართლდეს.

დ. მ-ს საქართველოს სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს 2 წლით და საბოლოოდ მიესაჯოს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის ვადის ათვლა დაეწიოს 2011 წლის 8 ოქტომბრიდან.

დ. მ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო საქმიანობის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენიდან დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების ამორიცხვა

განაჩენი საქართველოს სახელით

№323-აპ-12

19 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ი. მ-ას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 აპრილის განაჩენით ი. მ-ა, სასამართლოევი, ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 15 წლით, ხოლო 273-ე მუხლით (2011 წლის 17 მარტისა და 4 დეკემბრის ეპიზოდები) – 1-1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შეკრების წესით, ი. მ-ას სასჯელად განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განაჩენით ი. მ-ას მიმართ დადგენილი პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებით, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წელი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ი. მ-ას სასჯელად განესაზღვრა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2011 წლის 4 დეკემბრიდან.

ი. მ-ას «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, ხოლო 15 წლით – საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 15 ივნისის განჩინებით ი. მ-ას მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და გირაოს თანხა – 2000 ლარი, სსკ-ის მე-200 მუხლის თანახმად, უნდა გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი: ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 22 აბი და აბის 2 ნატეხი, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს, ხოლო ი. მ-ას დაკავებისა და ჩხრეკისას ამოღებული პირადი ნივთები უნდა დაუბრუნდეს ი. მ-ას ნდობით აღჭურვილ პირს.

განაჩენით ი. მ-ას მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებაში (ორი ეპიზოდი), ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებული პირის მიერ; ჰქონდა რა ჩადენილი საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, ჩაიდინა არაერთგზის და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღება, რაც გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 14 თებერვლის დადგენილებით ი. მ-ას ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 500 ლარი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ი. მ-ამ გააგრძელა ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარება, კერძოდ: 2011 წლის 17 მარტს ი. მ-ა კვლავ იმყოფებოდა ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ, რაც დადასტურდა საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს გამოკვლევის №... ლაბორატორიული დასკვნით, რომლითაც ი. მ-ას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება «ბუპრენორფინის» მიღების ფაქტი.

ი. მ-ამ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით 0,2155 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 22 აბი და აბის 12 ნატეხი, საიდანაც ნაწილი – აბის 10 ნატეხი უკანონოდ გაასაღა თავის ნაცნობ ლ. გ-ზე. 2011 წლის 17 ნოემბერს ლ. გ-ამ ი. მ-სგან უკანონოდ შექმნილ- შენახული დიდი ოდენობით 0,0365 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის 10 ნატეხიდან ნაწილი – დიდი ოდენობით 0,0141 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის 4 ნატეხი თბილისში, ს-ოს ქუჩაზე, 500 ლარად უკანო-

ნოდ გაასალა კ. შ-ისა და დ. ხ-ზე, რაც სამართალდამცველებმა ამოიღეს მათი დაკავებისას. იმავე დღეს დააკავეს ლ. გ-ა, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს ი. მ-სგან უკანონოდ შეძენილი და შენახული დიდი ოდენობით **0,0203** გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის **5** ნატეხი, ხოლო მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, თბილისში, ს-ოს ქუჩა №...-ის, ბინა №... „ა“-ში, ამოიღეს **0,0021** გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის **1** ნატეხი.

2011 წლის **4** დეკემბერს საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, ვ-ას გამზირის №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, დააკავეს ი. მ-ა, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით **0,179** გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი **22** აბი და აბის **2** ნატეხი. იმავე დღეს ჩატარებული ნარკოლოგიური ექსპერტიზის შედეგად ი. მ-ას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარების ფაქტი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ი. მ-ამ და ითხოვა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა, გასაღების ბრალდებაში გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის **2012** წლის **5** ივლისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს **2012** წლის **12** აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ი. მ-ამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა აღნიშნა, რომ იგი არის მხოლოდ მომხმარებელი და თავს დამნაშავედ არ ცნობს ნარკოტიკების გასაღების ნაწილში. ამდენად, ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება.

საქართველოს შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორმა დ. მ-მა საკასაციო საჩივრის შესაგებლით ითხოვა ი. მ-ას საკასაციო საჩივრის მოთხოვნის არ დაკმაყოფილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენის ძალაში დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ი. მ-ას საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მისი გამართლების შესახებ, უსაფუძვლოდ გამო.

ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ი. მ-ას დაკავებისა და პირადი ჩხრეკისას ამოღებული აბები და აბის ნატეხები წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველ პრეპარატ „სუბოტექსის“, რომელშიც ნარკოტიკული ნივთიერება „ბუპრენორფინის“ საერთო შემცველობა შეადგენს **0,179** გრამს.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მოწმეების: გ. წ-ის, ა. გ-სა და კ. შ-ის ჩვენებებით, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, ქიმიური ექსპერტიზის, ნარკოლოგიური შემოწმების დასკვნებითა და საქმის სხვა მასალებით ი. მ-ას მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა, ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების გარდა, დადასტურებულია, მაგრამ სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ი. მ-ას მიმართ შერაცხული მსჯავრდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის **260**-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში – ემყარება მხოლოდ ბრალდების მხარის – საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლების – გ. წ-ისა და ა. გ-ას მიერ წარმოდგენილ ჩვენებებსა და ასევე მოწმე კ. შ-ის ჩვენებას.

ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლების – გ. წ-ისა და ა. გ-ას მიერ მიცემული ჩვენებებით დადგენილია, რომ მათ მიერ **2011** წლის **4** დეკემბერს თბილისში, ვ-ას გამზირზე, მისსავე ავტომანქანაში დაკავებულ ი. მ-ას, რომელსაც ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, შარვლის ჯიბიდან ამოუღეს პატარა ზომის პლასტმასის ყუთი (კონტეინერი), რომელშიც აღმოჩნდა **22** მთლიანი აბი და აბის ორი ნატეხი, რომლებიც ამოღებისთანავე მოათავსეს პაკეტში და დალუქეს შესაბამისი წესით, რაც დასტურდება დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით.

მოწმე კ. შ-ე კი ჩვენებებში აღნიშნავს, რომ **2011** წლის ნოემბერში მან ნაცნობ ლ. გ-ასაგან **500** ლარად შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი „სუბოტექსის“ აბის ოთხი ნატეხი; იმავე გ-ასგან გადმოცემით იცის, რომ მან „სუბოტექსის“ აბები შეიძინა ი. მ-ასაგან; ლ. გ-ამ ი. მ-ას ფული გადასცა თუ არა, მან არ იცის. თავად ლ. გ-ა კი არ აღიარებდა ი. მ-ასაგან ნარკოტიკების შეძენის ფაქტს.

არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ი. მ-ას მიერ ნარკოტიკების გასაღების ფაქტს.

პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი ნარკოტიკების გასაღების ნაწილში აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე. ზემოაღნიშნული ბრალდების მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებები ნარკოტიკების გასაღების ნაწილში ნაკლებსარწმუნოა, არც სხვა მტკიცებულებებითაა გამყარებული და, შესაბამისად, უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა.

საქართველოს სსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ი. მ-ა არის ნარკოტიკების გამსაღებელი. საქართველოს სსკ-ის მე-5 მუხლის თანახმად: „მტკიცებულებების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ», ხოლო იმავე კოდექსის 259-ე მუხლის III ნაწილის თანახმად: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს».

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

ი. მ-ას განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს მითითება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღებაზე და იგი ბრალდების ამ ნაწილში გამართლდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მოცულობის შემცირების გამო, მსჯავრდებულს 1 წლით უნდა შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით – ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – 15 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელად განესაზღვროს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, განაჩენთა ერთობლიობით კი საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 19 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო “ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები უნდა ჩამოერთვას 5 წლით.

განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ« ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ი. მ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ივლისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

ი. მ-ას განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღებაზე და იგი ბრალდების ამ ნაწილში გამართლდეს.

ი. მ-ას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით – ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – 15 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს 1 წლით და სასჯელად განესაზღვროს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ი. მ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით – 14 წლით, ხოლო 273-ე მუხლით (2011 წლის 17 მარტისა და 4 დეკემბრის ეპიზოდები) – 1-1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შეკრების წესით, ი. მ-ას სასჯელად განესაზღვროს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განაჩენით ი. მ-ას მიმართ დადგენილი პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებით, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წელი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ი. მ-ას სასჯელად განესაზღვროს 19 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამასთან, ი. მ-ას «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის II ნაწილის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენიდან დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების ამორიცხვა

განაჩენი საქართველოს სახელით

№338-აპ-12

19 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ გ. ხ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 26 აპრილის განაჩენით გ. ხ-ე, ნასამართლობა – გაქარწყლებული, ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2011 წლის 29 ნოემბრიდან.

გ. ხ-ეს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, ხოლო 15 წლით – საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

იმავე განაჩენით: გ. გ-ა, ნასამართლობა გაქარწყლებული, ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2011 წლის 29 ნოემბრიდან.

გ. გ-ას «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და ბრალდებულ კ. ფ-ს შორის.

კ. ფ-ი, ნასამართლობის არმქონე, ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც იმავე კოდექსის 50-ე მუხლის საფუძველზე 1 წელი განესაზღვრა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 2 წელი, სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალა პირობითი მსჯავრით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით კ. ფ-ს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 10 000 ლარი.

იგი სასჯელს იხდის 2011 წლის 29 ნოემბრიდან.

კ. ფ-ს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენით გ. ხ-ეს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით უკანონოდ შექმნა, შენახვა, გასაღებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. ხ-ემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და შეინახა დიდი ოდენობით 0,0289 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი“ ფხვნილის, აბებისა და ხსნარის სახით, საიდანაც ნაწილი – ქალაქში 2 ცალად დაფასობული 0,007 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი ფხვნილი 2011 წლის 29 ნოემბერს თბილისში, ე. გ-ის ქუჩაზე, 300 ლარად უკანონოდ გაასაღა გ. გ-სა და კ. ფ-ზე. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება სამართალდამცავებმა ამოიღეს ამ პირების დაკავებისას.

2011 წლის 29 ნოემბერს საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, ა. ყ-ის გამზირის №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, დააკავეს გ. ბ-ე, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს ვერცხლისფერ ფოლგის ქაღალდში შეხვეული 0,0021 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი ფხვნილი, ხოლო მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას კი ამოიღეს დიდი ოდენობით 0,0198 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი“ ფხვნილის, აბებისა და ხსნარის სახით.

2011 წლის 29 ნოემბერს საქართველოს შსს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, ტ-ის ქუჩის №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, დააკავეს კ. ფ-ი და გ. გ-ა. მათ კ. ფ-ის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს ქაღალდში 1 ცალად დაფასოებული 0,0026 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი ფხვნილი, ხოლო გ. გ-ას პირადი ჩხრეკისას – 0,0044 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი ფხვნილი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. ბ-ემ, რომელმაც ითხოვა გამართლება ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში და დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

განაჩენი სააპელაციო წესით ასევე გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. გ-ამ, რომელმაც ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივლისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 26 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. ბ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციის ამორიცხვა და სასჯელის შემსუბუქება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

ბრალდების მოწმეების – ზ. ჯ-ისა და მ. მ-ის ჩვენებებით დადგენილია, რომ 2011 წლის 29 ნოემბერს მათ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს გ. გ-ა და კ. ფ-ი. პირადი ჩხრეკისას გ. გ-სგან ამოიღეს ნარკოტიკული ნივთიერება „სუბოტექსი“, რომელიც, მისი თქმით, მან შეიძინა გ. ბ-საგან და მიუთითა მისი საცხოვრებელი მისამართიც.

ბრალდების მოწმეების – რ. ე-ასა და ე. ი-ას ჩვენებებით დადგენილია, რომ 2011 წლის 29 ნოემბერს მათ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ქ. თბილისში, ტ-ის ქუჩაზე, დააკავეს და გაჩხრეკეს კ. ფ-ი, რომელიც იმყოფებოდა გ. გ-ასთან ერთად. პირადი ჩხრეკისას კ. ფ-ის ქურთუკის ჯიბიდან ამოიღეს ქაღალდში შეხვეული ფხვნილისებრი ნივთიერება, რაც ადგილზევე შეიფუთა და დაილუქა. კ. ფ-მა ამოღებულ ნივთიერებაზე განაცხადა, რომ ეს იყო ნარკოტიკული საშუალება „სუბოტექსი“, რაც მას დაკავებამდე გადასცა გ. გ-ამ.

მსჯავრდებულ კ. ფ-ის ჩვენებით, მან და გ. გ-ამ შეკრიბეს თანხა – 150-150 ლარი, რის შემდეგაც გ. გ-ამ მიუტანა მას ნარკოტიკული საშუალება «სუბოტექსი», რაც ამოიღეს კიდეც სამართალდამცავებმა მისი პირადი ჩხრეკისას.

საქმის არსებითი განხილვის დროს გ. გ-ამ განაცხადა, რომ მას ნარკოტიკი გ. ბ-ისაგან არ შეუძენია, იგი შეიძინა უცნობი პირისაგან. რაც შეეხება ნარკოტიკის რეალიზაციას, იგი მას კ. ფ-ისათვის არ მიუყვია.

გ. ბ-ემ კი აღნიშნა, რომ არის ნარკოტიკების მომხმარებელი, იყო ჩანაცვლების პროგრამაში და ის ნარკოტიკული ნივთიერება, რომელიც მას აღმოაჩნდა, ჰქონდა მხოლოდ პირადი მოხმარებისათვის, რაც შეეხება ნარკოტიკული ნივთიერების გასაღებას, ამ ნაწილში თავს არ ცნობს დამნაშავედ.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: გ. ბ-ის მიერ ბრალის ნაწილობრივი აღიარებით, მსჯავრდებულების – გ. გ-ასა და კ. ფ-ის ჩვენებებით, მოწმეების – თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლების: ზ. ჯ-ის, მ. მ-ის, რ. ე-ას, ე. ი-ას, რ. მ-ის, ჯ. კ-ის ჩვენებებით, საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს დასკვნებით, ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნით, მსჯავრდებულების პირადი და ბინის ჩხრეკის ოქმებითა და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულ გ. ბ-ისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების გარდა, დადასტურებულია, მაგრამ სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა გ. ბ-ის მიერ ნარკოტიკების გასაღების ფაქტს.

პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი ნარკოტიკების გასაღების ნაწილში აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე. ზემოაღნიშნული ბრალდების მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებები ნარკოტიკების გასაღების ნაწილში ნაკლებსარწმუნოა, არც სხვა მტკიცებულებებითაა გამყარებული და, შესაბამისად, უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა.

საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივ-

რულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ გ. ხ-ე არის ნარკოტიკების გამსაღებელი. საქართველოს სსსკ-ის მე-5 მუხლის თანახმად: „მტკიცებულებების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ», ხოლო იმავე კოდექსის 259-ე მუხლის III ნაწილის თანახმად: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს».

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

გ. ხ-ეს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს მითითება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღებაზე და იგი ბრალდების ამ ნაწილში გამართლდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მოცულობის შემცირების გამო, მსჯავრდებულს 1 წლით უნდა შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელად განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები უნდა ჩამოერთვას 5 წლით.

განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივლისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

გ. ხ-ეს განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღებაზე და იგი ბრალდების ამ ნაწილში გამართლდეს.

გ. ხ-ეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს 1 წლით და სასჯელად განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამასთან, გ. ხ-ეს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის II ნაწილის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა, გასაღება

განაჩენი საქართველოს სახელით

№222-აპ-12

14 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

დ. სულაქველიძე

განიხილა მსჯავრდებულ ტ. ა-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 24 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 16 დეკემბრის განაჩენით ტ. ა-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« ქვეყნ-ქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის ვადის ათვლა უნდა დაეწყოს დაკავების დღიდან.

ტ. ა-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ« საქართველოს კანონის საფუძველზე 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით – საექიმო საქმიანობის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

ტ. ა-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვა და გასაღება.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ტ. ა-ა თურქეთის რესპუბლიკაში, ქ. სტამბულში, ეწეოდა ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციას. 2011 წლის 5 მარტს მას ტელეფონით დაუკავშირდა მისი თანასოფლელი – შ. რ-ი, რათა მისგან შეემძინა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი«. სატელეფონო საუბარში ისინი შეთანხმდნენ, რომ შ. რ-ი გაუგზავნიდა 350 აშშ დოლარს, რის სანაცვლოდაც ტ. ა-ა გადასცემდა ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს«.

2011 წლის 12 მარტს შ. რ-ი ქ. თბილისში, სასტუმრო „ქ-ს« მიმდებარე ტერიტორიაზე, შეხვდა მეგობარს – ჯ. ბ-ს, რომელსაც ტ. ა-სთვის გადასაცემად გადასცა 500 ლარი, ასევე შეუძინა თურქეთის რესპუბლიკაში თვითმფრინავით გასამგზავრებელი ბილეთი. იმავე დღეს ჯ. ბ-ე შ. რ-ს დავალებით გაემგზავრა თურქეთის რესპუბლიკაში, სადაც ქ. სტამბულში შეხვდა შ. რ-ს ნაცნობს – ტ. ა-ს, რომელსაც გადასცა 500 ლარი. თავის მხრივ ტ. ა-მ გაასაღა მის მიერ დაუდგენელ ვითარებაში უკანონოდ შექმნილი დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი«, რომლის ნაწილიც ჯ. ბ-მ იქვე მოიხმარა, ნაწილი კი გადამალა ტ. ა-ს მიერ წინასწარ მომზადებულ სამალავში – სამგზავრო ჩანთის გორგოლაჭების ლითონის მილში.

2011 წლის 13 მარტს ჯ. ბ-ე ტ. ა-მ გამოაცილა თურქეთის რესპუბლიკის ქ. სტამბულიდან. იმავე დღეს ჯ. ბ-მ გადმოკვეთა საქართველოს საჰაერო სივრცე და საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოიტანა ნარკოტიკული საშუალება. 2011 წლის 13 მარტს, 3 საათსა და 50 წუთზე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ჯ. ბ-ს დახვდა შ. რ-ი და მას გადასცა უკანონოდ შექმნილი ნარკოტიკული საშუალება, რა დროსაც ისინი დააკავეს თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა. ჩატარებული პირადი ჩხრეკისას, შ. რ-ს შარვლის წინა, მარჯვენა ჯიბიდან ამოიღეს ჯ. ბ-ს მიერ მისთვის გადაცემული, ერთ ცალად დაფასოებული, მოყავისფრო-მოყვითალო ნივთიერება ფხვნილისა და გრანულების სახით, წონით 0,11668, რაც ქიმიური ექსპერტიზის №284/სქ დასკვნის თანახმად, წარმოადგენს კუსტარულად მიღებულ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინის« შემცველ ნივთიერებას, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება «ჰეროინის» რაოდენობა შეადგენს 0,0058 გრამს, ხოლო ჯ. ბ-ს პირადი ჩხრეკისას სამგზავრო ჩანთის წინასწარ მომზადებული სამალავიდან, კერძოდ, გორგოლაჭების ლითონის მილიდან, ამოღებულ იქნა ერთ ცალად დაფასოებული, მოყავისფრო-მოყვითალო ნივთიერება ფხვნილისა და წვრილი გრანულების სახით, წონით 2,5872 გრამი, რაც ქიმიური ექსპერტიზის №285/სქ დასკვნის თანახმად, ასევე წარმოადგენს კუსტარულად მიღებულ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინის« შემცველ ნივთიერებას, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის« რაოდენობა შეადგენს 0,129 გრამს. მთლიანობაში ჯ. ბ-სა და შ. რ-ს მიერ ტ. ა-სგან უკანონოდ შექმნილმა ნარკოტიკულმა საშუალებამ „ჰეროინმა« შეადგინა 0,1348 გრამი.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 24 აპრილის განაჩენით დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ტ. ა-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებიდან, შესაბამისად, იგი, როგორც უკანონო და დაუსაბუთებელი, უნდა გაუქმდეს და მის ნაცვლად დადგეს გამამართლებელი განაჩენი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ და საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მათ შორის – მოწმეების: შ. რ-ს, ჯ. ბ-ს, შ. ბ-ს, ვ. კ-ს, ი. ს-ს, ვ. ჩ-ს, ს. ა-სა და მ. ო-ს ჩვენებით, პირადი ჩხრეკისა და ფოტოსურათით ამოცნობის ოქმებით, ასევე ექსპერტიზის დასკვნებით უტყუარადაა და-

დასტურებული და ეჭვს არ იწვევს, რომ მსჯავრდებულმა უკანონოდ შეიძინა, შეინახა და გაასალა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება.

საკასაციო პალატა არ იზიარებს საკასაციო საჩივრის მოტივებს და მიაჩნია: დაცვის მხარის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ არ უნდა იქნეს გაზიარებული შ. რ-სა და ჯ. ბ-ს ჩვენებები, ვინაიდან ისინი ნარკომანები არიან, საფუძველს მოკლებულია, რადგან მათი ჩვენებები არის თანმიმდევრული და თანხვედრილი როგორც ერთმანეთის ჩვენებებთან, ისე საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან. ასევე საგულისხმოა ის გარემოება, რომ შ. რ-ს ნარკოლოგიური შემოწმების №7021543 დასკვნით არ დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი. აქედან გამომდინარე, ჯ. ბ-სა და შ. რ-ს ჩვენებებში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ არ არის დადგენილი, თუ ვისთან ჰქონდა შ. რ-ს სატელეფონო საუბარი. მოწმეების: შ. რ-სა და ჯ. ბ-ს ჩვენებებით, ფოტოსურათით ამოცნობის ოქმითა და ჯ. ბ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ტ. ა-ს სახელზე გაცემული პირადობის მოწმობით უტყუარად დასტურდება და ეჭვს არ იწვევს, რომ შ. რ-ს თანამოსაუბრე ტ. ა-ა იყო.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში მითითებული ფაქტობრივი გარემოება – რომ შ. რ-მა ჯ. ბ-ს ტ. ა-სთვის გადასაცემად გადასცა 500 ლარი, რაც, თავის მხრივ, ჯ. ბ-მ გადასცა თურქეთში ტ. ა-ს – არ დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით; შესაბამისად, აღნიშნული გარემოება განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 24 აპრილის განაჩენით ტ. ა-ს ცნობილ იქნა დამნაშავედ დიდი ოდენობით – 0,1348 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ უკანონოდ შეძენა, შენახვა, გასაღებაში, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. მსჯავრდებულის ქმედების აღნიშნული კვალიფიკაცია ეფუძნებოდა „უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ 2003 წლის 23 ივლისის საქართველოს პარლამენტის დადგენილებას, რომლის თანახმადაც, 1 გრამამდე (1 გრამის ჩათვლით) ოდენობით „ჰეროინი“ მიეკუთვნებოდა დიდ ოდენობას. აღნიშნული ნორმატიული აქტი ძალადაკარგულად გამოცხადდა „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ 2012 წლის 22 მაისის საქართველოს კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან – 2012 წლის 8 ივლისიდან, რომლის თანახმადაც, 0,2 გრამამდე ოდენობით „ჰეროინი“ ითვლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საწყის ოდენობად და, შესაბამისად, ქმედების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაკვალიფიცირების საფუძველს წარმოადგენს. იქიდან გამომდინარე, რომ ტ. ა-მ, ექსპერტის №284/სქ. და №285/სქ დასკვნების შესაბამისად, უკანონოდ შეიძინა, შეინახა და გაასალა 0,1348 გრამი ნარკოტიკული საშუალება «ჰეროინი», მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს იმავე მუხლის 1-ლ ნაწილზე. შესაბამისად, ბრალდების მოცულობის შემცირების გამო, მსჯავრდებულს უნდა შეუმსუბუქდეს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი და დასაბუთებულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, 307-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ტ. ა-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 24 აპრილის განაჩენი შეიცვალოს, კერძოდ:

განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილიდან ამოირიცხოს მითითება ტ. ა-სთვის 500 ლარის გადაცემის შესახებ.

ტ. ა-ს ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან.

ტ. ა-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 5 წლის ვადით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით – საექიმო საქმიანობის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სისხლის სამართლის პროცესი

განაჩენში ცვლილების შეტანა მსჯავრდებულის სასიკეთოდ

სასჯელის შემცირება

განჩინება საქართველოს სახელით

№263-აპ-12

24 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულების – მ. ჩ-სა და რ. ჯ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 8 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 იანვრის განაჩენით:

მ. ჩ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 41-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ზემოაღნიშნული მუხლებით დანიშნული სასჯელები სრულად შეიკრიბა და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ამასთან, სსკ-ის 41-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მ. ჩ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 9 ივნისიდან.

რ. ჯ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 41-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ზემოაღნიშნული მუხლებით დანიშნული სასჯელები სრულად შეიკრიბა და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ამასთან, სსკ-ის 41-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. რ. ჯ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 8 მაისიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2010 წლის 7 მაისს რ. ჯ-ა და მ. ჩ-ე დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და განიზრახეს, უკანონოდ აღკვეთათ თავისუფლება მათივე საერთო ნაცნობ ი. ხ-სათვის და შემდგომში ძალადობის გზით გამოეძალათ მისთვის ფულადი თანხა – 3000 ლარის ოდენობით. თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იმავე დღეს, დაახლოებით 21 საათზე, მ. ჩ-ე მობილური ტელეფონით დაუკავშირდა ი. ხ-ს და შეხვდა მას თბილისში, სამების ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, რის შემდეგაც, საქმის გარკვევის მიზნით, მ. ჩ- ი. ხ-ე ..., ... ქუჩის №...-ში მდებარე რ. ჯ-ს საცხოვრებელ სახლში მიიყვანა. რ. ჯ-მ და მ. ჩ-მ ი. ხ-ე აღნიშნული სახლის სარდაფში ჩაიყვანეს, სადაც მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და მოსთხოვეს 3000 ლარის მიტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაემუქრნენ ფიზიკური ანგარიშსწორებით. ი. ხ-მ ბოროტმოქმედებს რამდენჯერმე სთხოვა, რომ გაეშვათ იგი, რათა ეს თანხა შეეგროვებინა, მაგრამ აღნიშნულზე მ. ჩ-მ და რ. ჯ-მ ი. ხ-ს კატეგორიული უარი განუცხადეს, თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით აიძულეს, მობილური ტელეფონით დაკავშირებოდა მეუღლეს – თ. ც-ს, სიმამრს – მ. ც-ს და განთავისუფლების სანაცვლოდ ეთხოვა მათთვის, რომ ბოროტმოქმედებისათვის 3000 ლარი მიეტანათ. 2010 წლის 8 მაისის საღამოს საათებამდე მ. ჩ-ს და რ. ჯ-ს ი. ხ-ე ..., ... ქუჩის

№...-ში, მდებარე რ. ჯ-ს კუთვნილი საცხოვრებელი ბინის სარდაფში ჰყავდათ უკანონოდ თავისუფლება აღკვეთილ მდგომარეობაში და არ აძლევდნენ თავისი სურვილისამებრ გადაადგილებისა და სარდაფის დატოვების უფლებას. ამასთან, ი. ხ-ს ჩამოართვეს მობილური ტელეფონი და აღარ მისცეს შესაძლებლობა, საკუთარი ნება-სურვილის შესაბამისად, ტელეფონით დაკავშირებოდა ახლობლებს.

2010 წლის 8 მაისს, დილის საათებში, ... მეტროს სადგურ „...“ მიმდებარე ტერიტორიაზე, მ. ჩ-ე შეხვდა ი. ხ-ს სიმამრს – მ. ც-ს და სიძის – ი. ხ-ს განთავისუფლების სანაცვლოდ 3000 ლარის მიტანა მოსთხოვა, რაზეც მ. ც-საგან თანხმობა მიიღო და შეხვედრა რამდენიმე საათის შემდეგ დაუთქვა.

იმავე დღეს, დაახლოებით 17 საათზე, ..., მეტროს სადგურ „...“ მიმდებარე ტერიტორიაზე, მ. ც-ე შეხვდა რ. ჯ-ს და თანხის გადაცემამდე მოსთხოვა, რომ მიეცათ უფლება, მობილური ტელეფონით დალაპარაკებოდა სიძეს – ი. ხ-ს, უზრუნველყოთ მასთან უშუალო შეხვედრა და მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ დაპირდა ფულადი თანხის გადაცემას. ამასთანავე, მოითხოვა თანხის გადაცემის დროს დათქმულ ადგილზე უშუალოდ მისი სიძის – ი. ხ-ს მიყვანაც, რაზეც რ. ჯ-ა დათანხმდა.

2010 წლის 8 მაისს, საღამოს საათებში, მ. ც-ე თავისი მობილური ტელეფონით დაუკავშირდა მ. ჩ-ს, რა დროსაც მათ მოილაპარაკეს თანხის გადასაცემად ..., ... ქუჩის №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე შეხვედრა. დათქმულ ადგილზე მ. ც-საგან ფულადი თანხის მისაღებად რ. ჯ-ა ი. ხ-სთან ერთად მივიდა. მ. ც-ს უშუალო მითითებით, რ. ჯ-ა, როგორც დანაშაულის ჩამდენი პირი, პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ექვმიტანილის სახით, ხოლო მ. ჩ-მ კი შეძლო მიმალვა, მაგრამ გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად 2010 წლის 9 ივნისს დაბა ..., ... ქუჩის №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, მ. ბ-ძვე დააკავეს.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 8 მაისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული რ. ჯ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

მსჯავრდებული მ. ჩ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულების – რ. ჯ-სა და მ. ჩ-ს საკასაციო საჩივრების მოტივებს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებითა და 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შერაცხულ ბრალდებებში მათი უდანაშაულობის შესახებ და თვლის, რომ საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მათ ნამდვილად ჩაიდინეს მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებები.

მსჯავრდებულების – რ. ჯ-სა და მ. ჩ-ს ბრალეულობა დადასტურებულია დაზარალებულ ი. ხ-ს ჩვენებით, მოწმეების – მ. ც-ს, თ. ც-ს, გ. თ-ს, ვ. კ-სა და სხვათა ჩვენებებით, ფოტოსურათებით ამოცნობის ოქმით, პირის ამოსაცნობად წარდგენის ოქმით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების «სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩაწერის» ამსახველი კრებსებით, დაკავების, პირადი და ბინის ჩხრეკის ოქმებით, ამოღების ოქმით, ნივთიერ მტკიცებულებად ცნობისა და საქმეზე დართვის შესახებ დადგენილებებითა და საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა მსჯავრდებულების – რ. ჯ-სა და მ. ჩ-ს მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდებები. სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედებები და არ არსებობს საფუძველი მათი შეცვლისათვის.

რაც შეეხება სასჯელს, მიუხედავად მსჯავრდებულების – რ. ჯ-სა და მ. ჩ-ს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების არსებობისა, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს მსჯავრდებულების მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, დანაშაულის შედეგად დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგს და მიიჩნია, რომ მსჯავრდებულებს – რ. ჯ-სა და მ. ჩ-ს დანიშნული სასჯელები უნდა შეუმცირდეთ.

მსჯავრდებულ რ. ჯ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა – უნდა შეუმცირდეს 6 თვით და მიესაჯოს 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა – უნდა შეუმცირდეს 1 წლით და მიესაჯოს 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. რ. ჯ-ს საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 41-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით უნდა დაენიშნოს ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მსჯავრდებულ მ. ჩ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა – უნდა შეუმცირდეს 6 თვით და მიესაჯოს 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა – უნდა შეუმცირდეს 1 წლით და მიესაჯოს 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მ. ჩ-ს საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 14 წლით თავისუფ-

ლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 41-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით უნდა დაენიშნოს ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 8 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ რ. ჯ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს 6 თვით და მიესაჯოს 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს 1 წლით და მიესაჯოს 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. რ. ჯ-ს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 41-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნოს ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყოს 2010 წლის 8 მაისიდან.

მსჯავრდებულ მ. ჩ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს 6 თვით და მიესაჯოს 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს 1 წლით და მიესაჯოს 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მ. ჩ-ს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 41-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნოს ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყოს 2010 წლის 9 ივნისიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის შემცირება

განჩინება

საქართველოს სახელით

№326-აპ-12

5 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

პ. სილაგაძე,

გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ კ. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. ქ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის განაჩენით კ. გ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით (სსკ-ის 1960 წლის რედაქცია) – 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, 17,104-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სსკ-ის 1960 წლის რედაქცია) – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 26 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის ვადის ათვლა უნდა დაეწყოს დაკავების დღიდან.

განაჩენის მიხედვით, კ. გ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

კ. გ-ა 1999 წლის შემოდგომაზე ზუგდიდიდან დროებით საცხოვრებლად ჩავიდა ქალაქ ..., დეიდასთან – ქ. დ-თან. 2000 წლის 13 იანვარს, დაახლოებით 23 საათზე, მთვრალი კ. გ-ა ქ. ... მცხოვრებ დ. შ-თან ერთად დეიდის კუთვნილი ავტომანქანა „მოსკვიჩი“ წავიდა დეიდაშვილის – დ. კ-ს საფლავზე, სადაც წაიღო ღვინო და სხვადასხვა პროდუქტი. მას 14 იანვარს, დაახლოებით 2 საათზე, სასაფლაოზე შეუერთდნენ ასევე

მთვრალეები, ქ. სიღნაღში მცხოვრებნი – მ. ნ-ი, რ. ბ-ი, თ. ს-ი, დ. გ-ი და ს. ა-ი. ქეიფის შემდეგ ავტომანქანით, რომელსაც მართავდა კ. გ-ა, სახლებში ბრუნდებოდნენ თ. ს-ი, რ. ბ-ი და მ. ნ-ი. კ. გ-მ გააჩერა ავტომანქანა, გადმოვიდა და ავტომანქანის სალონში მარჯვნივ მჯდომ რ. ბ-ს სრულიად უმიზეზოდ, ხულიგნური ქვენაგრძნობითა და განსაკუთრებული სისასტიკით, განზრახ მკვლელობის მიზნით, დანის მრავლობითი დარტყმით მიაყენა დაზიანებები მკერდისა და მუცლის არეში, კერძოდ: გულმკერდის მარჯვენა ნახევარში – განვიდა მდებარე ჭრილობა, სიგრძით 1,8 სმ, სწორი კიდეებით, მდებარეობს V და VI ნეკნთა შუა არეში, ლავიწის ხაზზე; გულმკერდის არეში, მარცხნივ, ნეკნთა რკალთან, შუა ლავიწის ხაზზე გასწვრივ მდებარე ჭრილობა, სიგრძით 1,3 სმ სწორი კიდეებით; თეთრ ხაზზე, ჭიპიდან 6 სმ-ით ზევით განვიდა მდებარე ჭრილობა, სიგრძით 1 სმ სწორი კიდეებით; გულმკერდის არეში, მარჯვნივ, ნეკნთა შუა არეში, მკერდის ძვლიდან 2 სმ-ის გასწვრივ მდებარე ჭრილობა, სიგრძით 1,3 სმ სწორი კიდეებით; იქვე, მისგან მარჯვნივ, 1 სმ-ის დაშორებით, გასწვრივ მდებარე ჭრილობა, სიგრძით 1 სმ სწორი კიდეებით გულმკერდის არეში; მარჯვნივ, მე-8 ნეკნთა შუა არეში, შუა ლავიწის ხაზზე განვიდა მდებარე ჭრილობა, სიგრძით 9 სმ სწორი კიდეებით; მარცხენა მტევნის I თითის I ფალანგის გულის ზედაპირზე ჭრილობა სიგრძით 1 სმ სწორი კიდეებით; მარჯვენა მტევნის ზურგის არეში, I თითის ფუძესთან ჭრილობა, სიგრძით 1 სმ სწორი კიდეებით; ამავე მტევნის გულის არეში, ზემოთ მითითებული ჭრილობის საპროექციო არეში კუთხისმიერი ჭრილობა, სიგრძით 3 სმ სწორი კიდეებით, მარცხენა სახსრის გარეთა ზედაპირზე – ნაჭდვეი, 0,5X0,5 სმ მოწითალო ფერის, სულ – 10 ჭრილობა, მათ შორის ორი ჭრილობა გულმკერდისა და მუცლის არეში მიეკუთვნება დაზიანებათა მძიმე ხარისხს, რომლებმაც უშუალოდ გამოიწვია რ. ბ-ს სიკვდილი, ხოლო დანარჩენი ჭრილობები განეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს.

მ. ნ-ი და თ. ს-ი შეეცადნენ კ. გ-ს დაწყნარებას, რა დროსაც ამ უკანასკნელმა ასევე ხულიგნური ქვენაგრძნობით, მოკვლის განზრახვით მუცლის არეში დანა დაარტყა თ. ს-ს და მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება: ჭიპის დონეზე, შუახაზიდან მარცხნივ, 5 სმ-ის დაცილებით, ნაკვეთი ჭრილობა წვრილი ნაწლავის დაზიანებით და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. თ. ს-ი გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც აღმოუჩინეს დროული სამედიცინო დახმარება და კ. გ-მ, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, კერძოდ, დაზარალებულისა და იქ მყოფი პირების აქტიური წინააღმდეგობისა და დროული სამედიცინო დახმარების გაწევის შედეგად ვერ შეძლო განზრახვის სისრულეში მოყვანა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ივლისის განაჩენით დარჩა უცვლელად, კერძოდ:

კ. გ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით (სსკ-ის 1960 წლის რედაქცია) – 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, 17,104-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სსკ-ის 1960 წლის რედაქცია) – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად დაინიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 26 წლით თავისუფლების აღკვეთა. კ. გ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა უნდა დაეწყო სასჯელადსრულების დაწესებულებაში შესახლების დღიდან – 2011 წლის 22 აპრილიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა საექსტრადაციო პატიმრობაში ყოფნის დრო – რუსეთის ტერიტორიაზე დაკავებიდან სასჯელადსრულების დაწესებულებაში შესახლებამდე – 2009 წლის 10 აგვისტოდან 2011 წლის 22 აპრილამდე.

მსჯავრდებულ კ. გ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. ქ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას და მსჯავრდებულის გამართლებას იმ საფუძველით, რომ განაჩენი არის უკანონო, ცალმხრივი და დაუსაბუთებელი; იგი არ ემყარება უტყუარ, თანმხვედრ მტკიცებულებათა ერთობლიობას. ამასთან, არსებითადაა დარღვეული საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლებრივი აქტების, სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები.

პროკურორი გ. შ-ი შესაგებლით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ივლისის განაჩენის უცვლელად დატოვებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებმა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სათანადო შეფასება მისცეს საქმეზე მოპოვებულ მტკიცებულებებს, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღებისა და მსჯავრდებულ კ. გ-ს მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის. განაჩენში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნები შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. სასამართლოს მიერ დადგენილია ყველა ფაქტობრივი გარემოება, რაც საჭიროა დასაბუთებული განაჩენის გამოსატანად.

მსჯავრდებულ კ. გ-ს მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებების ჩადენა დადასტურებულია საქმეში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ: მოწმეების – მ. ნ-ს,

ზ. ჯ-ს, თ. კ-ს, დ. შ-ს, დ. გ-ს ჩვენებით, დაზარალებულის უფლებამონაცვლე ე. ბ-ს ჩვენებით, დაზარალებულ თ. ს-ს ჩვენებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, წარმოდგენის ოქმებითა და სხვა მასალებით.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

აღნიშნულ გარემოებათა გამო საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორის მოთხოვნას განაჩენის გაუქმებისა და მსჯავრდებულ კ. გ-ს გამართლების თაობაზე, უსაფუძვლოების გამო.

პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მსჯავრდებულ კ. გ-ს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია, იგი არ არის ნასამართლელი და შესაძლებლად და მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მას შეუმსუბუქდეს დანიშნული სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ კ. გ-ს საქართველოს სსსკ-ის 104-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით (სსსკ-ის 1960 წლის რედაქცია) დანიშნული სასჯელი – 15 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს და მიესაჯოს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 17,104-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სსსკ-ის 1960 წლის რედაქცია) დანიშნული სასჯელი – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს და მიესაჯოს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, საბოლოოდ მას მოსახდელად განესაზღვროს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს სასჯელადსრულების დაწესებულებაში შესახლების დღიდან – 2011 წლის 22 აპრილიდან.

მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს საექსტრადაციო პატიმრობაში ყოფნის დრო – რუსეთის ტერიტორიაზე დაკავებიდან სასჯელადსრულების დაწესებულებაში შესახლებამდე – 2009 წლის 10 აგვისტოდან 2011 წლის 22 აპრილამდე.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დამატებით სასჯელად დაკისრებული ჯარიმის ამორიცხვა

განაჩენი საქართველოს სახელით

№319-აპ-12

13 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
გ. შავლიაშვილი**

განიხილა მსჯავრდებულ ა. ბ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 3 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 11 მაისის განაჩენით ა. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 17 თებერვლიდან.

მასვე საქართველოს სსსკ-ის 41-42-ე მუხლების შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 4000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ა. ბ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის 17 თებერვალს, დაახლოებით 4 საათზე, ა. ბ-მ, ჯერჯერობით დაუდგენელ ორ პირთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, ფანჯრიდან უკანონოდ შეაღწია კაფე-ბარ „...“, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო

მისაკუთრების მიზნით ა. ბ-ე და მისი თანმხლები პირები ფარულად დაეუფლნენ ვიტრინაში განთავსებულ, 318 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების ალკოჰოლურ სასმელს, რის შემდეგაც კაფე-ბარის ფანჯრიდან დაეხმარნენ ერთმანეთს გადმოსვლასა და ნაქურდალი ნივთების გადმოტანაში, რა დროსაც შეამჩნიეს ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-4 განყოფილების თანამშრომლებმა. პოლიციელების დანახვისთანავე ისინი გაიქცნენ, ხოლო პოლიციის თანამშრომლები დაედევნენ, რის შედეგადაც დააკავეს ა. ბ-ე, ხოლო თანმხლებმა ორმა პირმა მოახერხა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 3 ივლისის განაჩენით:

გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტები.

დანარჩენ ნაწილში ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 11 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად, კერძოდ:

ა. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 17 თებერვლიდან.

მსჯავრდებული ა. ბ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: მის მიერ ჩადენილი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით და, შესაბამისად, სასჯელის შემსუბუქებას. კასატორი ასევე ითხოვს მისთვის შეფარდებული დამატებითი სასჯელის, ჯარიმის – 4000 ლარის გადახდისაგან გათავისუფლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული, საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებებით, მათ შორის – შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, დაკავებისა და პირადი ჩხრევის ოქმით, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით, მოწმეების – მ. შ-ს, მ. ქ-ს, პ. კ-ს, ზ. ც-ს, ს. თ-ს ჩვენებით, დაზარალებულ დ. ბ-ს ჩვენებით, მათი ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უდავოდ დადასტურებულია და ეჭვს არ იწვევს, რომ ა. ბ-მ ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ა. ბ-ს გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა შემდეგ გარემოებათა გამო:

სახელმწიფო ბრალმდებელმა დასკვნით სიტყვაში მიუთითა, რომ წინასასამართლო სხდომის გამართვამდე ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა გაცვალეს მტკიცებულებები და დაცვის მხარემ წარმოადგინა ა. ბ-ს ოჯახის სოციალურად დაუცველთა ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც თარიღდება 2010 წლის დასაწყისით. ა. ბ-ს ოჯახი იყო სოციალურად დაუცველი და იღებდა შემწეობას. მაგრამ სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის ეს ოჯახი სოციალურად დაუცველთა ოჯახების ერთიან ბაზაში აღარ არის რეგისტრირებული. სახელმწიფო ბრალმდებლის განმარტებით, აღნიშნული საკითხი გადამოწმდა სოციალური მომსახურების სააგენტოში და სიტყვიერად განუმარტეს, რომ ა. ბ-ს ოჯახი შემწეობას აღარ იღებდა და ისინი ბაზაში აღარ ირიცხებიან. აღნიშნული სახელმწიფო ბრალმდებელმა განაცხადა ზეპირად და ამის დამადასტურებელი დოკუმენტი არ წარმოუდგენია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ საქმის მასალებით არ ჩანს, რომ მსჯავრდებულ ა. ბ-ს ოჯახი დღევანდელი მდგომარეობით არ არის რეგისტრირებული სოციალურად დაუცველთა ოჯახების ერთიან ბაზაში და აღარ იღებს შემწეობას. სასამართლო გამოძიებისას ეს საკითხი მხარეებს არ გამოუკვლევიათ, მიუხედავად იმისა, რომ წინასასამართლო სხდომაზე დაისვა ამ მტკიცებულების მთავარ სხდომაზე გამოკვლევის აუცილებლობის საკითხი. მხოლოდ სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ დასკვნითი სიტყვის დროს ზეპირად გაკეთებული განცხადება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ეს საკითხი ჩაითვალოს გამოკვლეულად. ამიტომ ეჭვი უნდა გადაწყდეს მსჯავრდებულ ა. ბ-ს სასარგებლოდ და მას უნდა ამოერიცხოს დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 4000 ლარი – სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, 307-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 3 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ ა. ბ-ს ამოერიცხოს დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 4000 ლარი – სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

მსჯავრდებულის გამართლება საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვით წარდგენილი ბრალდების ნაწილში

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№314-აპ-12

10 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ დ. მ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 13 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის განაჩენით დ. მ-ე, ნასამართლობის არმქონე, ამჟამად პატიმარი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 წლით, ხოლო 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შეკრების წესით, დ. მ-ეს სასჯელად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2012 წლის 15 იანვრიდან.

დ. მ-ეს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენით დ. მ-ეს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალებისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

დ. მ-ემ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა 18,91 გრამი ნარკოტიკული საშუალება «მარიხუანა», რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა ტყავის ქურთუკის მარცხენა ჯიბეში. 2012 წლის 15 იანვარს შსს ზ-ის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ზ-ის რაიონის სოფელ ს-ში, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, დ. მ-ეს საცხოვრებელი სახლის ეზოში ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რომლის დროსაც მისგან ამოიღეს მის მიერ უკანონოდ შეძენილ-შენახული 18,91 გრამი ნარკოტიკული საშუალება «მარიხუანა».

მანვე გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა საბრძოლო მასალა – «ОПМ» ტიპის ცეცხლგამტარი ზონარი, რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ სახლში, ზ-ის რაიონის სოფელ ს-ში და რომელიც ამოიღეს იმავე დღეს ჩატარებული საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას საძინებელ ოთახში მდგარი კარადის თავიდან.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. მ-ემ, რომელმაც აღნიშნა, რომ პოლიციის მიერ ამოღებული ცეცხლგამტარი ზონარი მას არ ეკუთვნის, ის იყო მამამისის საკუთრება, ხოლო სახლი, საიდანაც აღნიშნული ზონარი პოლიციელებმა ამოიღეს, დედის საკუთრებაა და იგი დედასთან სტუმრად იმყოფებოდა. მსჯავრდებულმა ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 13 ივლისის განაჩენით ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა დ. მ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა აღნიშნა, რომ მას ნარკოტიკი ჩაუდეს პოლიციის თანამშრომლებმა; რაც შეეხება ცეცხლგამტარ ზონარს, იგი ეკუთვნოდა მამამისს – ლ. მ-ეს და ზონარის არსებობის შესახებ მან არაფერი იცოდა. ამდენად, კასატორმა ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ დ. მ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მისი გამართლების შესახებ, უსაფუძვლოების გამო.

ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ დ. მ-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული მომწვანო ფერის მცენარეული მასა არის ნარკოტიკული საშუალება «მარიხუანა», წონით – **18,91** გრამი.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მოწმეების: ზ-ის შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლების – ლ. პ-ის, ზ. კ-ის, გ. ნ-ის, მ. კ-ის, ექსპერტების – ზ. ყ-ის, დ. გ-ას, ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნით, დაკავების, პირადი ჩხრეკის ოქმებითა და საქმის სხვა მასალებით დ. მ-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა, ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმენა-შენახვის ნაწილში, დადასტურებულია და სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

მოწმეების: ლ. პ-ის, ზ. კ-ის, გ. ნ-ისა და მ. კ-ის მიერ მიცემულ ჩვენებებში აღნიშნულია, რომ ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, დაბა ... მდებარე დ. მ-ის საცხოვრებელ სახლში ინახებოდა ნარკოტიკული ნივთიერება. **2012** წლის **15** იანვარს შსს ზ-ის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ზ-ის რაიონის სოფელ ს-ში გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ჩატარებული დ. მ-ის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს მომწვანო ფერის მცენარეული მასა, რომელიც შემდეგ აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალება. ამის თაობაზე შედგა ოქმი, რაზეც ხელი მოაწერეს დ. მ-ემ და ჩხრეკის მონაწილეებმა. ნივთიერება დაილუქა, მაგრამ გაურკვეველი მიზეზებით დ. მ-ეს მასზე ხელი აღარ მოუწერია. იმავე დღეს ჩატარდა საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა, საიდანაც ამოიღეს ცეცხლგამტარი ზონარი, რომელიც ადგილზევე დაილუქა და შედგა სათანადო ოქმი.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, დ. მ-ის მიმართ შერაცხული მსჯავრდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის **236-ე** მუხლის **1-ლი** ნაწილით – საბრძოლო მასალის უკანონოდ შექმენა-შენახვის ნაწილში – ემყარება მხოლოდ ბრალდების მხარის – ზ-ის შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლების – ლ. პ-ის, ზ. კ-ის, გ. ნ-ის, მ. კ-ისა და ექსპერტების – ზ. ყ-ის, დ. გ-ას ჩვენებებს.

არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა დ. მ-ის მიერ საბრძოლო მასალის უკანონოდ შექმენა-შენახვის ფაქტს. აღნიშნულს ადასტურებს მეზობლების – ვ. კ-ის, ზ. მ-ის, მ. მ-ის ჩვენებები, პიროტექნიკური და ქიმიური ექსპერტიზების №..., ... დასკვნები.

დ. მ-ის მეზობლების – ვ. კ-ისა და მ. მ-ის ჩვენებებით კი დადგენილია, რომ ისინი დაესწრნენ დ. მ-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკას, რის შედეგადაც საძინებელი ოთახის კარადის თავიდან ამოიღეს ცეცხლგამტარი ზონარი, რომელზეც დ-მა განაცხადა, რომ ეკუთვნოდა მამამისს. ჩხრეკის ოქმი შედგა საცხოვრებელი სახლის ეზოში. ვ. კ-ემ აღნიშნა, რომ აწ გარდაცვლილი დ-ის მამა გზების მშენებლობაზე მუშაობდა, სადაც ხდებოდა მსგავსი ცეცხლგამტარი ზონარების გამოყენება. სახლი, სადაც ჩხრეკა ჩატარდა, ეკუთვნის მსჯავრდებულის დედას – ვ. მ-ეს, ხოლო დ-ი მუშაობს ჭ-ში, ოჯახთან ერთად ცხოვრობს ქ. ზ-ში და იშვიათად მისი მამაპაპულ სახლში. ბოლოს იგი სოფელში ნახეს გასულ წელს.

მოწმე ზ. მ-ის (მეზობლის) ჩვენებით, დ-ის მამა – ლ. მ-ე, რომელიც მუშაობდა გზების მშენებლობაზე, გარდაიცვალა **2-3** წლის წინ. მისი აზრით, ცეცხლგამტარი ზონარი სახლში ლ-ის მიტანილი იყო. დ-ის ხელში ცეცხლგამტარი ზონარი არასოდეს შეუნიშნავს. დ-ი ცხოვრობს ქ. ზ-ში და მას სოფელში იშვიათად ხედავდა, ხოლო სახლი, საიდანაც ეს ზონარი ამოიღეს, ეკუთვნის და ცხოვრობს დ-ის დედა – ვ. მ-ე.

სასამართლოზე მიცემული ჩვენებისას დ. მ-ემ აღნიშნა, რომ **2011** წლის **20** ოქტომბერს მოიტეხა ფეხი და გაიკეთა რთული ოპერაცია. მათი უბნის ინსპექტორი გ. ნ-ე ბოლო პერიოდში ხშირად უკავშირდებოდა და კითხულობდა, თუ სად და როგორ იყო. **2012** წლის **15** იანვარს იმყოფებოდა დედასთან სოფელში და ეზოში შემას ჩეხდა, რა დროსაც მის წინ გაჩერდა პოლიციის ავტომანქანა. პოლიციელებმა ორი მეზობლის თანდასწრებით ჩაატარეს სახლის ჩხრეკა და დედამისის ოთახში, სადაც იგი საერთოდ არ შედიოდა, ნახეს ცეცხლგამტარი ზონარი. ფიტილი, რომელიც პოლიციამ სახლის ჩხრეკისას ამოიღო, პირველად ნახა. შ-ის სახლი დედამისის საკუთრებაა, ხოლო თვითონ ოჯახთან ერთად ცხოვრობს ქ. ზ-ში.

მსჯავრდებულის დედის – ვ. მ-ის ჩვენებით, იგი არის ონკოლოგიური ავადმყოფი და მიმდინარე წლის **14** იანვარს მისი შვილი – დ. მ-ე ფეხმოტეხილი, ყვარჯნებით ავიდა მასთან, შ-ში, რათა წაეყვანა ექიმთან თბილისში და თან დახმარებოდა საოჯახო საქმეებში. **15** იანვარს, დილით, როდესაც დ-ი შემას ჩეხდა ეზოში, გაჩერდა ავტომანქანა, საიდანაც გადმოვიდა **6** პოლიციელი. მათ თქვეს, რომ სახლი უნდა გაეჩხრიკათ. მან გონება დაკარგა და გონზე რომ მოვიდა, თავზე ორი მეზობელი ედგა. სახლის ჩხრეკას ის არ დასწრებია. როგორც შემდეგ გაირკვა, მის საძინებელ ოთახში, კარადის თავიდან ამოუღიათ ცეცხლგამტარი ზონარი, რომელიც მისი აწ გარდაცვლილი მეუღლის მიტანილი იყო და მის შესახებ დ-მა არაფერი იცოდა.

პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვის ნაწილში აგებულია ექვებსა და ვარაუდებზე. ზემოაღნიშნული ბრალდების მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებები დ. მ-ის მიერ საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვის ნაწილში ნაკლებსარწმუნოა, არც სხვა მტკიცებულებებითაა გამყარებული და, შესაბამისად, უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა.

საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ სწორედ დ. მ-ემ შეიძინა და შეინახა უკანონოდ საბრძოლო მასალა – ცეცხლგამტარი ზონარი, რასაც ადასტურებს კიდევ დ. მ-ის მეზობლებისა და დედის ჩვენებები. საქართველოს სსსკ-ის მე-5 მუხლის თანახმად: „მტკიცებულებების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ», ხოლო იმავე კოდექსის 259-ე მუხლის III ნაწილის თანახმად: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს».

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 13 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

დ. მ-ეს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება – საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვა და იგი ბრალდების ამ ნაწილში გამართლდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მოცულობის შემცირების გამო, მსჯავრდებული დ. მ-ე ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა უნდა დაეწყოს 2012 წლის 15 იანვრიდან.

დ. მ-ეს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით უნდა ჩამოერთვას: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ამავე დროს პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია გადაწყდეს საკითხი ნივთმტკიცებათა ბედის შესახებ, რაზეც წინა ინსტანციის სასამართლოებს არ უმსჯელიათ.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი: დ. მ-ის პირადი ჩხრევისას ამოღებული 18,91 გრამი ნარკოტიკული საშუალება «მარიხუანა», რომელიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ზ-ის რაიონულ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს კანონით დადგენილი წესით;

დ. მ-ის პირადი ჩხრევისას ამოღებული ლითონის ჭურჭელი ე.წ. «ბაკლაშკა», კარტის ნახევი, ასანთი, «MOთOLOLA-ს» ფირმის მობილური ტელეფონი სიმბარათით, რომლებიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს ზ-ის რაიონულ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს დ. მ-ის ოჯახის წევრებს;

დ. მ-ის საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსის ჩხრევისას ამოღებული «ИЖК» მოდელის, ერთლულიანი სანადირო თოფი №..., თოფის სასხლეტი მექანიზმი №..., თოფის ერთი ლულა №..., თოფის ერთი მორაკი (ჩახმახი) №..., ერთი უნომრო თოფის ლულა, ორი მწვანე ნაგვის ურნა, რომლებიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს ზ-ის რაიონულ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს დ. მ-ის ოჯახის სრულწლოვან წევრს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს;

დ. მ-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრევისას ამოღებული «OPIA-ს» ტიპის ცეცხლგამტარი ზონარი, რომელიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს ზ-ის რაიონულ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღების სამსახურს.

განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით და

დაადგინა:

მსჯავრდებულ დ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 13 ივლისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

დ. მ-ეს განაჩენიდან ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება – საბრძოლო მასალის უკანონოდ შექმნა-შენახვა და იგი ბრალდების ამ ნაწილში გამართლდეს.

დ. მ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწეოს 2012 წლის 15 იანვრიდან.

დ. მ-ეს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვას: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი: დ. მ-ის პირადი ჩხრევისას ამოღებული 18,91 გრამი ნარკოტიკული საშუალება «მარიხუანა», რომელიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ზ-ის რაიონულ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს კანონით დადგენილი წესით;

დ. მ-ის პირადი ჩხრევისას ამოღებული ლითონის ჭურჭელი ე.წ. «ბაკლაშკა», კარტის ნახევი, ასანთი, «MOTOOLA-ს» ფირმის მობილური ტელეფონი სიმბარათით, რომლებიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს ზ-ის რაიონულ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს დ. მ-ის ოჯახის წევრებს;

დ. მ-ის საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსის ჩხრევისას ამოღებული «MHC» მოდელის, ერთლულიანი სანადირო თოფი №..., თოფის სასხლეტი მექანიზმი №..., თოფის ერთი ლულა №..., თოფის ერთი მორაკი (ჩახმხი) №..., ერთი უნომრო თოფის ლულა, ორი მწვანე ნაგვის ურნა, რომლებიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს ზ-ის რაიონულ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს დ. მ-ის ოჯახის სრულწლოვან წევრს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს;

დ. მ-ის სახლის ჩხრევისას ამოღებული «OXA-ს» ტიპის ცეცხლგამტარი ზონარი, რომელიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს ზ-ის რაიონულ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გადაეცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღების სამსახურს.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის საკასაციო წესით განხილვისას ბრალდების მხარის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძვლები

განაჩენი საქართველოს სახელით

№370-აპ-12

26 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ა. ს-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 12 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 6 აპრილის განაჩენით ა. ს-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ« ქვეპუნქტით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 დეკემბრის განაჩენით ა. ს-ის მიმართ დადგენილი პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებით, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წელი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ა. ს-ეს სასჯელად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2011 წლის 27 ოქტომბრიდან.

განაჩენით ა. ს-ს მსჯავრი დაედო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში (ფულის გათეთრება), ე.ი. უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემაში (ქონებით სარგებლობა, ქონების შექმნა, ფლობა, გადაცემა ან სხვა მოქმედება), მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე – მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროსა და მასზე საკუთრების უფლების დამალვა-შენიღბვაში, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 8 ივნისს ა. ს-მ დააფუძნა შპს „.....“. 2010 წლის იანვარში მან კომპანიის თანადამფუძნებლად 50%-იანი წილით შეიყვანა თავისი ბიძაშვილი ე. ს-ე, თუმცა ფირმის დირექტორი იყო თვითონ და ერთპიროვნულად უძღვებოდა მის საქმიანობას. ა. ს-მ, იყო რა შპს «.....»-ის დირექტორი, შპს-ს სახელით მონაწილეობდა მესამე პირებთან ურთიერთობაში და წარმოადგენდა ორგანიზაციის ანგარიშვალდებულ პირს, განიზრახა, უკანონოდ დაუფლებოდა შპს „.....»-ის სალაროში არსებულ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხებს და მათთვის მიეცა კანონიერი სახე. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან 2010 წელს შპს «.....»-ის სალაროდან ხელზე გაიტანა 454 889 ლარი, ხოლო წლის განმავლობაში ბუღალტერიაში თანხის ხარჯვის დოკუმენტები წარადგინა 313 091 ლარზე, 10723 ლარი ნაღდი ფული კი უკან დააბრუნა საბანკო ანგარიშზე. ა. ს-მ 2011 წლის 5 იანვრის მდგომარეობით დარჩენილი 147 771 ლარი, რომელიც უკანონოდ ჰქონდა მიღებული, გახარჯა პირადი მიზნების შესაბამისად, რის შემდეგაც აღნიშნული თანხისათვის კანონიერი სახის მიცემისა და მისი ნამდვილი ბუნების დაფარვის მიზნით, შპს „.....»-ის ბუღალტერიაში აჩვენა, რომ ეს თანხა მას, როგორც ანგარიშვალდებულ პირს, ერიცხებოდა გატანილად.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ა.ს-მ. მან აღნიშნა, რომ განაჩენში არ არის აღნიშნული, თუ კონკრეტულად რომელი მტკიცებულებით დასტურდება მის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი; ასევე არ დასტურდება, რომ მან შემოსავალი დანაშაულებრივი გზით მიიღო, შემდეგ მოახდინა მისთვის კანონიერი სახის მიცემა, მისი უკანონო წარმოშობის დამალვა და შენიღბვა; აპელანტმა ასევე მიუთითა, რომ მის სახელზე აღრიცხულმა საწარმომ შემოსავალი მიიღო სამეწარმეო საქმიანობიდან, რაც არ არის სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედება, შესაბამისად, მიღებული შემოსავალიც არ არის უკანონო; ასევე გასათვალისწინებელია, რომ მისი ქმედებით ზიანი არავის განუცდია; სადავო თანხა – 147 071 ლარი რეალურად წარმოადგენს საწარმოს მოგებას, ვინაიდან სამუშაო, რომლისთვისაც ეს თანხა მოხვდა საწარმოს ანგარიშზე, შესრულებული იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, მის ქმედებაში არ არის სსკ-ის 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

ამდენად, აპელანტი ითხოვდა უკანონო დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმებას და გამართლებას.

სააპელაციო სასამართლოში მსჯავრდებულმა და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მხარი დაუჭირეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას.

პროკურორმა სააპელაციო საჩივარს მხარი არ დაუჭირა და ითხოვა განაჩენის უცვლელად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 12 სექტემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 6 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ა. ს-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით, რასაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. მან აღნიშნა, რომ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა» პუნქტის თანახმად: «უკანონო შემოსავალი პირის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ფულადი სახსრები, რომლებიც პირმა მიიღო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (გარდა საგადასახადო და საბაჟო სფეროებში დანაშაულების ჩადენისა)». ამდენად, მას შემოსავალი უნდა მიეღო დანაშაულის ჩადენის გზით და მერე მოეხდინა ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა, რაც მას არ ჩაუდენია.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოცემულ საქმეში დაზარალებულად არავინ არ არის ცნობილი.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა და ასევე არასწორად გამოიყენა კანონი. გასაჩივრებულ განაჩენში დაფიქსირებულია, რომ: „დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი კანონის თანახმად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად ითვლება უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (ქონებით სარგებლობა, ქონების შექმნა, ფლობა, გადაცემა ან სხვა ქმედება) მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით...» მაგრამ სასამართლომ არც განმარტა და არც დაასაბუთა, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა ა. ს-ის მიერ უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა.

კასატორმა ასევე აღნიშნა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მისი ქმედებები არ გასცილებია კანონით დაწესებულ ჩარჩოებს, რადგან იგი არის შპს «.....»-ის არა მხოლოდ დირექტორი, არამედ 2010 წლის იანვრის თვემდე ამ იურიდიული პირის ერთადერთი დამფუძნებელი პარტნიორი და თუკი ამ საწარმოს წმინდა მოგების სახით რაიმე შემოსავალი დარჩებოდა, ეს მატერიალური აქტივი იქნებოდა მხოლოდ მისი საკუთ-

რება და მას ერთადერთი ვალდებულება ექნებოდა – სახელმწიფოსთვის დივიდენდის სახით გადაეხადა მიღებული თანხების 5 პროცენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

შპს „.....“-ის საბანკო ანგარიშზე თანხების ჩარიცხვის ერთადერთი წყარო იყო სახელმწიფო ბიუჯეტი. მასადავით, ამ თანხების არაკანონიერ წარმომავლობაზე ფიქრიც კი შეუძლებელია. შესაბამისად, ვერც ბრალდების მხარე და ვერც სასამართლო ვერ საუბრობენ ფულის გათეთრებაზე და ვერ ასახელებენ ამ დანაშაულის შემადგენლობის არსებობისათვის აუცილებელ, არაკანონიერი წარმომავლობის თანხებს და დანაშაულის მეორე სუბიექტს.

ამდენად, კასატორმა ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება.

საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის პროკურორმა კ. ნ-მ შესაგებლით ითხოვა დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 12 სექტემბრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარზე პროკურორის შესაგებლის გაუქმების შესახებ 2012 წლის 21 დეკემბრის დადგენილებით გაუქმდა საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის პროკურორ კ. ნ-ის შესაგებელი ა. ს-ის ბრალდების სისხლის სამართლის №.... საქმეზე, დანაშაულის გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა გ. პ-მა აღნიშნა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით ა. ს-ს ქმედებაში არ არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის, 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებისა და 250-ე მუხლის საფუძველზე, პროკურორმა უარი თქვა ა. ს-ს ბრალდებაზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მიზნით, მის ქმედებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და მსჯავრდებული ა. ს-ე გამართლდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატას მიაჩნია, რომ ა. ს-სთვის შერაცხული ბრალდება არ შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ნიშნებს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოწმე ნ. ჩ-ს მიერ სასამართლო განხილვის დროს მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ 2007 წლიდან იგი მუშაობს შპს „.....“-ის ბუღალტრად. ამ შპს-ს დამფუძნებელი იყო ა. ს-ე. მის მოვალეობაში შედიოდა აღრიცხვის წარმოება, საგადასახადო ინსპექციაში დეკლარაციის წარდგენა, სახელფასო უწყისების შედგენა. მოწმემ აღნიშნა, რომ: «ფირმას ანგარიშები ჰქონდა გახსნილი სხვადასხვა ბანკში, საიდანაც ფირმის დირექტორს შეეძლო თანხის გატანა, რის შემდეგაც ეს თანხა მიჰქონდა მასთან და იგი აფიქსირებდა, თუ რა მიმდინარე ხარჯებისათვის გამოიყენებოდა ეს თანხა. საქონლის შეძენის დადასტურება ხდებოდა შესაბამისი დოკუმენტებით, კერძოდ, ზედნაღებებით, ჩეკებით, რაც ბუღალტერიაში მიჰქონდა. ფირმის ძირითადი დამკვეთი სახელმწიფო იყო. საგადასახადო კოდექსის თანახმად, მაგალითად, 2011 წლის უკანასკნელი ვადა არის მომდევნო წლის, ანუ 2012 წლის 2 აპრილი. მეწარმეს შეუძლია მოახდინოს თანხების კორექტირება, 2 აპრილამდე არსებული უზუსტობა გადაცდომად არ ითვლება, – კორექტირების შეტანა მეწარმის უფლებაა და დარღვევად არ ითვლება, ... 147,771 ლარი მომდევნო წლის 2 აპრილამდე რომ ეჩვენებინა მოგებად და მოგების გადასახადი რომ ყოფილიყო გადახდილი, ა. ს-ის მხრიდან საგადასახადო გადაცდომას ადგილი არ ექნებოდა».

საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს „.....“ დაფუძნდა 2006 წლის 8 ივნისს, მისი დამფუძნებელი იყო ა. ს-ე. იგი იყო კომპანიის დირექტორი, ორგანიზაციის ანგარიშვალდებული პირი, რომელიც კომპანიის სახელით მონაწილეობდა მესამე პირებთან ურთიერთობაში.

2010 წლის განმავლობაში ა. ს-მ შპს „.....“-ს სალაროდან ხელზე გაიტანა 454 889 ლარი, საიდანაც წლის განმავლობაში ბუღალტერიაში 313 091 ლარზე წარადგინა თანხის ხარჯვითი დოკუმენტები, ხოლო 10 723 ლარი, ნაღდი ფული, დააბრუნა უკან – კომპანიის საბანკო ანგარიშზე. 2011 წლის 5 იანვრის მდგომარეობით დარჩენილი 147 771 ლარი კომპანიის ბუღალტერიაში აჩვენა, რომ მას, როგორც ანგარიშვალდებულ პირს, გატანილად ერიცხებოდა.

ა. ს-ის ჩვენებით, 2009 და 2010 წლებში მონაწილეობდა ქ. ... მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და ქ. ტერიტორიაზე უზრუნველყოფდა სოციალურად დაუცველი ფენის უფასო კვებით მომსახურებას; საცხოვრებელი სახლების კორდის მოწყობას; შენობა-ნაგებობების სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს და ა.შ.

საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის დეფინიციიდან ჩანს, რომ: «უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება), ეს არის უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (ქო-

ნებით სარგებლობა, ქონების შექმნა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება), მისი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე – მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა-შენიღბვა». თავად უკანონო შემოსავალი არის პირის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ფულადი სახსრები, რომელიც პირმა დანაშაულის ჩადენის შედეგად მიიღო.

საქმის მასალებით არ დასტურდება ა. ს-ის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ასევე არ დასტურდება ის ფაქტი, რომ მან შემოსავალი დანაშაულებრივი გზით მიიღო და მხოლოდ შემდეგ მოახდინა მისთვის კანონიერი სახის მიცემა, მისი უკანონო წარმოშობის დამალვა და შენიღბვა, რადგან საწარმო შემოსავალს იღებდა კანონიერი სამეწარმეო საქმიანობიდან. შპს „...“-ს საბანკო ანგარიშზე თანხების ჩარიცხვის ძირითადი წყარო იყო სახელმწიფო და, შესაბამისად, მიღებული შემოსავალიც იყო კანონიერი. აქედან გამომდინარე კი ა. ს-ის მიერ კომპანიის კუთვნილი, კანონიერი თანხების განკარგვა ვერ შეფასდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად და მის უკანონო განზრახვად, მიესაკუთრებინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულადი სახსრები. ამდენად, პალატის აზრით, საუბარი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე, ე.ი. უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემაზე, ასევე დამდგარ ზიანზე და მით უფრო – განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის მიღებაზე – უსაფუძვლოა და დაუსაბუთებელი.

არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ა. ს-ის მიერ ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტს.

პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე. იგი არ არის გამყარებული მტკიცებულებათა ერთობლიობით და საქმეში არსებული მტკიცებულებები, შესაბამისად, უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა.

საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ა. ს-მ ჩაიდინა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. იმავე კოდექსის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილით: «გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი», საქართველოს სსსკ-ის მე-5 მუხლის თანახმად კი: „მტკიცებულებების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ», ხოლო სსსკ-ის 259-ე მუხლის III ნაწილის თანახმად: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს».

საქმეში არ დევს ექსპერტიზის დასკვნები, არც იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ შპს „...“-ის დირექტორი ა. ს-ე შეეცადა, რაიმე სახით შეენიღბა საწარმოს სალაროდან აღებული თანხები, დაემალა მათი წარმოშობის წყარო ან მოეპოვებინა მათზე საკუთრების უფლება.

რაც შეეხება საქართველოს სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის, 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა«, „ი» ქვეპუნქტებისა და 250-ე მუხლის საფუძველზე პროკურორის მოთხოვნას სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მიზნით ა. ს-ის ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს.

მართალია, საქართველოს სსსკ-ის 166-ე მუხლის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებათა, მაგრამ იმავე კოდექსის 250-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას, დასკვნითი სიტყვის წარდგენამდე, ბრალდების მხარეს უფლება აქვს, ზემდგომი პროკურორის თანხმობით უარი თქვას ბრალდებაზე, რაზეც სასამართლო განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამის ბრალდებაში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კი პროკურორმა ბრალდებაზე უარი თქვა საკასაციო პალატის სხდომაზე, რასაც საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.

ამ შემთხვევაში საქმეზე არსებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება ან შეცვლა, საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და საპროცესო კოდექსის თანახმად, შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.

ამდენად, საკასაციო პალატის აზრით, პროკურორის მოთხოვნა უსაფუძვლოა, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, საპროცესო კანონმდებლობის ნორმებს და პალატა მას ვერ გაიზიარებს.

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, რის გამოც ა. ს-ე უნდა გამართლდეს მის ქმედებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ« ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 12 სექტემბრის განაჩენი.

ა. ს-ე ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ საქართველოს სსსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ« ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და გამართლდეს.

- ა. ს-ე უნდა გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.
- ა. ს-ეს განემარტოს უფლება საქართველოს სსსკ-ის 92-ე მუხლით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურების შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, იმავე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

- მსჯავრდებულ ა. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
- გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 12 სექტემბრის განაჩენი.
- ა. ს-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და გამართლდეს.
- ა. ს-ეს განემარტოს უფლება საქართველოს სსსკ-ის 92-ე მუხლით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურების შესახებ.
- ა. ს-ე გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.
- განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

საპროცესო შეთანხმება

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№281-აპ-12

18 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ თ. ს-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 30 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 თებერვლის განაჩენით თ. ს-ი, – დაზარდებული ... წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსსკ-ის 143¹ მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 15 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2011 წლის 16 დეკემბრიდან.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი:

თ. ს-ს დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული უცხოური ქვეყნის პასპორტი – ... – საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მის ახლობლებს.

დაზარალებულ მ. მ-ს მიერ წარმოდგენილი მისი კუთვნილი ...ს პასპორტი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულ მ. მ-ს.

უცხოური პასპორტის ქსეროასლი – ერთ ფურცლად, საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე განცხადება – ერთ ფურცლად, რომელსაც ხელს აწერს შ. ტ-ა, გაფრთხილებითი წერილი – ფორმა №9, წერილი მსჯავრდებულ შ. ტ-ს სახელზე, დათარიღებული 2011 წლის 2 ნოემბრით – ერთ ფურცლად, გაცემული ... პრობაციის ბიუროს უფროსის – რ. თ-ს მიერ, ზარალის ანაზღაურების ან გირაოს სახით თანხების გადახდის დასტურის ასლი შ. ტ-ს სახელზე, განაცხადი ანგარიშის გახსნაზე თ. ს-ს სახელზე – ერთ ფურცლად, დედნების სახით და ჩვენების ამსახველი ვიდეოჩანაწერი 3 ვიდეოკასეტაზე უნდა დაერთოს შ. ტ-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეს.

განაჩენის მიხედვით, თ. ს-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ორგანიზებული ჯგუფის მიერ ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ე.ი. ექსპლოატაციის მიზნით ადამიანის მოტყუებით გადაბირება და მიღება, ასევე – მის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება, რაც გამოიხატა შემდეგში:

ორგანიზებული ჯგუფის წევრმა, ... მოქალაქე შ. ტ-მ მეუღლესთან, თურქეთის მოქალაქე თ. ს-თან შეთანხმებით, თითქოსდა თვეში 800 აშშ დოლარის ანაზღაურების პირობით, ჩაის ფაბრიკაში სამუშაოდ 2011 წლის 26 ივნისს ... ქ. ... მოტყუებით ჩამოიყვანა ... მოქალაქე მ. მ-ა და სექსუალური ექსპლოატაციის მიზნით

იძულებით ჩააბა პროსტიტუციაში. ამ მიზნით შ. ტ-მ მ. მ-ს ჩამოართვა პასპორტი, მობილური ტელეფონი და სიმბარათი, რითაც მოუსპო ოჯახთან სატელეფონო კავშირის საშუალება. თ. ს-მა და მისმა მეუღლემ – შ. ტ-მ მ. მ-ს შეუზღუდეს თავისუფალი გადაადგილების საშუალება და ჰყავდათ მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში თ. ს-ი მას აყენებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. ჯგუფის წევრები არარსებული ვალის, 7000 აშშ დოლარის გამომუშავების მოთხოვნით მ. მ-ს ორი თვის განმავლობაში მუქარით აიძულებდნენ ქ. ..., ჭავჭავაძის ქ. №...-ში მდებარე თურქული ბარის „...“ და ლეონიძის ქუჩა №...-ში მდებარე სასტუმრო „...“ პირველ სართულზე განთავსებული ბარის შერჩეული, ე.წ. კლიენტებისათვის გაეწია სექსუალური მომსახურება, რის საფასურსაც მთლიანად იღებდა შ. ტ-ა.

თ. ს-ს ბრალი ედებოდა აგრეთვე იმაში, რომ ჩაიდინა იძულება, ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ე.ი. მისი ფიზიკური, ფსიქიკური იძულება, შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელებაც წარმოადგენს მის უფლებას და საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

საქმის სასამართლო განხილვის დროს სახელმწიფო ბრალმძებელმა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, უარი თქვა თ. ს-ს მიმართ წარდგენილი ბრალდების ნაწილზე, კერძოდ: პროცესზე გამომსვლელმა პროკურორმა, ზემდგომი პროკურორის თანხმობით, დაუდასტურებლობის მოტივით მოუხსნა ბრალდებულს საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ბრალდება, რის გამოც სასამართლომ განჩინებით შეწყვიტა სისხლის-სამართლებრივი დევნა თ. ს-ს მიმართ ბრალდების აღნიშნულ ნაწილში და საქმე განიხილა პროკურორის მიერ ფორმულირებული საქართველოს სსკ-ის 143¹ მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდების ფარგლებში.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 30 მაისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული თ. ს-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

2012 წლის 11 სექტემბერს საქართველოს მთავარი პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორმა ნ. ს-მა, საქართველოს სსკ-ის 209-211-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 143¹ მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, შეადგინა წერილობითი შეთანხმება ბრალზე გარიგების თაობაზე მასა და მსჯავრდებულ თ. ს-ს შორის.

პროკურატურამ მხედველობაში მიიღო რა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ბრალეულობის ხარისხი, ასევე ის გარემოება, რომ მსჯავრდებული თ. ს-ი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, საჯარო ინტერესების დაცვით, სახელმწიფო რესურსების მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენების მიზნით, 2012 წლის 11 სექტემბერს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-211-ე მუხლების მოთხოვნათა სრული დაცვით, მსჯავრდებულსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ ნ. ს-ს შორის წერილობით გააფორმა ოქმი საპროცესო შეთანხმების თაობაზე. საპროცესო შეთანხმება კანონით დადგენილი წესით წინასწარ შეთანხმდა ზემდგომ პროკურორთან.

2012 წლის 11 სექტემბერს სასამართლო სხდომაზე პროკურორმა ნ. ს-მა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მასა და მსჯავრდებულ თ. ს-ს შორის 2012 წლის 11 სექტემბერს დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი შუამდგომლობა და მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 30 მაისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, სახელმწიფო ბრალმძებლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ნ. ს-სა და მსჯავრდებულ თ. ს-ს შორის.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ნ. ს-მა მხარი დაუჭირა თავის შუამდგომლობას და ითხოვა, რომ მსჯავრდებულ თ. ს-ს საქართველოს სსკ-ის 143¹ მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე მსჯავრდებულმა თ. ს-მა და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – რ. ჰ-მ და გ. რ-მა.

სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით განიხილა შუამდგომლობის დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ თ. ს-ს აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულ მ. მ-ს ჩვენებით, მოწმეების ჩვენებებითა და საქმის სხვა მასალებით თ. ს-ს მიმართ ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

საკასაციო პალატა დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას მსჯავრდებულ თ. ს-ს მიმართ არ განხორციელებულა ძალადობა, დაშინება, მოტყუება, მუქარა; ამასთან, მას არ შეზღუდვია უფლება, მიეღო იურიდიული დახმარება.

პალატის სხდომაზე გამოკვლეულ იქნა, რომ მსჯავრდებულის სრულად აცნობიერებს ბრალად შერაცხული დანაშაულის ხასიათს, მისთვის გათვალისწინებულ სასჯელს და საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ, კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. მსჯავრდებულის თ. ს-ი აცნობიერებს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, არ მიიღოს მხედველობაში შეთანხმების საფუძველზე პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა.

მსჯავრდებულისათვის ასევე ცნობილია საქართველოს სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მისი კონსტიტუციური უფლებები; მისთვის ასევე ცნობილია, რომ საპროცესო შეთანხმება მას არ ათავისუფლებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პროკურორმა სწორი ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასებები გააკეთა ბრალსა და სასჯელზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ. სასამართლო ასევე იზიარებს პროკურორის არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულს გააჩნია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, კერძოდ, აღიარებს და გულწრფელად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს.

ამდენად, საქართველოს მთავარი პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ ნ. ს-ს შუამდგომლობა მსჯავრდებულ თ. ს-ს მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, 209-216-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

სახელმწიფო ბრალმძებლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ნ. ს-სა და მსჯავრდებულ თ. ს-ს შორის.

თ. ს-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსსკ-ის 143¹ მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სსსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელის ზომად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყოს 2011 წლის 16 დეკემბრიდან.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი:

თ. ს-ს დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული უცხოური ქვეყნის პასპორტი – ... – საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს მის ახლობლებს.

დაზარალებულ მ. მ-ს მიერ წარმოდგენილი მისი კუთვნილი ... პასპორტი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს დაზარალებულ მ. მ-ს.

უცხოური პასპორტის ქსეროასლი – ერთ ფურცლად, საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე განცხადება – ერთ ფურცლად, რომელსაც ხელს აწერს შ. ტ-ა, გაფრთხილებითი წერილი – ფორმა №9, წერილი მსჯავრდებულ შ. ტ-ს სახელზე, დათარიღებული 2011 წლის 2 ნოემბრით – ერთ ფურცლად, გაცემული ... პრობაციის ბიუროს უფროსის – რ. თ-ს მიერ, ზარალის ანაზღაურების ან გირაოს სახით თანხების გადახდის დასტურის ასლი შ. ტ-ს სახელზე, განაცხადი ანგარიშის გახსნაზე თ. ს-ს სახელზე – ერთ ფურცლად, დედნების სახით და ჩვენების ამსახველი ვიდეოჩანაწერი 3 ვიდეოკასეტაზე დაერთოს შ. ტ-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეს.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საპროცესო შეთანხმება

განაჩენი
საქართველოს სახელით

№380-აპ-12

22 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ გ. ნ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 10 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 26 ივნისის განაჩენით გ. ნ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-200³ მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 26 მარტიდან.

განაჩენის მიხედვით, გ. ნ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მაშინ, როცა მიწოდებული საქონლის ღირებულების თანხა დიდი ოდენობისაა, რაც გამოიხატა შემდეგში:

ქ. ზუგდიდში, ... ქუჩის №...-ში მცხოვრებმა, შს სამინისტროს ... მთავარი სამმართველოს უზნის ინსპექტორების სამმართველოს უზნის უფროსმა ინსპექტორ-გამომძიებელმა გ. ნ-მ 2012 წლის 26 მარტს ... რაიონის სოფელ ... დაუდგენელი პირისაგან სამეწარმეო საქმიანობისთვის შეიძინა ... ოკუპირებული ტერიტორიიდან უკანონოდ გადმოტანილი, ქარხნული წესით დამზადებული 653 ქილა, 14 366 ლარად ღირებული, დიდი ოდენობით ხიზილალა, რომელიც ჩატვირთა მისი მართვის ქვეშე მყოფ სამსახურებრივ „ფოლკსვაგენ ჯეტას» მარკის სახ.№... ავტომანქანის საბარგულში და სასაქონლო ზედნადების გარეშე დაიწყო აღნიშნული საქონლის ტრანსპორტირება ... მიმართულებით შემდგომი რეალიზაციის მიზნით. 2012 წლის 26 მარტს, 15.50 საათზე, ... რაიონის სოფელ ... საავტომობილო გზაზე იგი გააჩერეს შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა და „ფოლკსვაგენ ჯეტას» მარკის სახ.№... ავტომანქანის ჩხრეკის დროს მთლიანად ამოიღეს გ. ნ-ს მიერ სასაქონლო ზედნადების გარეშე შეძენილი და ტრანსპორტირებული, ქარხნული წესით დამზადებული, დიდი ოდენობით – 653 ქილა, 14366 ლარად ღირებული, ქარხნული წესით დამზადებული ხიზილალა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 10 სექტემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული გ. ნ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

პროკურორი შ. ზ-ი შესაგებლით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 10 სექტემბრის განაჩენის უცვლელად დატოვებას.

2012 წლის 19 ნოემბერს საქართველოს მთავარი პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორმა შ. ზ-მა, საქართველოს სსკ-ის 209-211-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის მე-200³ მუხლის 1-ლი ნაწილით, შეადგინა წერილობითი შეთანხმება სასჯელზე გარიგების თაობაზე მასა და მსჯავრდებულ გ. ნ-ს შორის.

პროკურატურამ, მხედველობაში მიიღო რა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ასევე ის გარემოება, რომ მსჯავრდებულმა გ. ნ-მ თანხმობა განაცხადა სასჯელზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ, საჯარო ინტერესების დაცვით, სახელმწიფო რესურსების მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენების მიზნით, 2012 წლის 19 ნოემბერს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-211-ე მუხლების მოთხოვნათა სრული დაცვით, მსჯავრდებულსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ შ. ზ-ს შორის წერილობით გააფორმა ოქმი საპროცესო შეთანხმების თაობაზე. საპროცესო შეთანხმება კანონით დადგენილი წესით წინასწარ შეთანხმდა ზემდგომ პროკურორთან.

2012 წლის 19 ნოემბერს სასამართლო სხდომაზე პროკურორმა შ. ზ-მა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მასა და მსჯავრდებულ გ. ნ-ს შორის 2012 წლის 19 ნოემბერს დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი შუამდგომლობა და მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 10 სექტემბრის განაჩენში უნდა

შევიდეს ცვლილება, სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ შ. ზ-სა და მსჯავრდებულ გ. ნ-ს შორის.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა შ. ზ-მა მხარი დაუჭირა თავის შუამდგომლობას და ითხოვა, რომ მსჯავრდებულ გ. ნ-ს საქართველოს სსკ-ის მე-200³ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის განესაზღვროს 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ ჯარიმა – 2000 ლარი.

სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე მსჯავრდებულმა გ. ნ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა გ. კ-მ.

სასამართლო საქმის მასალების საფუძველზე საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით განიხილა შუამდგომლობის დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მოწმეების – ი. ქ-სა და გ. ჯ-ს ჩვენებებით, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, ავტომანქანის ჩხრეკის ოქმით, სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 მარტის განჩინებით ნივთმტკიცების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შესახებ, ოპერატიული სამსახურისადმი დავალებით, სამსახურებრივი შემოწმების შედეგით (დასკვნით), №612 ბრძანებით, მიღება-ჩაბარების აქტითა და საქმის სხვა მასალებით გ. ნ-ს მიმართ ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

საკასაციო პალატა დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას მსჯავრდებულ გ. ნ-ს მიმართ არ განხორციელებულა ძალადობა, დაშინება, მოტყუება, მუქარა; ამასთან, მას არ შეზღუდვია უფლება, მიეღო იურიდიული დახმარება.

პალატის სხდომაზე გამოკვლეულ იქნა, რომ მსჯავრდებული სრულად აცნობიერებს ბრალად შერაცხული დანაშაულის ხასიათს, მისთვის გათვალისწინებულ სასჯელს და საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ, კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. მსჯავრდებული გ. ნ-ა აცნობიერებს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, არ მიიღოს მხედველობაში შეთანხმების საფუძველზე პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა.

მსჯავრდებულისათვის ასევე ცნობილია საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მისი კონსტიტუციური უფლებები; მისთვის ასევე ცნობილია, რომ საპროცესო შეთანხმება მას არ ათავისუფლებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პროკურორმა სწორი ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასებები გააკეთა სასჯელზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

ამდენად, საქართველოს მთავარი პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ შ. ზ-ს შუამდგომლობა მსჯავრდებულ გ. ნ-ს მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, 209-216-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 10 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ შ. ზ-სა და მსჯავრდებულ გ. ნ-ს შორის.

გ. ნ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-200³ მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვროს 8 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყოს 2012 წლის 26 მარტიდან.

მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვროს ჯარიმა – 2000 ლარი.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საპროცესო შეთანხმება

განაჩენი საქართველოს სახელით

№51-აპ-12

2 აგვისტო, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

პ. სილაგაძე,

დ. სულაქველიძე

განიხილა მსჯავრდებულ თ. გ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 6 მაისის განაჩენით თ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (პირველი ეპიზოდი) – 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (მეორე ეპიზოდი) – 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 10 000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და თ. გ-ს დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, ასევე დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 10 000 ლარის ოდენობით. იგი სასჯელს იხდის 2010 წლის 18 ოქტომბრიდან.

იმავე განაჩენით ნ. ს-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქ/პუნქტით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 15 000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და ნ. ს-ს დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 15 000 ლარის ოდენობით. იგი სასჯელს იხდის 2010 წლის 7 ოქტომბრიდან.

იმავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და ბრალდებულ ვ. მ-ს შორის. ვ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქ/პუნქტით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 6 წელი. ვ. მ-ს დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 10 000 ლარის ოდენობით. მას სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2010 წლის 7 ოქტომბრიდან 2011 წლის 6 მაისის ჩათვლით და გათავისუფლდა სასამართლოს სხდომის დარბაზიდან.

განაჩენით თ. გ-ს მსჯავრი დაედო ისეთი ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადებაში გასაღების მიზნით, გამოყენებასა და გასაღებაში, რომელიც არ არის ფასიანი ქალაქი (ორი ეპიზოდი);

თ. გ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 15 მარტს თ. გ-მ თბილისის რეგიონალური ცენტრის ვაკე-საბურთალოს განყოფილებაში დააფუძნა შპს „ბ-ა“, რომლის ერთადერთი დამფუძნებელი და დირექტორი იყო თავად – თ. გ-ე. შპს „ბ-ს“ საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ლითონის სამშენებლო კონსტრუქციებით საბითუმო ვაჭრობა.

შპს „ბ-ა“ 2006-2008 წლებში იძენდა ფოლადის მილებს სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისგან, ხოლო შემდეგ მათ ყიდდა შპს „თ-ზე“.

2007 წლის 1 მარტს დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შპს „თ-სა“ და შპს „ბ-ს“ შორის სხვადასხვა დიამეტრის ფოლადის მილების მიწოდებაზე. მისაწოდებელი საქონლის საერთო ფასი განისაზღვრა 310 550 ლარით.

2009 წლის 26 ნოემბერს დაიდო ხელშეკრულება შპს „თ-სა“ და შპს „ბ-ს“ შორის – 100 გარეგანათების ერთმკლავა ბოძის მიწოდების შესახებ. მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება განისაზღვრა 259 000 ლარით.

საქმიანობის პროცესში თ. გ-მ უსაბუთოდ შექმნილი მასალების ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით განიზრახა ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით, გასაღება და გამოყენება.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად თ. გ-მ დაამზადა 2006 წლის 2 ივნისით დათარიღებული №11 ყალბი სასაქონლო ზედნადები, რომლის თანახმადაც, ვითომდა შპს „ბ-მ“ ლ. მ-საგან შეიძინა 10200 ლარის ღირებულების 114 მმ დიამეტრის მქონე ფოლადის მილები.

თ. გ-მ, მოქმედებდა რა ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ერთიანი განზრახვით, დაამზადა 2006 წლის 7 აგვისტოთი დათარიღებული №32 ყალბი სასაქონლო ზედნადები, რომლის თა-

თ. გ-მ, მოქმედებდა რა ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ერთიანი განზრახვით, დაამზადა 2007 წლის 14 მარტით დათარიღებული №10 ყალბი სასაქონლო ზედნადები, რომლის თანახმადაც, ვითომდა შპს „ბ-მ« ი. ე-საგან შეიძინა 5600 ლარის ღირებულების 159 მმ დიამეტრის მქონე ფოლადის მილები.

თ. გ-მ, მოქმედებდა რა ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ერთიანი განზრახვით, დაამზადა 2007 წლის 12 აპრილით დათარიღებული №11 ყალბი სასაქონლო ზედნადები, რომლის თანახმადაც, ვითომდა შპს „ბ-მ« რ. შ-საგან შეიძინა 4000 ლარის ღირებულების 159 მმ დიამეტრის მქონე ფოლადის მილები.

თ. გ-მ, მოქმედებდა რა ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ერთიანი განზრახვით, დაამზადა 2007 წლის 16 აპრილით დათარიღებული №13 ყალბი სასაქონლო ზედნადები, რომლის თანახმადაც, ვითომდა შპს „ბ-მ« ნ. ს-საგან შეიძინა 4320 ლარის ღირებულების 57 მმ დიამეტრის მქონე ფოლადის მილები.

თ. გ-მ, მოქმედებდა რა ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ერთიანი განზრახვით, დაამზადა 2007 წლის 17 აპრილით დათარიღებული №14 ყალბი სასაქონლო ზედნადები, რომლის თანახმადაც, ვითომდა შპს „ბ-მ« ტ. მ-საგან შეიძინა 10800 ლარის ღირებულების 159-160 მმ დიამეტრის მქონე ფოლადის მილები.

თ. გ-მ, მოქმედებდა რა ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ერთიანი განზრახვით, დაამზადა 2007 წლის 17 აპრილით დათარიღებული №15 ყალბი სასაქონლო ზედნადები, რომლის თანახმადაც, ვითომდა შპს „ბ-მ« მ. ბ-საგან შეიძინა 10280 ლარის ღირებულების 159-160 მმ დიამეტრის მქონე ფოლადის მილები.

თ. გ-მ, მოქმედებდა რა ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ერთიანი განზრახვით, დაამზადა 2007 წლის 17 აპრილით დათარიღებული №16 ყალბი სასაქონლო ზედნადები, რომლის თანახმადაც, ვითომდა შპს „ბ-მ« ი. გ-საგან შეიძინა 11740 ლარის ღირებულების 159-160 მმ დიამეტრის მქონე ფოლადის მილები.

თ. გ-მ, მოქმედებდა რა ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ერთიანი განზრახვით, დაამზადა 2007 წლის 18 ივლისით დათარიღებული №28 ყალბი სასაქონლო ზედნადები, რომლის თანახმადაც, ვითომდა შპს „ბ-მ« ზ. ვ-საგან შეიძინა 9400 ლარის ღირებულების 470 მმ დიამეტრის მქონე ფოლადის მილები.

ყველა ზემოაღნიშნულ ზედნადებზე მყიდველის გრაფაში მითითებულია შპს „ბ-ა«, ხელს აწერს მისი დირექტორი თ. გ-ე, ხოლო გამყიდველის გრაფაში მითითებული არიან ზემოაღნიშნული მოქალაქეები, რომლებმაც უარყვეს შპს „ბ-სათვის« ფოლადის მილების მიყიდვის ფაქტი.

თ. გ-მ კვლავ განაგრძო დანაშაულებრივი საქმიანობა და 2010 წლის 11 იანვარს საჯარო რეესტრში დააფუძნა შპს „ნ-ი« რომლის ერთადერთი დამფუძნებელი და დირექტორი კვლავ თავად იყო. საწარმო გადახდელად დარეგისტრირებულია საგადასახადო ინსპექციის რეგიონალური ცენტრის გლდანი-ნამალადევის განყოფილებაში.

2010 წლის 13 იანვარს თ. გ-მ შპს „თ-ს« ხელმძღვანელობას მიმართა განცხადებით, რომელშიც აღნიშნავდა, რომ შპს „ბ-ა« აჩერებდა სამეწარმეო საქმიანობას, ხოლო მასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს შეასრულებდა შპს „ნ-ი«, რომლის დირექტორიც ასევე იყო თ. გ-ე.

საქმიანობის პროცესში თ. გ-მ უსაბუთოდ შეძენილი მასალების ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით კვლავ განაგრძო ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით, გასაღება და გამოყენება. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან დაამზადა ბბ-02 №666614 ყალბი ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადები, დათარიღებული 2010 წლის 23 ივლისით, რომლის თანახმადაც, ვითომდა შპს „ნ-მა« ვინმე ჩ-ს – და გაურკვეველი სერიის ავტომანქანა „მერსედესის« მეშვეობით, შპს „თ-ს« მიაწოდა 2596 ლარის ღირებულების 10 ცალი გარეგანათების ბოძი. აღნიშნული საქონლის გადამზიდველად მითითებული მართვის მოწმობის შესახებ რაიმე სახის ინფორმაცია საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ბაზას არ გააჩნია. თ. გ-მ, მოქმედებდა რა ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ერთიანი განზრახვით, დაამზადა 2010 წლის 26 ივლისით დათარიღებული ბბ-02 №666615 ყალბი ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადები, რომლის თანახმადაც, ვითომდა შპს „ნ-მა« ვინმე ჩ-ს და გაურკვეველი სერიის ავტომანქანა „მერსედესის« მეშვეობით, შპს „თ-ს« მიაწოდა 3894 ლარის ღირებულების 15 ცალი გარეგანათების ბოძი. აღნიშნული საქონლის გადამზიდველად მითითებული მართვის მოწმობის შესახებ რაიმე სახის ინფორმაცია საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ბაზას არ გააჩნია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 29 ნოემბრის განაჩენით ცვლილება შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 6 მაისის განაჩენში, კერძოდ: დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება დადებული პროკურორსა და ნ. ს-ს შორის.

ნ. ს-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენებით 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 2 წელი ჩაეთვალა პირობითად. მას დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 10 000 ლარის ოდენო-

ბით; საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქ/პუნქტით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 10 000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით, ნ. ს-ს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, საიდანაც 5 წელი განესაზღვრა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 2 წელი, სსკ-ის 63-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩათვალა პირობითად, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. მას დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 20 000 ლარის ოდენობით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა – თ. გ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა საჩივრით ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 29 ნოემბრის განაჩენის გაუქმება.

2012 წლის 1 აგვისტოს საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის სტაჟიორ-პროკურორმა ზ. ქ-მ, საქართველოს სსკ-ის 209-211-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ორი ეპიზოდი), შეადგინა წერილობითი შეთანხმება ბრალზე გარიგების თაობაზე მასა და მსჯავრდებულ თ. გ-ს შორის.

პროკურატურამ მხედველობაში მიიღო რა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ბრალულობის ხარისხი, ასევე ის გარემოება, რომ მსჯავრდებული თ. გ-ე ცნობს თავს დანაშაულს, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, თანამშრომლობს გამოძიებასთან, საჯარო ინტერესების დაცვით, სახელმწიფო რესურსების მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენების მიზნით, 2012 წლის 1 აგვისტოს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-211-ე მუხლების მოთხოვნათა სრული დაცვით, მსჯავრდებულსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის სტაჟიორ-პროკურორ ზ. ქ-ს შორის წერილობით გაფორმდა ოქმი საპროცესო შეთანხმების თაობაზე. საპროცესო შეთანხმება კანონით დადგენილი წესით წინასწარ შეთანხმდა ზემდგომ პროკურორთან.

2012 წლის 2 აგვისტოს სასამართლო სხდომაზე პროკურორმა ზ. ქ-მ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მასა და მსჯავრდებულ თ. გ-ს შორის 2012 წლის 1 აგვისტოს დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი შუამდგომლობა და მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, სახელმწიფო ბრალმძებლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ზ. ქ-სა და მსჯავრდებულ – თ. გ-ს შორის.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ზ. ქ-მ მხარი დაუჭირა თავის შუამდგომლობას და ითხოვა, რომ მსჯავრდებული თ. გ-ე ცნობილ იქნეს დანაშაულს და მისჯა: საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (შპს «ბ-ს» ეპიზოდი) – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის შესაბამისად, გაუნახვერდეს და განესაზღვროს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (შპს «ნ-ს» ეპიზოდი) – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის შესაბამისად, მას დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვროს ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბოს და თ. გ-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით.

სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე მსჯავრდებულმა თ. გ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ზ-მ.

პალატამ საქმის მასალების საფუძველზე განიხილა შუამდგომლობის დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მოწმეების – მ. ზ-ს, მ. ა-ს, კ. კ-ს, თ. ბ-ს, რ. შ-ს, მ. ო-ს, დ. მ-ს, თ. ხ-ს, ვ. ხ-ს, მ. გ-ს, ვ. შ-ს და სხვათა ჩვენებებით, ამოღებული დოკუმენტაციით, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოს წერილით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით თ. გ-ს მიმართ ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული.

საკასაციო პალატის სხდომაზე გამოკვლევის შედეგად სასამართლო დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმება დადებულია ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე სხვა უკანონო დაპირების გარეშე, ნებაყოფლობით; მსჯავრდებულს ჰქონდა შესაძლებლობა, მიეღო კვალიფიციური იურიდიული დახმარება; მის მიმართ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან არ ყოფილა წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა; თ. გ-ე სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც ედება ბრალი და იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს; მისთვის ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული, კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ; მსჯავრდებული აცნობიერებს, რომ თუ სასამართლომ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, დაუშვებელია მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი მიაწვდის სასამართლოს საპროცესო შეთანხმების განხილვისას; საპროცესო შეთანხმება არ არის

შედეგი მსჯავრდებულის იძულებისა, დაშინებისა ან ისეთი დაპირებისა, რომელიც სცილდება საპროცესო შეთანხმების ფარგლებს; თ. გ-ე შეთანხმება ბრალის აღიარების შესახებ საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს; მსჯავრდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმების ყველა პირობა ასახულია საპროცესო შეთანხმებაში; მსჯავრდებული და მისი ადვოკატი სრულად იცნობენ საქმის მასალებს; თ. გ-სათვის ასევე ცნობილია მისთვის კანონით მინიჭებული დაცვის უფლება, უფლება უარი განაცხადოს საპროცესო შეთანხმებაზე ბრალის აღიარების შესახებ და უფლება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვისა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პროკურორმა სწორი ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასებები გააკეთა ბრალსა და სასჯელზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ, რის გამოც საქართველოს მთავარი პროკურატურის დემარტამენტის სტაჟიორ-პროკურორ ზ. ქ-ს შუამდგომლობა მსჯავრდებულ თ. გ-ს მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, 209-216-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

დაკმაყოფილდეს სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა.

დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ზ. ქ-სა და მსჯავრდებულ თ. გ-ს შორის.

თ. გ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (შპს «ბ-ს» ეპიზოდი) – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის შესაბამისად, გაუნახვერდეს და განესაზღვროს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (შპს «ნ-ს» ეპიზოდი) – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის შესაბამისად, მას დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვროს ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბოს და თ. გ-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით.

თ. გ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწესოს 2010 წლის 18 ოქტომბრიდან.

გაუქმდეს: თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით, თ. გ-ს საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში მდებარე 55.00 კვ.მ ფართზე დადებული ყადაღა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 3 ნოემბრის განჩინებით თ. გ-ს საკუთრებაში არსებულ და მის სახელზე რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებაზე – „მერსედეს ბენც 300E» დადებული ყადაღა.

საქმეზე დართული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამსახველი მასალა, ასევე შპს «თ-დან» და შპს «ბ-დან» ამოღებული დოკუმენტაცია შენახული იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საპროცესო შეთანხმება

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№329-აპ-12

9 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი**

განიხილა მსჯავრდებულ თ. თ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 აპრილის განაჩენით თ. თ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 თვით, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შეკრების წესით, თ. თ-ს სასჯელად განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2011 წლის 11 ოქტომბრიდან.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი „MAKADOV-ის» კონსტრუქციის პისტოლეტი, 7,62 მმ კალიბრიანი, ნომერგადაშლილი „NAGAN-ის» სისტემის რევოლვერი, 10,67 მმ კალიბრიანი «SMITH&WESSON-ის» სისტემის რევოლვერი №..., „KALASHNIKOV-ის» კონსტრუქციის «AKH-ის» მოდელის 5,45 მმ კალიბრიანი ავტომატი №..., 5,6 მმ კალიბრიანი «თო-3-17» მოდელის კარაბინი, **ფ-1** ტიპის ხელის მსხვერველი ყუმბარის კორპუსი, სასკდომი მუხტით და «УЗПМ» ტიპის უნიფიცირებულ – მოდერნიზებული ამფეთქი ფალია, 5,45 მმ კალიბრიანი 181 ვაზნა, 9 მმ კალიბრიანი 12 ვაზნა, 5,6 მმ კალიბრიანი 50 ვაზნა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ჩაჰბარდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ სამსახურს.

საქმეზე არსებული ნივთმტკიცება – 5,6 მმ კალიბრიანი «ALMINIUM-ის» სისტემის რევოლვერი №... საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს ან შესაბამისი უფლებითა და მსჯავრდებულის ნდობით აღჭურვილ პირს.

განაჩენით თ. თ-ს მსჯავრი დაედო ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვასა და ტარებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

თ. თ-ი წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს შს სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე.

2011 წლის 11 ოქტომბერს, 8 საათსა და 50 წუთზე, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, თბილისში, მ. კ-ს გამზირის №...-ა სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, პოლიციის მუშაკებმა შეაჩერეს „NIŠAN-ის» მარკის ავტომანქანა, სახელმწიფო ნომრით «...», რომელსაც მართავდა თ. თ-ი. ვინაიდან არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ იგი ინახავდა კანონსაწინააღმდეგო ნივთს და შეემლო, მოეშორებინა მამხილებელი მტკიცებულებები, ადგილზე ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა. ასევე გაიჩხრიკა მისი „ნისანის» მარკის ავტომანქანაც. სხვა ნივთებთან ერთად ავტომანქანის საბარგულიდან ამოიღეს „AK-74» მოდელის, 5, 45-კალიბრიანი „KALASHNIKOV-ის» კონსტრუქციის №... ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდითა და 26 საბრძოლო ვაზნით, რომლებიც ბრალდებულმა მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა, შეინახა და ატარებდა.

ვინაიდან არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი თ. თ-ის საცხოვრებელ სახლში, დ-ი, პ-ის ქ. №...-ში, კანონსაწინააღმდეგო ნივთების შესაძლო შენახვის თაობაზე, იმავე დღეს, თბილისის პროკურატურის დავალებით, დ-ს პოლიციის თანამშრომლებმა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში გაჩხრიკეს თ. თ-ის საცხოვრებელი სახლი. დამსწრეების მონაწილეობით ჩატარებული ჩხრეკისას აღნიშნულ სახლში არსებული ოთახებიდან და დამხმარე სათავსებიდან ამოიღეს სხვადასხვა სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა და ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომლებიც თ. თ-მა მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა, შეინახა და ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა. ამოღებული ნივთები დაილუქა და გადაიგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა თ. თ-მა. სააპელაციო საჩივარში აპელანტმა აღნიშნა, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან სასამართლომ დანაშაულის ჩადენა დადგენილად მიიჩნია უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე. სასამართლომ არ იმსჯელა ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებისა და დამაგრების დროს დაშვებულ დარღვევებზე, კერძოდ, დაირღვა სსსკ-ის 101-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებისა და სსსკ-ის 113-ე მუხლის მოთხოვნები, ასევე – „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნაც, რადგან არც პატაკსა და არც საქმეში არ დევს, თუ რა სახის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება განხორციელდა და როდის. აპელანტის აზრით, მის მიმართ დაწყებული გამოძიების საფუძველი გახდა დაუსაბუთებელი და უკანონო საგამოძიებო მოქმედებები, რის გამოც მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არ გააჩნია. სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ გ. გ-ას ბუნდოვან განმარტებას. მოწმეებმა: ვ. გ-მა, გ. კ-ემ და სხვებმა სასამართლოში აღნიშნეს, რომ შსს სამმართველოში არსებობს კიდევ ერთი საიდუმლო პატაკი, რომელშიც დაფიქსირებულია ინფორმაციის წყარო, თუმცა ეს პატაკი საქმეში არ დევს და მის საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა კანონის უხეში დარღვევაა. აპელანტის აზრით, ჩხრეკისა და ამოღების ოქმები უკანონოა, ვინაიდან გადაუდებელ აუცილებლობას ადგილი არ ჰქონია. საქმის არსებითი განხილვის დროს მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობები დაუშვებელ მტკიცებულებებად ცნობის თაობაზე. აპელანტმა ასევე აღნიშნა, რომ განაჩენი დაუსაბუთებელია, ვინაიდან სასამართლომ განაჩენის დადგენისას გამოიყენა ბრალდების მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც არსებითად განსხვავდება მათ მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენებებისაგან. დ-ში ჩატარებული ჩხრეკის მოწმეებმა გაზეპირებული ჩვენებები მისცეს, ხოლო ავტომანქანის ჩხრეკის მოწმეთა ჩვენებები არათანმიმდევრული და ურთიერთსაწინააღმდეგოა. აპელანტმა აღნიშნა, რომ განაჩენი არ შეესაბამება ქმედების კვალიფიკაციას, ხოლო განსაზღვრული სასჯელი – მის პიროვნებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტმა ითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ივლისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა თ. თ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა აღნიშნა, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. განაჩენში კი თითქმის ყველა მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იყოს ცნობილი, რადგან მიღებულია საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით.

ასევე უკანონოა ჩხრეკა-ამოღების ოქმები, ხოლო მოწმეთა ჩვენებები კი – არათანმიმდევრული და ურთიერთსაწინააღმდეგო.

ამდენად, კასატორმა თ. თ-მა ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება.

პროკურორმა გ. ბ-მა შესაგებლით ითხოვა მსჯავრდებულ თ. თ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 9 ივლისის განაჩენის უცვლელად დატოვება.

2012 წლის 4 ოქტომბერს ქ. თბილისის პროკურატურის შს სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორმა გ. ბ-მა, საქართველოს სსკ-ის 209-211-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, შეადგინა წერილობითი შეთანხმება სასჯელზე გარიგების თაობაზე მასა და მსჯავრდებულ თ. თ-ს შორის.

პროკურატურამ, მხედველობაში მიიღო რა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ასევე ის გარემოება, რომ მსჯავრდებულმა თ. თ-მა ნებაყოფლობით მიმართა პროკურატურას განცხადებით და თანხმობა განაცხადა სასჯელზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ, საჯარო ინტერესების დაცვით, სახელმწიფო რესურსების მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენების მიზნით, 2012 წლის 4 ოქტომბერს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-211-ე მუხლების მოთხოვნათა სრული დაცვით, მსჯავრდებულსა და ქ. თბილისის პროკურატურის შს სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ გ. ბ-ს შორის წერილობით გააფორმა ოქმი საპროცესო შეთანხმების თაობაზე. საპროცესო შეთანხმება კანონით დადგენილი წესით წინასწარ შეთანხმდა ზემდგომ პროკურორთან.

2012 წლის 9 ოქტომბერს სასამართლო სხდომაზე პროკურორმა გ. ბ-მა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მასა და მსჯავრდებულ თ. თ-ს შორის 2012 წლის 4 ოქტომბერს დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი შუამდგომლობა და მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, სახელმწიფო ბრალმძებლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ გ. ბ-სა და მსჯავრდებულ თ. თ-ს შორის.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა გ. ბ-მა მხარი დაუჭირა თავის შუამდგომლობას და ითხოვა, რომ მსჯავრდებული თ. თ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 თვით, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შეკრების წესით, თ. თ-ს საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე მსჯავრდებულმა თ. თ-მა და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – შ. თ-ემ და ლ. გ-მა.

სასამართლო საქმის მასალების საფუძველზე, საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით განიხილა შუამდგომლობის დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მოწმეების: ვ. გ-ის, გ. გ-ას, გ. ჩ-ას, მ. შ-ის, ლ. გ-ის, პ. ხ-ის, გ. კ-ის, მ. კ-ის, გ. ჯ-ის, გ. ფ-ის, ვ. ზ-ის, ვ. ყ-ის, ვ. ა-ის ჩვენებებით, ექსპერტ დ. ც-ის ჩვენებით, ბრალდებულის დაკავების, აგრეთვე პირადი, ავტომანქანის, საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით, ბალისტიკური ექსპერტიზის №..., №..., პიროტექნიკური ექსპერტიზის №... დასკვნებითა და საქმის სხვა მასალებით თ. თ-ის მიმართ ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია.

საკასაციო პალატა დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას მსჯავრდებულ თ. თ-ის მიმართ არ განხორციელებულა ძალადობა, დაშინება, მოტყუება, მუქარა; ამასთან, მას არ შეზღუდვია უფლება, მიეღო იურიდიული დახმარება.

პალატის სხდომაზე გამოკვლეულ იქნა, რომ მსჯავრდებული სრულად აცნობიერებს საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ, კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას, არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალს, თუმცა ეთანხმება პროკურორის სასჯელის ზომას. მსჯავრდებული თ. თ-ი ასევე აცნობიერებს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, არ მიიღოს მხედველობაში შეთანხმების საფუძველზე პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა.

მსჯავრდებულისათვის ასევე ცნობილია საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მისი კონსტიტუციური უფლებები; მისთვის ასევე ცნობილია, რომ საპროცესო შეთანხმება მას არ ათავისუფლებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პროკურორმა სწორი ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასებები გააკეთა სასჯელზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ. სასამართლო ასევე იზიარებს პროკურორის არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულს გააჩნია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, მან ნებაყოფლობით მიმართა პროკურატურას განცხადებით და თანხმობა განაცხადა სასჯელზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ.

ამდენად, ქ. თბილისის პროკურატურის შს სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ გ. ბ-ის შუამდგომლობა მსჯავრდებულ თ. თ-ის მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, 209-216-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

დაკმაყოფილდეს სახელმწიფო ბრალმძებლის შუამდგომლობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ გ. ბ-სა და მსჯავრდებულ თ. თ-ს შორის.

თ. თ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 თვით, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შეკრების წესით, თ. თ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თ. თ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწესოს 2011 წლის 11 ოქტომბრიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საპროცესო შეთანხმება

განაჩენი საქართველოს სახელით

№393-აპ-12

20 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

ნ. სხირტლაძე

განიხილა მსჯავრდებულ დ. მ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 მაისის განაჩენით დ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. დ. მ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 4 მარტიდან.

მასვე საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, როგორც დანაშაულის ჩასადენად გამოხუნული ნივთი, სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვა ავტომანქანა „ტოიოტა“, სახ. №...

ნივთმტკიცება – დ. მ-ს პირადი, ავტომანქანისა და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნარკოტიკული საშუალება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

განაჩენის მიხედვით, დ. მ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა; დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის 4 მარტს გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში, ..., დ. მ-მ უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით – **0,2571** გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რაც იმავე დღეს სასაზღვრო-გამშვები პუნქტის „წითელი ხიდის“ გავლით უკანონოდ შემოიტანა საქართველოში. მითითებული ნარკოტიკული საშუალებიდან ნაწილს – **0,0585** გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“ იგი უკანონოდ ინახავდა პირადად; ნაწილს – **0,0734** გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“ უკანონოდ ინახავდა თავისი მართვის ქვეშე მყოფ „ტოიოტას“ მარკის ავტომანქანაში (სახ. №...), სპეციალურად მოწყობილ სამალავში, ხოლო ნაწილს – **0,1252** გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“ უკანონოდ ინახავდა ..., ... ქ. №..., ბინა №...-ში.

2012 წლის 4 მარტს საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ..., ... ქუჩის №...-ე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, დააკავეს დ. მ-ე, რომლის პირადი ჩხრევისას ამოიღეს **0,0585** გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, მისი მართვის ქვეშე მყოფი „ტოიოტას“ მარკის ავტომანქანაში (სახ. №...) მოწყობილი სპეციალური სამალავიდან ამოიღეს **0,0734** გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, ხოლო დ. მ-ს კუთვნილი, ..., ... ქ. №2/7-ში მდებარე ბინა №...-ის ჩხრევისას ამოიღეს **0,1252** ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული დ. მ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას, ასევე მისთვის საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე ჩამორთმეული ავტომანქანის დაბრუნებას.

2012 წლის 11 დეკემბერს საქართველოს მთავარი პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორმა დ. მ-მა, საქართველოს სსკ-ის 209-211-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, შეადგინა წერილობითი შეთანხმება ბრალზე გარიგების თაობაზე მასა და მსჯავრდებულ დ. მ-ს შორის.

პროკურატურამ, მხედველობაში მიიღო რა ჩადენილი დანაშაულისათვის დაწესებული სასჯელის სიმძიმე, აგრეთვე საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე – სახელმწიფო რესურსების მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენების მიზნით, 2012 წლის 11 დეკემბერს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-211-ე მუხლების მოთხოვნათა სრული დაცვით, მსჯავრდებულსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ დ. მ-ს შორის წერილობით გააფორმა ოქმი საპროცესო შეთანხმების თაობაზე. საპროცესო შეთანხმება კანონით დადგენილი წესით წინასწარ შეთანხმდა ზემდგომ პროკურორთან.

სასამართლო სხდომაზე პროკურორმა დ. მ-მა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მასა და მსჯავრდებულ დ. მ-ს შორის 2012 წლის 11 დეკემბერს დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი შუამდგომლობა და მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, სახელმწიფო ბრალმძღვანელის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ დ. მ-სა და მსჯავრდებულ დ. მ-ს შორის.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა დ. მ-მა მხარი დაუჭირა თავის შუამდგომლობას და ითხოვა, რომ მსჯავრდებულ დ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბოს სრულად და დ. მ-ს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელობაში არსებული და სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამორთმეული ავტომანქანა „ტოიოტა ლენდ კრუიზერ-200“.

მასვე «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ნარკოტიკული საშუალება უნდა განადგურდეს კანონით დადგენილი წესით.

სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე მსჯავრდებულმა დ. მ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ო. ქ-მ.

სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით განიხილა შუამდგომლობის დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების – ვ. კ-ს, მ. პ-ს, ლ. კ-ს, გ. ლ-ს, ჯ. კ-ს ჩვენებებით, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, ავტომანქანისა და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ოქმებით, ავტომანქანის ამოღების ოქმით, ქიმიური და ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით, დ. მ-ს მიერ საზღვრის კვეთის დამადასტურებელი დოკუმენტებითა და საქმის სხვა მასალებით დ. მ-ს მიმართ ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

საკასაციო პალატა დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას მსჯავრდებულ დ. მ-ს მიმართ არ განხორციელებულა ძალადობა, დაშინება, მოტყუება, მუქარა; ამასთან, მას არ შეზღუდვია უფლება, მიეღო იურიდიული დახმარება.

პალატის სხდომაზე გამოკვლეულ იქნა, რომ მსჯავრდებულის სრულად აცნობიერებს ბრალად შერაცხული დანაშაულის ხასიათს, მისთვის გათვალისწინებულ სასჯელს და საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ, კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. მსჯავრდებულის დ. მ-ე აცნობიერებს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, არ მიიღოს მხედველობაში შეთანხმების საფუძველზე პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა.

მსჯავრდებულისათვის ასევე ცნობილია საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მისი კონსტიტუციური უფლებები; მისთვის ასევე ცნობილია, რომ საპროცესო შეთანხმება მას არ ათავისუფლებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პროკურორმა სწორი ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასებები გააკეთა ბრალსა და სასჯელზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ. სასამართლო ასევე იზიარებს პროკურორის არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულს გააჩნია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, კერძოდ, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს.

ამდენად, საქართველოს მთავარი პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ დ. მ-ს შუამდგომლობა მსჯავრდებულ დ. მ-ს მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, 209-216-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

სახელმწიფო ბრალმძებლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ დ. მ-სა და მსჯავრდებულ დ. მ-ს შორის.

დ. მ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბოს სრულად და დ. მ-ს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყოს 2012 წლის 4 მარტიდან.

მასვე «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

დ. მ-ს დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელობაში არსებული და სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამორთმეული ავტომანქანა „ტოიოტა ლენდ კრუიზერ-200“, სახ. №....

ნივთმტკიცება – დ. მ-ს პირადი, ავტომანქანისა და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნარკოტიკული საშუალება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საპროცესო შეთანხმება

განაჩენი საქართველოს სახელით

№307-აპ-12

24 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი**

განიხილა მსჯავრდებულების: თ. დ-ის, ე. ქ-ის, ნ. ბ-ისა და გ. თ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 17 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 მაისის განაჩენით თ. დ-ი, ამჟამად პატიმარი; ე. ქ-ი, ამჟამად პატიმარი; ნ. ბ-ი, ამჟამად პატიმარი; გ. თ-ე, ამჟამად პატიმარი, – ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯათ 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ისინი სასჯელს იხდიან 2012 წლის 16 თებერვლიდან.

განაჩენით მსჯავრდებულებს: თ. დ-ს, ე. ქ-ს, ნ. ბ-სა და გ. თ-ეს მსჯავრი დაედოთ მოწმის მიერ სასამართლოში ცრუ ჩვენების მიცემაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

რუსთავის საქალაქო სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე №..., ბრალდებულების – ლ. რ-ს, ნ. და ზ. ჯ-ების მიმართ, ა. ი-ის საცხოვრებელი ბინის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით.

სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს მოწმის სახით დასაკითხად წარადგინეს ე. ქ-ი, გ. თ-ე, ნ. ბ-ი და თ. დ-ი, რომლებიც ჩვენების მიცემაშიც სასამართლომ გააფრთხილა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებული ცრუ ჩვენების მიცემისათვის მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. მიუხედავად აღნიშნულისა, მითითებულმა მოწმეებმა, ლ. რ-სათვის მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, საქმის არსებითი განხილვის დროს იმ მოტივით, რომ გაემართლებინათ ლ. რ-ს მიერ ა. ი-ის კუთვნილი საცხოვრებელი ბინის თაღლითურად დაუფლების ფაქტი, სასამართლოს მისცეს ცრუ ჩვენება და აღნიშნეს, რომ გარდა ნ. ჯ-ის მიერ მიცემული 8.500 აშშ დოლარისა, ა. ი-ის შვილს – ზ. ი-ს სხვადასხვა პირისაგან ლ. რ-ს მეშვეობით ნასესხები ჰქონდა 8.000 აშშ დოლარი, მათ შორის ე. ქ-ისაგან – 1.500 აშშ დოლარი, ნ. ბ-ისაგან – 3.000 აშშ დოლარი, გ. თ-ისაგან – 2.000 აშშ დოლარი, ხოლო თ. დ-ისაგან – 1.500 აშშ დოლარი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა: ე. ქ-მა, ნ. ბ-მა, თ. დ-მა და გ. თ-ემ.

აპელანტები ითხოვდნენ:

ე. ქ-ი – რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 მაისის განაჩენში ცვლილების შეტანას და ისეთი სასჯელის განსაზღვრას, რომელიც არ იქნებოდა დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან;

ნ. ბ-ი – სასჯელის შემსუბუქებას;

გ. თ-ე – რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 მაისის განაჩენში ცვლილების შეტანას მინიმალური სასჯელის განსაზღვრის სახით;

თ. დ-ი – რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 მაისის განაჩენში ცვლილების შეტანას და ისეთი სასჯელის განსაზღვრას, რომელიც არ იქნებოდა დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 17 ივლისის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულებმა: თ. დ-მა, ე. ქ-მა, ნ. ბ-მა და გ. თ-ემ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორებმა საჩივრებით ითხოვეს: თ. დ-მა – გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და ისეთი სასჯელის განსაზღვრა, რომელიც არ იქნება დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან; ე. ქ-მა – სასჯელის შეცვლა პირობითი მსჯავრით, ალტერნატივად კი – სასჯელის მინიმუმის განსაზღვრა; ნ. ბ-მა – სასჯელის შემსუბუქება, ხოლო გ. თ-ემ – განაჩენში ცვლილების შეტანა მინიმალური სასჯელის განსაზღვრის სახით.

პროკურორმა ნ. მ-ემ შესაგებლებით ითხოვა მსჯავრდებულების: თ. დ-ის, ე. ქ-ის, ნ. ბ-ისა და გ. თ-ის საკასაციო საჩივრების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 ივლისის განაჩენის უცვლელად დატოვება.

2012 წლის 23 სექტემბერს რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ნ. მ-ემ საქართველოს სსკ-ის 209-211-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შეადგინა წერილობითი შეთანხმება ბრალზე გარიგების თაობაზე მასა და მსჯავრდებულ თ. დ-ს შორის.

პროკურატურამ მხედველობაში მიიღო რა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ბრალეულობის ხარისხი, ასევე ის გარემოება, რომ მსჯავრდებული თ. დ-ი სრულად ცნობს თავს დანაშაულებად, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, თანამშრომლობს გამოძიებასთან, საჯარო ინტერესების დაცვით, სახელმწიფო რესურსების მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენების მიზნით, 2012 წლის 23 სექტემბერს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-211-ე მუხლების მოთხოვნათა სრული დაცვით, მსჯავრდებულსა და რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნ. მ-ეს შორის წერილობით გააფორმა ოქმი საპროცესო შეთანხმების თაობაზე. საპროცესო შეთანხმება კანონით დადგენილი წესით წინასწარ შეთანხმდა ზემდგომ პროკურორთან.

2012 წლის 24 სექტემბერს სასამართლო სხდომაზე პროკურორმა ნ. მ-ემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მასა და მსჯავრდებულ თ. დ-ს შორის 2012 წლის 23 სექტემბერს დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი შუამდგომლობა და მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 17 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, სახელმწიფო ბრალმძებლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ნ. მ-ესა და მსჯავრდებულ თ. დ-ს შორის.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ნ. მ-ემ მხარი დაუჭირა თავის შუამდგომლობას და ითხოვა, რომ მსჯავრდებული თ. დ-ი ცნობილ იქნეს დანაშაულებად და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც იმავე კოდექსის 63-64-ე მუხლების საფუძველზე უნდა შეეცვალოს პირობითი მსჯავრით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე სსკ-ის 41-42-ე მუხლების გამოყენებით დამატებით სასჯელად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 2.000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე მსჯავრდებულმა თ. დ-მა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ც. შ-ემ.

სასამართლო საქმის მასალების საფუძველზე საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით განიხილა შუამდგომლობის დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ

საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნ. მ-ის მომართვის წერილითა და მოხსენებითი ბარათით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სხდომის ოქმით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, მსჯავრდებულების: თ. დ-ის, ნ. ბ-ის, ე. ქ-ის დაკითხვის ოქმებით, მოწმეების: ვ. ძ-ის, ნ. ჯ-ის, ხ. ც-ის დაკითხვის ოქმებითა და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულთათვის საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

საკასაციო პალატა დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას მსჯავრდებულ თ. დ-ის მიმართ არ განხორციელებულა ძალადობა, დაშინება, მოტყუება, მუქარა; ამასთან, მას არ შეზღუდვია უფლება, მიეღო იურიდიული დახმარება.

პალატის სხდომაზე გამოკვლეულ იქნა, რომ მსჯავრდებული სრულად აცნობიერებს ბრალად შერაცხული დანაშაულის ხასიათს, მისთვის გათვალისწინებულ სასჯელს და საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ, კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. მსჯავრდებული თ. დ-ი აცნობიერებს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, არ მიიღოს მხედველობაში შეთანხმების საფუძველზე პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა.

მსჯავრდებულისათვის ასევე ცნობილია საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე« ქვეპუნქტით განსაზღვრული მისი კონსტიტუციური უფლებები; მისთვის ასევე ცნობილია, რომ საპროცესო შეთანხმება მას არ ათავისუფლებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.

ამდენად, პალატის აზრით, პროკურორმა სწორი ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასებები გააკეთა ბრალსა და სასჯელზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

პალატის სხდომაზე მსჯავრდებულების: ე. ქ-ის, ნ. ბ-ისა და გ. თ-ის ინტერესების დამცველებმა, ადვოკატებმა – შ. გ-მა და ე. ბ-ემ ითხოვეს სასჯელების შემსუბუქება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული მსჯავრდებულების მიმართ სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღო ჩადენილი დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, მსჯავრდებულთა პიროვნებები, მათი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, დანაშაულის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი და დანაშაულის პრევენციის მიზნებიდან გამომდინარე, მათ სწორად შეუფარდა ისეთი სასჯელი (ამ მუხლით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მინიმუმი), რაც სრულად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს, დანაშაულებათა რესოციალიზაციას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და სამართლიანობის აღდგენას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნ. მ-ის შუამდგომლობა მსჯავრდებულ თ. დ-ის მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულების: ე. ქ-ის, ნ. ბ-ისა და გ. თ-ის მიმართ გამოტანილი განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის I ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, 209-216-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

დაკმაყოფილდეს სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 17 ივლისის განაჩენი შეიცვალოს შემდეგი მიმართებით:

დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ნ. მ-ესა და მსჯავრდებულ თ. დ-ს შორის.

თ. დ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელად განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც იმავე კოდექსის 63-64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალოს პირობითი მსჯავრით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით და გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების გამოყენებით თ. დ-ს დამატებით სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა – 2.000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

პირობითი მსჯავრის პერიოდში მსჯავრდებულ თ. დ-ის ყოფაქცევაზე კონტროლი დაევალოს პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საპროცესო შეთანხმების გასაჩივრება

განჩინება

საქართველოს სახელით

№347-აპ-12

13 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

გ. შავლიაშვილი,

პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ მ. ჭ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 19 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის განაჩენით მ. ჭ-ე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 14 წელი, 7 თვე, 18 დღე (საიდანაც მსჯავრდებულს 5 წელი ჩათვლილი ჰქონდა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით) და მას საბოლოოდ განესაზღვრა 21 წლით, 7 თვითა და 18 დღით თავისუფლების აღკვეთა. ამ სასჯელის ნაწილი – 16 წელი, 7 თვე და 18 დღე მსჯავრდებულმა უნდა მოიხადოს სასჯელადსრულების დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 5 წელი მას ჩათვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. მ. ჭ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 30 ოქტომბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და მოითხოვა გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 თებერვლის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მსჯავრდებულს შორის, რომლის მიხედვით მ. ჭ-ს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 14 წელი, 3 თვე, 29 დღე და განესაზღვრა 17 წლით, 3 თვითა და 29 დღით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 12 წელი, 3 თვე და 29 დღე მსჯავრდებულმა უნდა მოიხადოს სასჯელადსრულების დაწესებულებაში,

ხოლო დარჩენილი 5 წელი მას ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. მ. ჭ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 19 თებერვლიდან.

2012 წლის 5 სექტემბერს მსჯავრდებულმა საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 19 თებერვლის განაჩენი და იმავდროულად იშუამდგომლა გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენის შესახებ, რაც დაკმაყოფილდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით.

მსჯავრდებული მ. ჭ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ დათანხმდა პროკურატურის მხრიდან შეთავაზებულ საპროცესო შეთანხმების პირობებს, ვინაიდან – „ცუდსა და უფრო ცუდს შორის აირჩია ცუდი ვარიანტი»; მას წლები დასჭირდა იმის გასარკვევად, რომ, თუნდაც საპროცესო შეთანხმების სანაცვლოდ, დანაშაული არ უნდა ეღიარებინა და უფრო საფუძვლიანად შეესწავლა საპროცესო შეთანხმების პირობები და მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები, ხოლო მისი უფლებების სრულად რეალიზაციის პირობებში არ დაუშვებდა შეცდომას; მსჯავრდებულის განმარტებით, ჭემმარტების დადგენასა და სამართლიანობის აღდგენას წინ არაფერი უნდა დაუდგეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული მ. ჭ-ე მოითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის წინააღმდეგ გამოძიებაში დაბრუნებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 679^ე-ე მუხლის 1-ლი ნაწილის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) შესაბამისად, მსჯავრდებულს უფლება აქვს, ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში წარადგინოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ განაჩენის გაუქმების თაობაზე, თუ:

- ა) საპროცესო შეთანხმება დაიდო მოტყუებით;
- ბ) ბრალდებულს (განსასჯელს) შეეზღუდა დაცვის უფლება;
- გ) საპროცესო შეთანხმება დაიდო იძულებით, ძალადობით, მუქარით ან დაშინებით;
- დ) საქმის განმხილველმა სასამართლომ უგულვებელყო კანონის ამ თავით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნა.

როგორც ირკვევა, მ. ჭ-მ სრულად აღიარა ჩადენილი დანაშაული და განმარტა, რომ მასთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა ნებაყოფლობით და ყოველგვარი ზეწოლის გარეშე. მსჯავრდებულისათვის ცნობილი იყო საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით კანონის ყველა მოთხოვნა. მას არ შეზღუდია დაცვის უფლება, ხოლო სასამართლოს მიერ კანონის არსებითი მოთხოვნის დარღვევა საქმის მასალებით არ იკვეთება და ამის შესახებ არც კასატორი მიუთითებს.

მსჯავრდებულის განმარტებით, მას უფრო საფუძვლიანად უნდა შეესწავლა საპროცესო შეთანხმების პირობები და მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები, მაგრამ იგი არ აღნიშნავს, რა ხელისშემშლელი გარემოების გამო (თუკი ამგვარი გარემოება არსებობდა) ვერ შეისწავლა და გაითვალისწინა საპროცესო შეთანხმების პირობები და შედეგები. საჩივრის მოტივებიდან ფაქტობრივად მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ მსჯავრდებული აღარ ეთანხმება მასთან წლების წინ გაფორმებულ საპროცესო შეთანხმების პირობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს მ. ჭ-სათან საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ განაჩენის გაუქმების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ. ჭ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 თებერვლის განაჩენი მ. ჭ-ის მიმართ დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენში სასჯელის ზომის შემცირების თაობაზე სასამართლოს უფლებამოსილების შესახებ

განაჩენი
საქართველოს სახელით

№22-აგ-12

18 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ ს. გ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 17 აგვისტოს განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 თებერვლის განაჩენით ს. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წელი, 9 თვე, 1 დღე და მას საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის, 9 თვისა და 1 დღის ვადით. ს. გ-ი სასჯელს იხდის 2006 წლის 27 ივლისიდან.

2012 წლის 8 და 13 აგვისტოს მსჯავრდებულმა ს. გ-მა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის შესახებ და მოითხოვა მისი ქმედების სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე გადაკვალიფიცირება და დანიშნული სასჯელის შემსუბუქება იმ მოტივით, რომ ახალი კანონით შეიცვალა იმ ნარკოტიკული საშუალების ოდენობა, რომლის შექმნა-შენახვისთვისაც იგი იყო მსჯავრდებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 17 აგვისტოს განაჩენით მსჯავრდებულ ს. გ-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ს. გ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ს. გ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მას უნდა შეუმცირდეს სასჯელი, რადგან თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 აგვისტოს განაჩენით მოეხსნა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი; ამასთან, სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა 2005 წლის 21 ნოემბრის განაჩენის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვისა და დანიშნული სასჯელის შემცირების თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ს. გ-ი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის შეცვლასა და სასჯელის შემცირებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს გადასასინჯი გადაწყვეტილების სამართლიანობაზე. საპროცესო კოდექსის ამ მოთხოვნებიდან და სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მსჯავრდებულს უნდა შეუმცირდეს სასჯელი იმ შემთხვევაში, როდესაც მისთვის დანიშნული სასჯელის ზომა აღემატება ახალი კანონით დადგენილი სასჯელის ზომის მაქსიმუმს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუკი დანიშნული სასჯელი ახალი კანონის სანქციის ფარგლებშია, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, შეამციროს მისი ზომა.

ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 21 ნოემბრის განაჩენის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის თაობაზე, ასევე უსაფუძვლოა, ვინაიდან აღნიშნული განაჩენით მას მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ უკანონოდ შექმნის, შენახვისა და გადაზიდვისათვის, რომლის ოდენობასაც უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობების ნუსხაში ცვლილება არ შეეხებია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 314-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ს. გ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 17 აგვისტოს განაჩენი ს. გ-ს მიმართ დარჩეს უცვლელად.
საკასაციო პალატის განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შეტანილი შუამდგომლობისა და საჩივრის განხილვის დასაშვებობა იმ მოსამართლეების მიერ, რომელთაც საქმე არსებითად აქვთ განხილული

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№14-აგ-12

23 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ ჯ. ზ-ას საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ივნისის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 დეკემბრის განაჩენით ჯ. ზ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 25-ე, 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2009 წლის 9 დეკემბრიდან. მსჯავრდებულს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 5 000 ლარი.

აღნიშნული გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 11 ივნისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 21 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მოცემულ საქმეზე ცნობილ იქნა დაუშვებლად.

2012 წლის 24 მაისს მსჯავრდებულმა ჯ. ზ-ამ შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 დეკემბრის განაჩენის გადასინჯვა.

აღნიშნული შუამდგომლობა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 5 ივნისის განჩინებით, დაუშვებლად იქნა ცნობილი.

კასატორი თავის საჩივარში მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ შუამდგომლობა განიხილა სსსკ-ის 313-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით – შუამდგომლობის გაგზავნიდან 1 თვისა და 18 დღის შემდეგ; 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის მოსამართლეები არ იყვნენ უფლებამოსილნი, განეხილათ შუამდგომლობა; არ არსებობს სისხლის სამართლის საქმე, რომლისგანაც გამოყოფილია ჯ. ზ-ას ბრალდების საქმე; რევიზიის შუალედური აქტით დადგენილია, რომ 2006 წლის დეკლარაციის შეუდგენლობის გამო არ გადამოწმებულა ამავე წლის შემოსავალი, ხარჯები და მოგება; არ არსებობს ინვენტარიზაციის აქტი და სასაქონლო-საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნა; არც ერთი საბუღალტრო დოკუმენტით არ არის დადგენილი 466 მ³ წიწვოვანი ფიცრის დანაკლისი, მაგრამ ამის მიუხედავად, მისი რეალიზაციის შედეგად დღგ-სა და სხვა სახის გადასახადი – 18600 ლარი ჩაირიცხა ბიუჯეტში; საბრალდებო დასკვნა და განაჩენი ეწინააღმდეგება დოკუმენტებს, რადგან ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, არ არსებობს 466 მ³ წიწვოვანი ფიცრის დანაკლისი, ე.ი. დანაშაულებრივ ქმედებას ადგილი არ ჰქონია, თ. ხ-ა მიმალვაში არ ყოფილა და არც შემოწმების საფუძველი არსებობდა; საბუღალტრო დოკუმენტები ინახება გამოყოფილ საქმეში; მტკიცებულებები მოპოვებულია კანონის მოთხოვნათა არსებითი დარღვევებით და ისინი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ჯ. ზ-ა მოითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 5 ივნისის განჩინების გაუქმებას და საქმის გაგზავნას თბილისის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად; იგი ასევე ითხოვს, რომ საკასაციო საჩივარი არ განიხილოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლეებმა იმ მოტივით, რომ ისინი მონაწილეობდნენ ჯ. ზ-ასა და ნ. გ-ას მიმართ გადაწყვეტილებების გამოტანაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ მსჯავრდებულის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შევიდა 2012 წლის 24 მაისს, ხოლო 28 მაისს – შუამდგომლობა და თანდართული მასალები 4 ტომად. სააპელაციო პალატამ შუამდგომლობა განიხილა 2012 წლის 5 ივნისს, შესაბამისად, უსაფუძვლოა კასატორის მითითება სასამართლოს მიერ სსსკ-ის 313-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ვადის დარღვევის შესახებ.

პალატა აღნიშნავს, რომ არც ადრე და არც ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ კრძალავს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შეტანილი შუამდგომლობისა და საჩივრის იმ მოსამართლეების მიერ განხილვას, რომლებსაც საქმე განხილული აქვთ არსებითად.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის შესაბამისად, განაჩენი გადასინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო.

საკასაციო საჩივარში არც ერთი ამგვარი გარემოება არ არის მითითებული. მსჯავრდებული ვერ მიუთითებს, კანონში აღნიშნული რომელი ახალი გარემოება გამოვლინდა 2010 წლის 21 დეკემბერს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ფაქტობრივად, ჯ. ზ-ა მოითხოვს საქმის კვლავ არსებითად განხილვას და მტკიცებულებების ხელახლა შეფასებას, რის შესაძლებლობასაც, საპროცესო კანონიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მოკლებულია.

ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ჯ. ზ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ივნისის განჩინება მსჯავრდებულ ჯ. ზ-ას შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინების უცვლელად დატოვება

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№12-აგ-12

2 ივლისი, 2012 წ., თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე**

განიხილა მსჯავრდებულ ა. რ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მაისის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2004 წლის 9 ივნისის განაჩენით ა. რ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით – 1 წლით, 379-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით – 7 წლით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 3 წლით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით – 5 წლით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით – 10 წლით, 224-ე მუხლით – 12 წლით, ხოლო 109-ე მუხლის «გ», «ლ» ქვეპუნქტებით – 18 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, სსკ-ის 109-ე მუხლის «გ» და «ლ» ქვეპუნქტებით დანიშნულ სასჯელს დაემატა: სსკ-ის 379-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელიდან – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელიდან – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 224-ე მუხლით დანიშნული სასჯელიდან – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ამ სასჯელმა შთანთქა 273-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებით დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ ა. რ-ეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალა წინასწარ პატიმრობაში გატარებული 2 წელი, 9 თვე, 10 დღე და საბოლოოდ მოსახდელად დარჩა 22 წელი, 2 თვე და 5 დღე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 12 იანვრის განჩინებით აღნიშნული განაჩენი შეიცვალა, კერძოდ:

ა. რ-ის მიმართ სსკ-ის 224-ე მუხლისა და 109-ე მუხლის «ლ» ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ნაწილში სისხლის სასამართლის საქმე შეწყდა. ა. რ-ეს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი – 22 წელი, 2 თვე და 5 დღე – შეუმცირდა და საბოლოოდ განესაზღვრა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

გარდა ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 3 დეკემბრის განაჩენით ა. რ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 378² მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატა უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 12 იანვრის განჩინებით დანიშნული 20 წლით თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილი – 16 წელი, 6 თვე და 6 დღე და საბოლოოდ მას მოსახდელად განესაზღვრა 19 წლით, 6 თვითა და 6 დღით თავისუფლების აღკვეთა. ა. რ-ეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 3 დეკემბრიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 3 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით ა. რ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის განაჩენზე არ იქნა დაშვებული განსახილველად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის დადგენილებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის განაჩენით ა. რ-ის მიმართ დანიშნული საბოლოო სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 19 წლით, 6 თვითა და 6 დღით – დარჩა უცვლელად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 28 ნოემბრის დადგენილებით «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონი ა. რ-ის მიმართ არ იქნა გამოყენებული და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 14 მაისის განჩინებით მსჯავრდებულ ა. რ-ის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის განაჩენი ა. რ-ის მიმართ დარჩა უცვლელად, ხოლო უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 12 იანვრის განჩინება შეიცვალა, კერძოდ:

ა. რ-ის ქმედება სსკ-ის 109-ე მუხლის «გ» პუნქტიდან (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე (2010 წლის 16 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) და

ამ მუხლით ა. რ-ეს განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) გადაკვალიფიცირდა მოქმედი სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე და ა. რ-ეს საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის, 6 თვისა და 6 დღის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 3 დეკემბრიდან.

2012 წლის 30 აპრილს მსჯავრდებულმა ა. რ-ემ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2004 წლის 9 ივნისის განაჩენის გადასინჯვა იმ მოტივით, რომ განაჩენი დაადგინა სასამართლოს უკანონო შემადგენლობამ, რადგან საქმის განხილვაში მოსამართლესთან ერთად მონაწილეობდა ორი მსაჯული, იმ დროისათვის კი კანონი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ არ არსებობდა. აღნიშნულის თაობაზე არსებობს სახალხო დამცველის რეკომენდაცია, აგრეთვე – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე «გ-ე საქართველოს წინააღმდეგ».

საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებდა, რომ წინასწარ გამოძიებაში გატარებული დრო მას არ ჩაუთვალეს სასჯელის ვადაში, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და სისხლის სამართლის კოდექსს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 14 მაისის განჩინებით ა. რ-ის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 9 ივნისის განაჩენის გადასინჯვის შესახებ დაუშვებლად იქნა ცნობილი.

მსჯავრდებული ა. რ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 14 მაისის განჩინების გაუქმებას იმავე მოტივებით, რაც მიუთითებდა შუამდგომლობაში. მსჯავრდებული ა. რ-ე საკასაციო საჩივარში ასევე აღნიშნავს, რომ განაჩენის დადგენის დროს მოსამართლემ არ გაითვალისწინა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, ის, რომ მას ნასამართლობა გაქარწყლებული ჰქონდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სასამართლო ორიენტირებული იყო მის დასჯაზე. გარდა ამისა, მას არასწორად გამოუთვალეს საბოლოო სასჯელის ზომა და ნაცვლად 24 წლის, 11 თვისა და 15 დღისა, განუსაზღვრეს 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სამსახურებრივ გულგრილობაზე ან უფლებების გადაჭარბებაზე მიუთითებს.

კასატორის აზრით, საქმის მასალების მიხედვით, ის ერთსა და იმავე დროს იმყოფებოდა სამ სხვადასხვა ადგილზე, რაც ფიზიკურად შეუძლებელია. გარდა ამისა, 2000 წელს არ არსებობდა დაუსწრებლად, ზეპირი მოსმენის გარეშე გასამართლების პრაქტიკა, თუმცა მოსამართლე გ. გ-ის განცხადებით, მან განაჩენი გამოიტანა ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე; ასე რომ ყოფილიყო, სასამართლოს უნდა მიემართა შსს-ს ძებნის სამსახურისათვის, რაც არ გაუკეთებია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული ა. რ-ე ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მაისის განჩინების გაუქმებასა და მისი საქმის ხელახლა გადასინჯვას.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის შესაბამისად, განაჩენი გადასინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომ-

ლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარში არც ერთი ზემოაღნიშნული გარემოება არ არის მითითებული. სსსკ-ის 437¹ მუხლი, რომელზეც აპელირებს კასატორი, კანონს დაემატა 2005 წლის 23 ივნისის ცვლილებით, ხოლო 2005 წლის 25 მარტამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 434-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო, სისხლის სამართლის საქმეს განიხილავდა ერთი მოსამართლისა და ორიდან ექვსამდე მსაჯულის მონაწილეობით. ამავე კოდექსის 438-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი მოსამართლე და მსაჯულები ერთად ქმნიდნენ კოლეგიას. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელზეც ასევე მიუთითებს კასატორი, სსსკ-ის 310-ე მუხლის «ე» პუნქტის შესაბამისად, გამოტანილი უნდა იყოს ამ საქმესთან დაკავშირებით, რასაც ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება შუამდგომლობასა და საკასაციო საჩივარში აღნიშნულ სხვა გარემოებებს, ისინი ცნობილი იყო სასამართლოსათვის საქმის არსებითად განხილვისას. ფაქტობრივად, მსჯავრდებული მოითხოვს მტკიცებულებათა ხელახლა შეფასებას, რის თაობაზეც სააპელაციო პალატამ სწორად მიუთითა, რომ არ არსებობდა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის ახლად გამოვლენილი საფუძველი.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივებს შუამდგომლობასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. რ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მაისის განჩინება მსჯავრდებულ ა. რ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინების უცვლელად დატოვება

განჩინება საქართველოს სახელით

№13-აგ-12

4 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 5 აპრილის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 20 ნოემბრის განაჩენით ნ. მ-ი, ნ. ც-ე და ნ. ბ-ი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 143² მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) იმაში, რომ ჩაიდინეს არასრულწლოვნით ვაჭრობა დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, რისთვისაც მათ მიესაჯათ: ნ. მ-სა და ნ. ბ-ს – 12-12 წლით, ხოლო ნ. ც-ეს – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 21 აგვისტოს განაჩენით შეიცვალა: მსჯავრდებულების ქმედება სსკ-ის 143² მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა მოქმედი რედაქციის სსკ-ის 143²-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 5 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივრები მოცემულ საქმეზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

2012 წლის 22 მარტს მსჯავრდებულმა ნ. მ-მა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს 2007 წლის 21 აგვისტოს განაჩენის გადასინჯვა და მისი ქმედების საქართველოს სსკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაკვალიფიცირება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 5 აპრილის განჩინებით მსჯავრდებულ ნ. მ-ის შუამდგომლობა არ იქნა დაშვებული სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად.

საჩივრის ავტორი – მსჯავრდებული ნ. მ-ი საჩივარში აღნიშნავს, რომ იგი ორ პირთან ერთად დასჯილია არასრულწლოვნის გაყიდვისათვის ექსპლუატაციის მიზნის გარეშე; რადგან 2007 წელს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით არ იყო განსაზღვრული ასეთი ქმედების დასჯადობის საკითხი, ამიტომ მათი ქმედება დაკვალიფიცირდა ტრეფიკინგით. 2010 წლის 1 თებერვლიდან ამოქმედდა სსკ-ის 172-ე მუხლი, რომელიც საშუალებას იძლევა, მეტი სიზუსტით განსაზღვროს და აღწეროს მათ მიერ ჩადენილი ქმედება.

საკასაციო საჩივრით კასატორი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს, მაგრამ ამ საკითხზე დავას არ აპირებს; მისი განცხადებით, მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი ქმედება მხოლოდ იმიტომ დაკვალიფიცირდა ტრეფიკინგით, რომ განაჩენის დადგენის დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი მუხლი არ არსებობდა. სსკ-ში 172-ე მუხლის ამოქმედება ახლად გამოვლენილ გარემოებას წარმოადგენს, რის გამოც მის მიერ გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს და ნ. მ-ის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 172-ე მუხლით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ნ. მ-ი ითხოვს კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას, სსსკ-ის 310-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შუამდგომლობის დაშვებას განსახილველად და მისი ქმედების სსკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაკვალიფიცირებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შემოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 172-ე მუხლი მიზნით კვალიფიცირებული დელიქტია. ამ დანაშაულის ჩადენისას ბავშვის უშუალო გამყიდველისა და მყიდველის მიზანია, შესაბამისად, ბავშვის გაშვილება (თუნდაც გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ) და შვილად აყვანა.

კასატორის მტკიცების საპირისპიროდ, საქმის არსებითად განხილვისას სასამართლოს არ მიუჩნევია დადგენილად, რომ თითქოს ნ. მ-ს ამომრავებდა შვილად აყვანის მიზანი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 21 აგვისტოს განაჩენით: «უდავოდ დასტურდება, რომ ნ. მ-მა აღნიშნული ქმედებები განახორციელა სწორედ ბავშვის გაყიდვისა და გამორჩენის მიღებისათვის და არა სხვა რაიმე კეთილშობილური მიზნით».

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ნ-ა მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 5 აპრილის განჩინება მსჯავრდებულ ნ. მ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინების უცვლელად დატოვება

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№24-აგ-12

8 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულების – ა. ზ-ს, გ. ჩ-ს, მ. ს-სა და რ. მ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 7 აგვისტოს განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის განაჩენით ნ. ბ-ი, – დაბადებული 1968 წელს, ძებნილი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით – უვადო თავისუფლების აღკვეთა, 18, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით – 18 წლით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით, იმავე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით, ხოლო მე-4 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შვიკრების წესით, ნ. ბ-ს სასჯელად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, ნ. ბ-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვა საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი: 1.684.670 ევრო, 4.000 ლარი, ერთი 50-ევროიანი ნომინალის დაზიანებული ბანკნოტი; ავტომანქანები – «MEლშEDEშ-BENძ 260 E KAთ», და ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა; «MEლშEDEშ-BENძ 614 D»; შპს «ა. ე.», ელექტრონული სასწორი და 7 ერთეული გირი; «ნისან პატრულის» მარკის ავტომანქანის წინა ხიდის შიგთავსი და მანქანის 2 ყუმბარა; ავტომანქანის რედუქტორი, 2 ყუმბარა, 4 ჭანჭიკი და 2 ჩამკეტი (ე.წ. «აბოიმა»); ნ. ბ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებული 9 წყვილი ხელთათმანი, ფირმა «ლEVEლ-ის» მართკუთხა ფორმის გირები და ფირმა «შEVEლIN-ის» პოლიეთილენის პარკების ვაკუუმური შეკვრის აპარატები.

ა. ზ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით – 20 წლით, 18, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით – 18 წლით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით, იმავე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით, ხოლო მე-4 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შვიკრების წესით, ა. ზ-ს სასჯელად განესაზღვრა 52 წლით თავისუფლების აღკვეთა. იმავე კოდექსის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით ა. ზ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, ა. ზ-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვა საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ავტომანქანა «MEლშEDEშ-BENძ R 320».

გ. ჩ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით – 20 წლით, 18, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით – 17 წლით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით, იმავე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით, ხოლო მე-4 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შვიკრების წესით, გ. ჩ-ს სასჯელად განესაზღვრა 51 წლით თავისუფლების აღკვეთა. იმავე კოდექსის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით გ. ჩ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, გ. ჩ-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვა საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ა. ზ-ს სახლის ჩხრეკისას ამოღებული 50.000 ევრო.

რ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით – 16 წლით, ხოლო 18, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შვიკრების წესით, რ. მ-ს სასჯელად განესაზღვრა 33 წლით თავისუფლების აღკვეთა. იმავე კოდექსის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით რ. მ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ა. ზ-ი, გ. ჩ-ი და რ. მ-ი სასჯელს იხდიან 2010 წლის 1 ივნისიდან.

მ. ს-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით – 16 წლით, ხოლო 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შეკრების წესით, მ. ს-ს სასჯელად განესაზღვრა 24 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2010 წლის 2 ივნისიდან.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, მ. ს-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვა საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ავტომანქანა «MEლშEDEშ-BENძ ჩ 180».

თ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით და სასჯელად განესაზღვრა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2010 წლის 4 ივნისიდან.

მსჯავრდებულებს – ა. ზ-ს, ნ. ბ-ს, რ. მ-ს, გ. ჩ-ს, მ. ს-სა და თ. გ-ს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვათ სატრანსპორტო საშუალების მართვის, ხოლო 15 წლით – საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ივნისის განაჩენით ფოთის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ თ. გ-ს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება.

თ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით და სასჯელად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

2012 წლის 26 ივლისის მსჯავრდებულებმა – ა. ზ-მა, გ. ჩ-მა, მ. ს-მ და რ. მ-მა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიმართეს შუამდგომლობით ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მათ მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის თაობაზე. შუამდგომლობის ავტორთა მოსაზრებით, არსებობს დაცვის მხარის მიერ ახლად გამოვლენილი გარემოება, რაც განაჩენის გადასინჯვის საფუძველს წარმოადგენს, კერძოდ: მთავარ პროკურატურასა და იუსტიციის სამინისტროს მიერ ოფიციალურად მომზადებული და საჯაროდ გავრცელებული ანგარიშიდან, რომელიც შეეხება ნარკოტიკულ დანაშაულებს საქართველოში, ასევე წლების მიხედვით სამართალდამცავთა მიერ ამოღებულ სხვადასხვა სიძლიერის ნარკოტიკულ საშუალებებს, საერთოდ არ დასტურდება ნარკოტიკული ნივთიერება კოკაინის ბრუნვა საქართველოში, მითუმეტეს – მისი ამოღება და თან ისეთი დიდი ოდენობით, როგორც თითქოს მ. ს-ს ავტომანქანიდან იქნა ამოღებული. ანგარიშში არსად ფიგურირებს 2010 წელს ამოღებული კოკაინის რაოდენობა – 133,8642 გ. ნ. ბ-სა და სხვათა მიმართ სს საქმეში კი ნივთმტკიცებად ფიქსირდება სწორედ მითითებული რაოდენობის კოკაინის ამოღება მ. ს-ს ავტომანქანიდან. ანგარიშში საერთოდ არ არის მოხსენიებული ასევე 220 კგ. კოკაინის საქართველოში შემოზიდვა და შემდეგ ევროპაში მისი გატანა. საგულისხმოა, რომ სადაც პროკურატურა უთითებს მეთადონის გაცილებით უფრო უმნიშვნელო რაოდენობით – 7,5გ-ის ამოღების ფაქტს, არაფერია ნათქვამი 133,8642 გ. კოკაინზე, რომელიც უფრო ძლიერმოქმედ ნარკოტიკულ საშუალებად ითვლება. შესაბამისად, დაცვის მხარის მტკიცება, რომ არავითარი კოკაინი მ. ს-ს მანქანიდან არ ამოღებულა, დადასტურდა თავად პროკურატურის მიერ მომზადებული ოფიციალური ანგარიშით, რასაც შესაბამისად იურიდიული ძალა გააჩნია. ასევე საგულისხმოა, რომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2012 წლის მარტში გამოქვეყნებულ ანგარიშშიც, რომელიც მსოფლიოს ქვეყნებში ნარკოტიკის უკანონო ბრუნვას ეხება, 2010 წლის მონაცემების თანახმად, საქართველოში კოკაინი ამოღებული არ ყოფილა. როგორც ანგარიშიდან ირკვევა, ოფიციალურ ინფორმაციას ამერიკის მხარეს აწვდის საქართველოს შს სამინისტრო. თუკი მ. ს-ს ავტომანქანიდან პოლიციამ რეალურად მართლაც ამოიღო კოკაინი, საქართველოს შს სამინისტრო ამის თაობაზე აუცილებლად მიაწვდიდა ინფორმაციას აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს. შესაბამისად, არსებობს განაჩენის გადასინჯვის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან ზემომითითებულ გარემოებებზე დაყრდნობით არსებითად იცვლება მსჯავრდებულ მ. ს-ს მდგომარეობა, რადგანაც დასტურდება, რომ მისი კუთვნილი ავტომანქანიდან საერთოდ არ ამოღებულა ე.წ. „სკოჩში“ გახვეული რაიმე ნივთიერება, ხოლო ის, რაც თავად პოლიციელებმა ჩაიგდეს, რეალურად არ წარმოადგენდა კოკაინს. ამდენად, უდავოა, რომ სისხლის სამართლის საქმეში არსებული ნივთმტკიცება – კოკაინი წარმოადგენს დაუშვებელ მტკიცებულებას, რის გამოც, საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო უნდა გადასინჯოს ფოთის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის განაჩენი ნ. ბ-ს, ა. ზ-ს, გ. ჩ-ს, მ. ს-სა და რ. მ-ს მიმართ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 7 აგვისტოს განაჩენებით მსჯავრდებულებების – ა. ზ-ს, გ. ჩ-ს, მ. ს-სა და რ. მ-ს შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

მსჯავრდებულებები – ა. ზ-ი, გ. ჩ-ი, მ. ს-ე და რ. მ-ი საკასაციო საჩივრით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 7 აგვისტოს განაჩენებს უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევენ, რის გამოც ითხოვენ

მის ბათილად ცნობასა და თავიანთი შუამდგომლობის დაკმაყოფილებას, შუამდგომლობაში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლში მითითებულია ის საფუძვლები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, კერძოდ:

განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის საქმეზე მტკიცებულებად დართვის თაობაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ჯერ კიდევ საქმის არსებითად განხილვისას იმსჯელა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. ხოლო, რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროსა და მთავარი პროკურატურის ერთობლივ ანგარიშს, რომელსაც კასატორები მიიჩნევენ ახლად გამოვლენილ გარემოებად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ანგარიშში მოცემულია მონაცემები მხოლოდ რამდენიმე, ყველაზე გავრცელებული, მძიმე ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის თაობაზე და იგი ამომწურავად არ შეიცავს ინფორმაციას საქართველოში ყველა ნარკოტიკული საშუალების უკანონო ბრუნვის შესახებ. ამდენად, ამ ანგარიშის საფუძველზე იმ ფაქტის მტკიცება, რომ ნარკოტიკული საშუალება კოკაინი არ ამოღებულა და მისი ბრუნვა საქართველოში არ ფიქსირდება, საფუძველს მოკლებულია. აქედან გამომდინარე, კასატორების მიერ თავიანთ საჩივარში მითითებული გარემოება არ წარმოადგენს საპროცესო კანონით გათვალისწინებულ ისეთ გარემოებას, რომელიც შეიძლება გახდეს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულების – ა-ა ზ-ს, გ. ჩ-ს, მ. ს-სა და რ. მ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერი და დასაბუთებულია, რომლის გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, ამიტომ იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულების – ა-ა ზ-ს, გ. ჩ-ს, მ. ს-სა და რ. მ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 7 აგვისტოს განჩინება მსჯავრდებულების – ა. ზ-ს, გ. ჩ-ს, მ. ს-სა და რ. მ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინების გაუქმება და შუამდგომლობის, საქმის მასალებთან ერთად, იმავე სასამართლოში დაბრუნება მისი დასაშვებობის საკითხის თაობაზე ახალი გადაწყვეტილების მისაღებად

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№58-აგ-12

8 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
გ. შავლიაშვილი,
პ. სილაგაძე**

განიხილა მსჯავრდებულ ა. რ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 3 სექტემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 12 ივნისის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და განსასჯელებს – ა. რ-ესა და დ. ბ-ეს შორის, რომლის მიხედვით ა. რ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით – 7 წლით, 273-ე მუხლით (ბრალდების 2009 წლის 4 იანვრის ეპიზოდი) – 9 თვით, 273-ე მუხლით – (ბრალდების 2009 წლის 20 თებერვლის ეპიზოდი) – 6 თვით და 13 დღით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს 2005 წლის 21 მარტის განაჩენით, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წელი, 8 თვე, 17 დღე და საბოლოოდ განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამ სასჯელიდან ა. რ-ემ 7 წელი უნდა მოიხადოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 5 წელი მას ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. გარდა ამისა, მსჯავრდებულს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 5 ათასი ლარი;

დ. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 5 წელი ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით.

ა. რ-ეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 20 თებერვლიდან, ხოლო დ. ბ-ეს – იმავე წლის 19 თებერვლიდან.

ამავე სასამართლოს 2009 წლის 15 დეკემბრის დადგენილებით ა. რ-ეს გაუნახევრდა სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად განესაზღვრა 5 წლით, 9 თვითა და 21 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2009 წლის 15 დეკემბრიდან.

აღნიშნული დადგენილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 2 მარტის დადგენილებით შეიცვალა: ა. რ-ეს განესაზღვრა 5 წლით, 6 თვითა და 14 დღით თავისუფლების აღკვეთა. სხვა ნაწილში გასაჩივრებული დადგენილება დარჩა უცვლელად.

2012 წლის 23 აგვისტოს მსჯავრდებულმა ა. რ-ემ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 22 მაისის კანონის საფუძველზე მოითხოვა მის მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა და „ამნისტიის შესახებ“ 2008 და 2009 წლების საქართველოს კანონების გამოყენება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 3 სექტემბრის განჩინებით აღნიშნული შუამდგომლობა ცნობილ იქნა დაუშვებლად.

მსჯავრდებული ა. რ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით გაუქმდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს 2005 წლის 21 მარტის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი, რომელიც დაენიშნა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედებისათვის, კერძოდ, 0,2 გრამზე ნაკლები ოდენობით „ჰეროინის“ უკანონოდ შექმენა-შენახვისათვის და სწორედ ამ ნაწილში სასამართლო ვალდებული იყო, განეხილა და დაეკმაყოფილებინა შუამდგომლობა; „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსო-

რებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ» საქართველოს კანონი ამსუბუქებს 2005 წლის 21 მარტის განაჩენით დადგენილი სასჯელის მოუხდელ ნაწილს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მოითხოვს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 3 სექტემბრის განჩინება, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მიეთითოს, რომ მან განიხილოს და დააკმაყოფილოს შუამდგომლობა, კერძოდ, მსჯავრდებულის ქმედება 2005 წლის 21 მარტის განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ნაწილში დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელი განესაზღვროს „ამნისტიის შესახებ» 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებული ა. რ-ე თავის შუამდგომლობაში აღნიშნავდა, რომ 2005 წლის 21 მარტის განაჩენით იგი მსჯავრდებული იყო სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით – 0.03 გრამი „ჰეროინის» უკანონოდ შეძენა-შენახვისათვის, ხოლო ამ დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი მთლიანად დაემატა ბოლო განაჩენით განსაზღვრულ სასჯელს. კასატორი აღნიშნავს, რომ სწორედ ამ ნაწილში სასამართლო ვალდებული იყო, განეხილა და დაეკმაყოფილებინა შუამდგომლობა.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ა. რ-ის შუამდგომლობის დასაშვებობის შემოწმებისას სააპელაციო პალატამ იმსჯელა მხოლოდ ბოლო განაჩენით დადგენილი ნარკოტიკული საშუალების ოდენობის გათვალისწინებით, რასაც შუამდგომლობის ავტორი სადავოდ არ ხდოდა.

აღნიშნული გარემოება წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს, საქართველოს სსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 3 სექტემბრის განჩინება მსჯავრდებულ ა. რ-ის შუამდგომლობის განსახილველად დაშვებაზე უარის თქმის შესახებ უნდა გაუქმდეს და ეს შუამდგომლობა საქმის მასალებთან ერთად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს აღნიშნული შუამდგომლობის დაშვების საკითხის კანონის შესაბამისად გადაწყვეტისათვის.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ საკასაციო პალატამ მითითება მისცეს სააპელაციო სასამართლოს ამ უკანასკნელის მიერ მის შუამდგომლობასთან დაკავშირებით მისაღები გადაწყვეტილების თაობაზე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იგი საპროცესო კანონით არ არის უფლებამოსილი, მისცეს სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული ხასიათის მითითება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. რ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 3 სექტემბრის განჩინება, ხოლო მსჯავრდებულ ა. რ-ის შუამდგომლობა საქმის მასალებთან ერთად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს მისი დასაშვებობის საკითხის თაობაზე ახალი გადაწყვეტილების მისაღებად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველად უზენაესი სასამართლოს მიერ გამოცემული სარეკომენდაციო ხასიათის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების დაუშვებლობა

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№113-აგ-12

6 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

გ. შავლიაშვილი,

პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ გ. ხ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 1 ნოემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 24 ივლისის განჩინებით:

გ. ხ-ს ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შერაცხული ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი. მასვე ბრალდებიდან ამოერიცხა: მოქალაქე თ. კ-ს ავტომანქანა „მერსედეს ბენც 220 შე«-თან დაკავშირებით კონტროლის პალატის კუთვნილი 1950 ლარის გაფლანგვის ეპიზოდი; ზ. უ-ს ავტომანქანა „ოპელ ომეგა 2.0« კონტროლის პალატის კუთვნილი 3065,73 ლარის გაფლანგვის ეპიზოდიდან 200 ლარი; 2002 წლის 1 აპრილიდან 2004 წლის პერიოდში კონტროლის პალატის აპარატში არმომუშავე ათ კერძო პირზე ბენზინის გაცემით 4560 ლარის გაფლანგვის ეპიზოდი და ავტომანქანა „მერსედეს ბენც 320«-ის, ღირებულის 9900 ლარად, მითვისების ეპიზოდი.

გ. ხ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ«, „გ«, „დ« ქვეპუნქტებით და მე-3 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და მოსახდელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2005 წლის 25 აგვისტოდან.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 29 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 3 აპრილის განჩინებით მსჯავრდებულ გ. ხ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჭ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 29 ნოემბრის განაჩენზე არ იქნა დაშვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 19 ივლისის განჩინებით გ. ხ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 379-ე მუხლის პირველი ნაწილით და მოსახდელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 5 წელი, 1 თვე, 6 დღე და საბოლოოდ გ. ხ-ს მოსახდელად განესაზღვრა 8 წლით, 1 თვითა და 6 დღით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო განაჩენის გამოტანის დღიდან – 2007 წლის 19 ივლისიდან.

ამავე განაჩენით ზ. გ-ე და გ. ბ-ე ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 379-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯათ 2-2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალით პირობით, 2-2 წლის გამოსაცდელი ვადით; მათვე დამატებით სასჯელად დაენიშნათ ჯარიმა – თითოეულს 3 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად; ამასთან, ზ. გ-ს დანიშნული სასჯელიდან პატიმრობაში ყოფნის დრო – 2007 წლის 3 თებერვლიდან 6 თებერვლამდე, სულ – 3 დღე ჩაეთვალია მოხდილად, ხოლო დანარჩენი მოუხდელი ნაწილი – 1 წელი, 11 თვე და 27 დღე ჩაეთვალია პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით; გ. ბ-ს დანიშნული სასჯელიდან პატიმრობაში ყოფნის დრო – 2007 წლის 4 თებერვლიდან 6 თებერვლამდე, სულ – 2 დღე ჩაეთვალია მოხდილად, ხოლო დანარჩენი მოუხდელი ნაწილი – 1 წელი, 11 თვე და 28 დღე ჩაეთვალია პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 6 ივნისის განჩინებით მსჯავრდებულ გ. ხ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – მ. ი-სა და კ. ვ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ნოემბრის განაჩენზე არ იქნა დაშვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად.

2012 წლის 30 ოქტომბერს მსჯავრდებულმა გ. ხ-მ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 24 ივლისის გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის თაობაზე.

მსჯავრდებული გ. ხ-ე წარდგენილ შუამდგომლობაში აღნიშნავდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 24 ივლისის განაჩენით მას მსჯავრი დაედო 2001-2004 წლებში, კონტროლის პალატაში მუშაობის პერიოდში, სხვადასხვა დროსა და ეპიზოდებში, კონტროლის პალატის კუთვნილი, 10 964 ლარის ღირებულების ნივთების მითვისება-გაფლანგვის გამო. მსჯავრდებულის განმარტებით, განაჩენში აღწერილი დანაშაული არის ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და ცალ-ცალკე წარმოშობილი. არც ერთ ეპიზოდში ზიანის ოდენობა არ აღწევს 10 000 ლარს. მსჯავრდებულის აზრით, იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაული ჩადენილია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ზიანის შეჯამება და დიდ ოდენობად დაკვალიფიცირება სწორი არ არის, რაც მის შემთხვევაში განხორციელდა. მსჯავრდებული მიუთითებდა, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2007 წლის 25 ივლისის შეიმუშავა და გამოსცა „სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე«, რომლის თანახმად: „თუ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას (მითვისება, ჩადენილი არაერთგზის),

თითოეული ქმედების დროს ნივთის ღირებულება არის – 10 000 ლარზე ნაკლები, მაგრამ ერთიანობაში აღემატება 10 000 ლარს, ქმედება არ უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითაც (მითვისება, ჩადენილი დიდი ოდენობით). აღნიშნულის გამო, მსჯავრდებულს მიაჩნდა, რომ მის მიერ მითითებული გარემოება არის ახალი ფაქტი, რომელიც განაჩენის გამოტანის დროს ცნობილი არ იყო და, თავისთავად, ამტკიცებს მსჯავრდებულის მიერ უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებულის გ. ხ-ე ითხოვდა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვას, საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლებასა და მისი ქმედების საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაკვალიფიცირებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 1 ნოემბრის განჩინებით მსჯავრდებულ გ. ხ-ს შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

მსჯავრდებულის გ. ხ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 1 ნოემბრის განჩინების გაუქმებას, რათა სააპელაციო სასამართლოს მიეთითოს, რომ მან დაუშვას შუამდგომლობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლში მითითებულია ის საფუძვლები, რომელთა შემთხვევაშიც შესაძლებელია ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, კერძოდ:

განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასინჯვას განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასინჯვას განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს.

საკასაციო პალატა ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მსჯავრდებულის მიერ მითითებულ, უზენაესი სასამართლოს მიერ გამოცემულ სარეკომენდაციო ხასიათის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება არ შეიძლება ჩაითვალოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველად.

ამდენად, კასატორის მიერ თავის შუამდგომლობაში, საჩივარში მითითებული გარემოება არ წარმოადგენს საპროცესო კანონით გათვალისწინებულ ისეთ გარემოებას, რომელიც შეიძლება გახდეს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება მსჯავრდებულ გ. ხ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერი და დასაბუთებულია, რომლის გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და
დაადგინა:

მსჯავრდებულ გ. ხ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 1 ნოემბრის განჩინება მსჯავრდებულ გ. ხ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმეთა ერთპიროვნულად განხილვის წესის დაუშვებლობა

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№68-აგ-12

24 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**გ. შველიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე**

განიხილა მსჯავრდებულ ი. ხ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 19 აპრილის განაჩენით ი. ხ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, რისთვისაც სასჯელის სახით განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2011 წლის 10 აგვისტოდან.

იმავე განაჩენით ზ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით – 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა – 2000 ლარი. სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და ზ. კ-ს სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლითა და 6 თვით, ასევე ჯარიმა – 2000 ლარი. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის შესაბამისად, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ახლად დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ზ. კ-ს სასჯელის სახით განესაზღვრა 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯარიმა – 2000 ლარი. იგი სასჯელს იხდის 2011 წლის 7 აგვისტოდან.

2012 წლის 14 სექტემბერს მსჯავრდებულმა ი. ხ-მა შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ითხოვა მის მიმართ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 19 აპრილის განაჩენის გადასინჯვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინებით ი. ხ-ს შუამდგომლობა ცნობილ იქნა დაუშვებლად.

საკასაციო საჩივრით მსჯავრდებული ი. ხ-ი ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინების გაუქმებას, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა მის მიერ შუამდგომლობაში ჩამოყალიბებულ საკითხებთან დაკავშირებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ მსჯავრდებულ ი. ხ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის თაობაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მოსამართლემ განიხილა ერთპიროვნულად.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 22-ე მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი, ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმეთა ერთპიროვნულად განხილვის წესი ვრცელდება იმ საჩივრების განხილვაზე, რომლებიც შეტანილია რაიონული (საქალაქო) სასამართლოების განაჩენებისა და სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილებების გამო.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული საგამონაკლისო წესი არ ვრცელდება სააპელაციო სასამართლოს მიერ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობის განხილვაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ი. ხ-ს შუამდგომლობა უნდა განიხილოს კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით. ამასთან, ამ ეტაპზე საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს საკასაციო საჩივრის მოტივებზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 314-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინება მსჯავრდებულ ი. ხ-ს მიმართ.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.